ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№274 (12 344) 23 ნოემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

## სიკვდილის ჯგუფები ფინალურ ეტაპზე

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ:

ჰოლანდია
იტალია
გერმანია
საფრანგეთი

ერთ ჯგუფში 9

# რას გვიმზადებს დურბანის პროცესი?

## დღეს კალათებს დაალაგებენ, კვირას წილისყრაა



ზეგ სამხრეთაფრიკულ დურბანში, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება. დღეს კი ფიფას მორიგი რეიტინგი გამოქვეყნდება და გუნდებიც სწორედ ამ რეიტინგის მიხედვით გადანაწილდებიან კალათებში. ოქტომბრის რეიტინგის მიხედვით საქართველო ინარჩუნებდა იმ ადგილს, რომელიც წილყრისას მე-4 კალათში მოხვედრის საშუალებას გვაძლევდა. დღეს კი დიდი შანსია, მე-5 კალათში აღმოვჩნდეთ, თუმცა იმის ძალიან მცირე ვარიანტიც არსებობს, რომ კვლავაც დავრჩეთ ისეთ ადგილზე, მეოთხე კალათში რომ მოგვახვედრებს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა, კლაუს ტოპმიოლერთან ერთად, გუშინ გამთენიისას თბილისიდან დურბანში გაემგზავრნენ. ახალკაცი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრია და დღეს დურბანში კომიტეტის სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. წილისყრის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით იხილავთ. მისი დასრულებისთანავე ჯგუფის წევრები ერთმანეთში მოილაპარაკებენ და კალენდრის შესათანხმებლად შეხვედრის ადგილსა და დროს დათქვავენ.

აქვე გამცნობთ, რომ 29 ნოემბერს საფრანგეთში, კერძოდ კანში, 17 და 19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება. სწორედ ეს პროცედურა გაარკვევს, თუ ვინ ეყოლება მეტოქეებად ჩვენს ჭაბუკთა ნაკრებებს.

დავით ცაბაძე

## საქართველოს ნაკრები ტოპმიოლერთან ერთად

### ჯვაროსნული სტატისტიკა 4-5



# ინგლისის ტახტი ცარიელია

## ვინ შეცვლის მაკლარენს?


ონილი?


ლიპი?


სკოლარი?


მოურინიო?


კაპელო: ინგლისი მაინტერესებს

## ერთი თვე წოლითი რეჟიმი 2

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა


კლაუს ტოპმიოლერი

მოსაზრება

# უნდა თუ არა, ან მოსწონს თუ არა ვინმეს...

**მორიგი** შესარჩევი ციკლი დასრულებულია. საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა შვიდგუნდიან ჯგუფში, აჯობა სუსტ ფარერებს და ჩაატარა ერთი სუპერმატჩი, რომელშიც შოტლანდია 2:0 დაამარცხა. მაშინ ბევრი ითქვა, რომ ეს იყო პროგრესის დასაწყისი. მაგრამ რა მოხდა ლიტვასთან? ბუნებრივია, ყველა მატჩს ერთ დონეზე დიდი ნაკრებიც ვერ ითამაშებს. ახალგაზრდულ გუნდს კი, რომელიც ჩამოყალიბების სტადიაშია, სტაბილურობის მისაღწევად დროს სჭირდება. ეს ერთი მხარეა. მაგრამ აქვე ისმის კითხვა - შოტლანდიასთან გამარჯვება ხომ არ ნიშნავს იმ ტრადიციის გაგრძელებას, რომლის თანახმადაც საქართველოს ნაკრები ყველა შესარჩევში ერთ ხმაურიან თამაშს იგებს? ამას კი დაკვირვება და ანალიზი სჭირდება: კანონზომიერია თუ არა შოტლანდიასთან მოგება განვითარების საწყის სტადიაში მყოფი გუნდისთვის, თუ მართლაც იმ ხსენებული ტრადიციის გამოძახილია?

კლაუს ტოპმიოლერის ორწლიანი ქართული კარიერა დასრულდა, ანუ, ვგულისხმობთ კონტრაქტით გათვალისწინებული რაღაც პერიოდის ამოწურვას. ახლა ნიშნილების დათვლის დროა. მწვრთნელის მოღვაწეობაზე შედეგების მიხედვით მსჯელობენ. შედეგი კი არ გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, სატურნირო ცხრილით ასეა, ხოლო ცალკე საკითხია, რა სიტუაციაა ცალკეული საფეხბურთო კომპონენტების მხრივ? აქ თუ არის პროგრესი? რა თქმა უნდა, ეს სხვადასხვა კრიტერიუმებია. საქართველოს მაგალითზე ჩანს, რომ ერთი მეორეზე არ არის დამოკიდებული. პროგრესი კი ნამდვილად არის: საქართველოს ნაკრები დღეს ადვილად დასამარცხებელი აღარ არის და ეს უკვე იქცა ტენდენციად; გუნდმა ისწავლა ბრძოლა და მეტ-ნაკლებად ორგანიზებულია, უკეთესია სათამაშო დისციპლინაც, რაც ყოველთვის ჩვენი აქილევსის ქუსლი იყო; გუნდი ნელ-ნელა სწავლობს იმ უმნიშვნელოვანესი რეზერვის გამოყენებას, რასაც სტანდარტული სიტუაციები ჰქვია. ამდენად, ეს უკვე არის გარკვეული საფუძველი იმისთვის, რომ ფეხბურთის ფედერაციასა და მწვრთნელს შორის ახალ კონტრაქტზე თუნდაც მოლაპარაკება შედგეს (თუმცა, ორივე მხარის კომენტარებით ვხვდებით, რომ ეს საკითხი თითქმის მოგვარებულია). რეალურად, ფეხბურთის ფედერაციას სრული უფლება აქვს, შედეგის არარსებობის გამო, მწვრთნელი დაითხოვოს, თუმც უნდა აგვიხსნან, რის საფუძველზე გრძელდება თანამშრომლობა...

მაგრამ თუ სახეზეა პროგრესი (რასაც ტოპმიოლერის ბევრი მოწინააღმდეგე კოლეგაც აღიარებს) სათამაშო კომპონენტებში, რატომ არ ჩანს შედეგი? სად დაუშვა მან შეცდომა? ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებს, ყველა დროსა და ეპოქაში, არარეალურ მიზნებს უსახავდნენ. არ ვიცი, შეიძლება ვინმეს ჰქონდა იმის ილუზია, რომ "ჯვაროსნები" ამ ჯგუფიდან გავიდოდნენ. ძალიან ვეჭვობ, რომ ეს ტოპმიოლერი ყოფილიყო. მაგრამ კლაუსი ერთგვარი დილემის წინაშეც აღმოჩნდა: შედეგი თუ ახალი გუნდის მშენებლობა? როცა ახალ გუნდს აკეთებ, ცხადია, შედეგი მეორე პლანზე იწევს. ასეთ დროს მწვრთნელს მყარი ზურგი სჭირდება. ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ძიების პროცესში ხელი არ შეეშლება. ასე მგონია, რომ ტოპმ ეს მანდატი ძალიან გვიან მიიღო. მანამდე, ორიენტაცია იყო შედეგზე, რადგან ფეხბურთის ფედერაციას საზოგადოებისთვის ანგარიში ჰქონდა ჩასაბარებელი. უმრავლეს ქვეყანაში, ნაკრების შედეგებით ფეხბურთის ფედერაციის მუშაობაც ფასდება...

ტოპმიოლერმა კი ახალი გუნდის ჩამოყალიბება, ფაქტობრივად, შესარჩევის ბოლოს დაიწყო. პროცესი დაგვიანდა. შეიძლება ითქვას, ჩვენ ერთი წელიწადი დავკარგეთ. მთლად რიგზე ვერ იყო სელექციის საქმეც. მწვრთნელმა ამას ძალიან დიდი დრო მოანდომა. მიზეზი არ გახლავთ ის, რომ კლაუსი სელექციაში იჭრება, უბრალოდ, ის ამ საკითხს, ცოტა არ იყოს, ზერელედ უდგებოდა, მხოლოდ მატჩიდან მატჩამდე სამ-ოთხდღიანი შეკრება კი საკმარისი რომ არ არის, ეს საქმეში ყველაზე ნაკლებად ჩახედულმა ადამიანმაც იცის.

საქართველოს ჩემპიონატის იგნორირება სასელექციო პროცესის ყველაზე სუსტი წერტილი იყო. შეიძლება ითქვას, ეს ფრონტი ტოპმიოლერისთვის არც არსებობდა, ვიდრე ამაზე პრესაში არ დაიწერა. სხვათა შორის, ამას ბიძგი თავად ტოპმაც მისცა ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც ჩვენი პირველობის უმაქნისობაზე ისაუბრა. კარგად მესმის და ვიცი, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე საშუალო ევროპული სტანდარტებისგანაც კი შორსაა, ამაზე არ ვკამათობთ, და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნება ამ ყოფაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ კარგი ფეხბურთელები არ თამაშობენ. ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, და ზოგადად, საფეხბურთო სისტემა ჯანსაღი რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ჩემპიონატი ეროვნულ ნაკრებ გაცილებით მეტ მოთამაშეს მისცემდა. ის, რომ ბევრი ლეგიონერი გვყავს, პანაცეად ვერ იქცა და ვერც იქცეოდა. ფაქტია, რომ პროგრესს იმ ნაკრებებმაც (სომხეთი, მოლდოვა, ბელარუსი) მიაღწიეს, სადაც ვერც ფეხბურთელების დონით დაიკვეხნიან, ვერც ლეგიონერების რიცხვით და ვერც ჩემპიონატის. ასე რომ, სხვანაირადაა მუშაობა საჭირო...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ახალი გუნდის მშენებლობაში საქართველოს ჩემპიონატის იგნორირება დაუშვებელია. უნდა თუ არა, ან მოსწონს თუ არა ვინმეს, ეს რეზერვია და ამას წყალი არ გაუვა. კარგია, რომ ტოპიც შებრუნდა ეროვნული პირველობისკენ. მოდით, შევთანხმდეთ, რომ საქართველოს ნაკრებში, დღესდღეობით, სამი ფასდაუდებელი და შეუცვლელი მოთამაშეა - **კალაძე, ასათიანი** და **კობიაშვილი**. საიდან მოვიყვანოთ დანარჩენები? ტოპმიოლერს არაერთხელ უთქვამს, რომ უკრაინასა და რუსეთში ფეხბურთელებს "კლავენ". სხვა ქვეყნებში კი ქართველები დიდწილად სკამზე სხედან. ამიტომაცაა ხოლმე ნაკრებში ბევრი ამ ტიპის ფეხბურთელი. პრაქტიკის არმქონე მოთამაშისგან, რომელ კლუბშიც არ უნდა ირიცხებოდეს, სარგებელი არ იქნება. გამონაკლისი კი საქმეს ვერ შველის.

უნდა დარჩეს თუ არა ტოპმიოლერი? ჩემი აზრით, უნდა დარჩეს, და უნდა დარჩეს ჯერ მხოლოდ ერთი შესარჩევი ციკლით (პრინციპით - "მერე ვნახოთ"), უნდა დარჩეს იმ შეცდომების მიუხედავად, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. თუმც ისიც მიმაჩნია, რომ აქ გაცილებით მეტი იყო ობიექტური ფაქტორები. ამავე დროს, ძალიან ბევრს საუბრობენ მის ხელფასზე და იმაზე, რომ კლაუსი ამ ანაზღაურების ადექვატურ სამუშაოს არ ან ვერ ასრულებს. ამაზე კამათი შეიძლება. არ ვიცი, რა სახის ფინანსურ კორექტივს დაექვემდებარება ტოპმიოლერის ახალი ხელშეკრულება, მაგრამ ვფიქრობ, მას უეჭველად მართებს თავისი პოლიტიკის გადახედვა. ეს კი ასე წარმომიდგენია: ის უნდა დაესწროს ეროვნული პირველობის ყველა მთავარ მატჩს; ყოველთვე უნდა მოაწყოს საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე საუკეთესო ფეხბურთელთა შეკრება და ამავე პერიოდში ჩაატაროს შიდა ტესტ-მატჩები; საკლუბო მწვრთნელებმა, რა თქმა უნდა ტოპმიოლერის მითითებით, ესა თუ ის ფეხბურთელი სპეციალური პროგრამით უნდა ავარჯიშონ და მოამზადონ... ანუ, საქართველოში მუდმივად მზად უნდა იყოს ფეხბურთელთა რაღაც ჯგუფი, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეძლებს ნაკრების დახმარებას. ამას გარდა, ეს უდიდესი სტიმული იქნება თავად ფეხბურთელებისთვის, რაც ავტომატურად იმოქმედებს ჩემპიონატის დონეზე და ეს საქმეც ნელ-ნელა ადგილიდან დაიძვრება. სხვათა შორის, სადღაც ერთი წლის წინათ, ფეხბურთის ფედერაციამ ვითომ B ნაკრების (ეგრეთწოდებული "მომავლის გუნდი") ჩამოყალიბების იდეა წამოაყენა, რამაც, სინამდვილეში, მანამდე არაერთხელ გაიჟღერა ქართულ სპორტულ მედიაში. რატომღაც, "ქართული ფეხბურთის სახლიდან" დღეს ამაზე არაფერი ისმის...

ადამიანი არჩევანში თავისუფალია, მაგრამ არ ვიცი, რამდენად შეუშლის ხელს ტოპმიოლერს "კაიზერსლაუტერნში" მუშაობა. მისი ძირითადი სამუშო ადგილი უნდა იყოს აქ, საქართველოში. შესაბამისად, ფეხბურთის ფედერაცია ყურადღებით უნდა დააკვირდეს მოვლენათა განვითარებას. აქ, ძმაკაცობამ საერთო საქმე არ უნდა აზარალოს. ბოლოს და ბოლოს, ტოპმიოლერს საქართველოს ნაკრებსა და ფეხბურთის ფედერაციაზე ჯვარი არ დაუწერია...

25 ნოემბერს კი 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპის წილისყრაა. იქნებ, ახლა მაინც დაგვინდოს ბედმა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ტოპმიოლერმა უნდა გააგრძელოს ახალი გუნდის მშენებლობის პროცესი, რაც რეალურად, ჩვენში, სწორედ მის ხელში დაიწყო. სწორედ ეს უნდა იყოს ნაკრების სტრატეგია მომავალ შესარჩევში და არა მუნდიალზე მოხვედრის (ცხადია, ამაზე უარს არავინ იტყვის), ასე ვიტყოდი, მატრაბაზული იდეა. ნუ დავამძიმებთ ახალგაზრდა ბიჭების ფსიქიკას ილუზორული მიზნებით, ვიბრძოლოთ ყოველი კონკრეტული თამაშის მოგებაზე და ჯგუფში რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავებაზე. მერე კი ვნახოთ, სადამდე მივალთ...

**პაატა გელაშვილი**

# სამი ჯვაროსანი ლაზარეთში

## სირაძე ერთი თვე იწვება

რატომ წავაგეთ ლიტვასთან? ამ კითხვაზე ყველას საკუთარი პასუხი გააჩნია. არავინ არ დაობს მხოლოდ იმაზე, რომ "ჯვაროსნებს" ძალიან დააკლდათ **ზურაბ მენთეშაშვილი** და **დავით სირაძე**.

გუშინ კიდევ ერთხელ დავინტერესდით სირაძის ჯანმრთელობის მდგომარეობით. როგორც აღმოჩნდა, მას ჯერ საუბარს უკრძალავენ, ამიტომ მამამისი, **სოსო სირაძე** გვესაუბრა.

*"დათოსთვის საუბარიც არ შეიძლება. მან ტვინის უმძიმესი შერყევა მიიღო, როგორც ექიმებმა გვითხრეს, ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. დღეს დილით საავადმყოფოდან გამოწერეს, მაგრამ მდგომარეობა ისეთი რთული იყო, რომ გაუნძრევლად უნდა იწვეს. ეკრძალება საუბარი, ტელევიზორის ყურება, სჭირდება სიმშვიდე და სიბნელეში უნდა იწვეს, ოთახის განათებაც კი მასზე ცუდად მოქმედებს. ვარჯიში კი ამ წელს გამორიცხულია, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეუძლია წამოდგეს".*

რაც შეეხება მენთეშაშვილს, ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ დატოვა მოედანი. ზურაც თბილისშია და გავესაუბრეთ.

*"ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ. როგორც მითხრეს, კუნთი გამეხლიჩა, ბევრმა იფიქრა, რომ ლიტველები უხეშობდნენ და მოედანი მათი მიზეზით დავტოვე. ასე არ იყო. თამაშამდეც მტკიოდა კუნთები და ცუდად ვიყავი. ყატარში ამის გამო ვერ ვითამაშე, ჩემი ბრალია, რაც მომივიდა. ლიტვასთან, წესით არ უნდა მეთამაშა, მაგრამ ისე მინდოდა თამაში, რომ გავრისკე და ასეთ დღეში ჩავვარდი. ტკივილებისგან მთელი ღამე არ მეძინა. თითქოს, ბარძაყის კუნთში ნემსები მერჭობოდა. ახლა ფეხსაც ვერ ვშლი"*, - გვითხრა ზურამ.

შეგახსენებთ, რომ მენთეშაშვილმა ლიტვის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. "ვენტსპილსის" ლეგიონერი ამ ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველადაც დაასახელეს.

გუშინ ლატვიის ჩემპიონატის მიმოხილვა ინტერნეტ-გაზეთმა "დელპიმ" გამოაქვეყნა, სადაც "ვენტსპილსზე" წერია - ახალი სეზონიდან, გუნდს მენთეშაშვილი დააკლდება, რაც გრიგორ რომანჩუკის გუნდისთვის დიდი დანაკლისიაო.

ზურა დღემდე იაროსლავლის "შინიკს" ეკუთვნის, ლატვიაში იჯარით თამაშობდა. საქართველოს ნაკრებში მან საკმაოდ კარგად ითამაშა და ახლა მის კარიერაში მნიშვნელოვანი მომენტი დგებოდა. ზურას თქმით, "შინიკიდან" არავინ დაკავშირებია და პრემიერლიგაში დაბრუნებულ გუნდს, სავარაუდოდ, არც დაუბრუნდება. ამის მიუხედავად, ჩვენი ინფორმაციით, ზურას მიმართ ერთ-ერთი გერმანული კლუბი დაინტერესდა. ასეთი მძიმე ტრავმა კი მენთეშაშვილს, სავარაუდოდ, მოსამზადებელი ეტაპის ნაწილს გააცდენინებს.


დავით სირაძე

დაბოლოს, ლიტვასთან წაგების ერთ-ერთი მიზეზი **გოგიტა გოგუას** არყოფნაც იყო. გოგიტას ვარჯიშზე მტკივანი კოჭი გაუმიზეზდა და გუნდს საერთოდ ვერ დაეხმარა.

*"ძველი ტრავმა გამირთულდა. მკურნალობისთვის დრო და დასვენება მჭირდება. თუმცა, ერთი თვე ისედაც უნდა დამესვენა, შეკრების დაწყებამდე მოვმჯობინდები"*, - გვითხრა გოგუამ.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლევან ყენია



მათე ღვინიანიძე

ლეგიონერები

# ესპანიოლი ყენიათი და ღვინიანიძით დაინტერესდა

სამშაბათსა და ოთხშაბათს თბილისს ესპანური "ესპანიოლის" სკაუტი სტუმრობდა, რომელიც საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩებს დაესწრო. ჩვენი ინფორმაციით, ესპანელ სკაუტს ამ ორი ნაკრებიდან რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი მოეწონა. თუმცა განსაკუთრებული ინტერესი **მათე ღვინიანიძისა** და **ლევან ყენიას** მიმართ გამოხატა. პირინეელმა სკაუტმა დაინტერესებული ქართველი ფეხბურთელები მოიკითხა. მას აინტერესებდა თუ რომელ კლუბებში ასპარეზობდნენ აღნიშნული მოთამაშეები და რამდენწლიანი კონტრაქტები აკავშირებთ ახლანდელ კლუბებთან. ცნობა ამ ფეხბურთელებთან დაინტერესებულმა პირებმაც დაგვიდასტურეს.

ამ ორიოდე დღის წინათ "ლელო" წერდა, რომ რუსულმა წყაროებმა გაავრცელეს ცნობა, რომლის თანახმადაც "შალკემ" ლევან ყენია 500 ათასი ევროს სანაცვლოდ გადაიბირა. ყენიას გადაბირება დღესაც სურს მოსკოვის "სპარტაკსა" და ცსკა-ს, თუმცა, ლევანმა "შალკეზე" გააკეთა არჩევანი. "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობის თქმით ყენიას ტრანსფერი საბოლოოდ მოგვარებული ჯერ კიდევ არაა, თუმცა ამას წინ არაფერი უდგასო.

**დავით ცაბაძე**

# განუგრავა ბრუნდება და მიდის

საქართველო-რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრას იტალიელი მენეჯერი **დევიდე ტურკია** ესწრებოდა. ის ბევრი ცნობილი სახის, აგრეთვე ჩვენი **ლევან მჭედლიძის** მენეჯერია.

ის ყურადღებით აკვირდებოდა ქართველ ფეხბურთელებს, შემადგენლობით დაინტერესდა და გაოცებული დარჩა **პეტარ სეგრტის** გუნდის გამარჯვებით.

შეხვედრის პირველ ტაიმში დევიდე ტურკია უცებ **გიორგი განუგრავათი** დაინტერესდა, რატომ არ თამაშობდა ის ნაკრებში. როდესაც შეიტყო, რომ 20 წლის ნიჭიერი ბიჭი დღეს არათუ ახალგაზრდულ ნაკრებში, არამედ არც ერთ გუნდში არ თამაშობს, უბრალოდ ვერ დაიჯერა.

**"დიდი ტალანტია, მას დღესვე შეუძლია ნებისმიერი მაღალი დონის ჩემპიონატში მოხვედრა სათანადო მომზადების შემთხვევაში"**, - გვითხრა იტალიელმა მენეჯერმა.

მატჩის შემდეგ გიორგი ვნახეთ, უპირველესად, მისი ჯანმრთელობით დავინტერესდით.

*"საბედნიეროდ, სრულიად ჯანმრთელად ვარ, ვვარჯიშობ. იმედი მაქვს, რომ მალე დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ძლიერი ლიგის გუნდში ჩავირიცხები და ერთწლიან უთამაშებლობას დავასრულებ"*, - გვითხრა გიორგიმ.

კონკრეტულად რომელ გუნდში, ეს არ უთქვამს. ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთი წინადადება საბერძნეთიდან მიიღო. თუმცა გიორგი განუგრავა ჯერ გადახტომას და "ჰოპლას" მერე დაძახებას აპირებს. მართლაც ცოდვაა ასეთი ნიჭიერი ბიჭის მოცდენა.

**მერაბ მამულაშვილი**

# იაშვილი ორშაბათს დაიწყებს

სანაკრებო მატჩების გამო ევროპაში მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატებში პაუზა იყო, რომელიც დასრულდა და ამ უქმეებზე გუნდები ეროვნულ ჩემპიონატებში ასპარეზობასაც გააგრძელებენ. **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუე" დღეს 23 ნოემბერს "ჰერტას" უმასპინძლებს, თუმცა გერმანული სააგენტოების მიერ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, ქართველი ფორვარდი ბერლინელებთან მატჩს გამოტოვებს. დაიწერა ისიც, პირველ წრეში იაშვილის თამაში საეჭვოაო. როგორც იაშვილების ოჯახში გავარკვიეთ, ვითარება საგანგაშო არაა, ფეხბურთელს გრიპი შეყრია. სავარაუდოდ ის გუნდს ორშაბათიდან, 26 ნოემბრიდან შეუერთდება. შესაბამისად დიდი შანსია იაშვილი "კარლსრუეს" რიგებში უკვე მომდევნო ტურის მატჩშიც კი გამოჩნდეს.

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე იაშვილი

# დილას ხორგუაშვილი დაუბრუნდა

გუშინდელ ვარჯიშზე "დილას" ფეხბურთელებს ახალი მთავარი მწვრთნელი, **ზურაბ ხორგუაშვილი** წარუდგინეს. შეგახსენებთ, ამ უკანასკნელს გორული უახლოეს წარსულშიც გაუწვრთნია, წლების განმავლობაში კი მის შემადგენლობაში წარმატებით ასპარეზობდა.

*"კლუბის ხელმძღვანელობამ ეს პოსტი რამდენიმე დღის წინ შემომთავაზა, მწვრთნელად კი დღეს დავინიშნე. ვიცი, რომ წინ რთული სამუშაო მელის, მაგრამ მზად ვარ, ჩემი ქალაქის გუნდისთვის მაქსიმუმი გავილო"*, - გვითხრა გუშინ ხორგუაშვილმა.

მას ისიც დასძინა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდის მნიშვნელოვანი გაძლიერება იგეგმება, ამ სეზონში მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენა იქნება, გაისად კი "დილა" გაცილებით დიდ ამოცანებს დაისახავს.

რაც შეეხება "დილას" უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელ **მამუკა ვარდოსანიძეს**, სავარაუდოდ, იგი კლუბში დარჩება და ხორგუაშვილის ასისტენტად იმუშავებს.

ხვალ "დილა" გორულ დერბიში ცხინვალის "სპარტაკს" დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ზესტაფონი სკოლაში

"ზესტაფონი" ცოტა ხნის წინ დამკვიდრებულ ტრადიციას განაგრძობს და გულშემატკივრებთან შეხვედრებს აგრძელებს. 20 ნოემბერს კლუბის წევრები ზესტაფონის მე-7 საჯარო სკოლას ეწვივნენ, სადაც მოსწავლეებსა და რიგით გულშემატკივრებს გაესაუბრნენ. ამ შეკრებამ, ბუნებრივია, გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა, ფეხბურთელებმა ხალხის შეკითხვებს უპასუხეს, რის შემდეგაც ავტოგრაფებისა და სამახსოვრო ფოტოების ჯერი დადგა.

მსგავს აქციებს კლუბის ხელმძღვანელობა სამომავლოდაც გეგმავს. "ზესტაფონის" მოთამაშეთაგან მე-7 სკოლას **გოგი ფიფია, შალვა ღონღაძე, გიორგი ჭელიძე** (ნუგზარის ძე), **ჟონატას ტორესი, ჟილვან ვიეირა, პოლ კესანი** და **ეტიენ ბიტოო** ესტუმრნენ.



## ერთი კვირის ათასი წვრილმანი

# რაყიფის მზერით

**კლაუს ტოპმიოლერი** ჭკვიანი, ნიჭიერი კაცია. მას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, თუ როგორ მოიცილოს ფლეგმა, იყოს მიმზიდველი.

ასეთი კაცი უცბად შეამჩნევდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ საერთაშორისო ერი - ჩვენ მივდივართ აზერბაიჯანისკენ და ყაზახეთისკენ და არა დასავლეთისკენ.

ჩვენთან არ ფასობს შედეგი და რეპუტაცია, ჩვენთან ფასობს სტატუსი - მე ვარ ხელისუფლების ჯილა - ასეთია ტოპის სტატუსი საქართველოში.

ჯერ კიდევ გაზაფხულზე, შოტლანდიასთან გლაზგოური მატჩის შემდეგ გადაწყდა, თუ ვინ იქნებოდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული გუნდის თავკაცი მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის - ეს ინფორმაცია არ არის ჟურნალისტური გამოძიების მონაპოვარი, უბრალოდ, საქართველო პატარა, პროვინციული ქვეყანაა და ყველამ ყველაფერი იცის, ოღონდ ზოგი ამბავს ადრე იგებს, ზოგი გვიან.

რაღა დარჩენოდათ ფეხბურთის ფედერაციის დიდმოხელეებს. ისინი ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინათ ამბობდნენ, ტოპმიოლერის მუშაობით კმაყოფილები ვართ და მასთან კონტრაქტს გავაგრძელებთო.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და ყველა ვიცე-პრეზიდენტს გრიგოლ ცაავას გარდა, პროტექტორი ჰყავს ხელისუფლებაში. ჩვენ ერთი გუნდი ვართ - ზუსტად ამაზეა ნათქვამი.

ლიტვასთან მატჩამდე კი საქართველოს პრეზიდენტი სპორტულ საზოგადოებას შეხვდა კაფე "მსოფლიო სპორტში". ხელისუფალი რაყიფის მზერით უყურებს ქართულ სპორტს, ეფერება მას, ქათინაურებს არ იშურებს და იმას აკეთებს, რაც თვითონ სურს, რაც ინსტიქტებს უკმაყოფილებს.

ჰერ კლაუსიც თითქოს ასე უყურებს ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. შემოდგომაზე ფანტასტიკური გუნდი შევქმენითო - გვეუბნება ტოპმიოლერი და მიუხედავად ბოლოდან მეორე ადგილისა, ის ამ გუნდის ხელმძღვანელად რჩება.

რაყიფის ხელობაც ეგ არის - მოგვთაფლოს, ძარღვი აგვიტოკოს და ჟინი დაიკმაყოფილოს.

25 ნოემბერს მომავალი შესარჩევი ციკლის წილისყრაა. ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, მიზანი 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრა იქნებაო. ამ მიზანს ტოპის ხელმძღვანელობით უნდა მიაღწიოს საქართველოს ნაკრებმა. მან ბევრი ფეხბურთელი გამოსცადა, ბევრ რამეზე თვალი აეხილა, სანაკრებო მწვრთნელის გამოცდილება შეიძინა და ვინ იცის, იქნებ სარქველებიც გაუხსნას ჩვენს უპირველეს გუნდს.

წილისყრიდან დაბრუნებული ტოპმიოლერისგან ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო კონსულტაციებს მიიღებს. ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელების სვე-ბედი უტოპმიოლეროდ ვერ გადაწყდება. ჩვენს 19-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი ტოპის ძმა არის; ყაზახებისგან 1:4-ით ნაგვემმა პეტარ სეგრტმა კი იმდენი ჰქნა, რომ ჩვენს ახალგაზრდებს რუსებთან მოაგებინა - მძაფრი ქარტეხილი მათ ალბათ არ შეეხებათ, მაგრამ არც ის ივარგებს, რომ ტოპიმ ერთი ბარტყიც არ გადმოაგდოს - ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ ჰერბერტ ცანკერი 17-წლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელად დარჩეს.

ჰერ კლაუსმა გულწრფელად გვითხრა, პრესაში ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა კრიტიკით გულმოსული ვარო. აქ კი ნამეტანი შეეშალა ტოპმიოლერს - მას უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა უკვე მოხსნილია.

**დავით თავართქილაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

საქართველოს ნაკრების სტატისტიკა

# ალბანეთიდან ლიტვამდე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ეს ესაა დასრულდა. მომხდარის განსასჯელად და გასაანალიზებლად დრო კიდევ იქნება და ამ თემაზე მომდევნო ნომრებშიც ვისაუბრებთ, ქვემოთ კი შესარჩევ ციკლსა და ოფიციალურ ამხანაგურ მატჩებში ჩვენი გუნდის სტატისტიკურ მონაგარსა და ფეხბურთელთა მცირე შეფასებებს შემოგთავაზებთ. კლაუს ტოპმიოლერმა ამ 20 თამაშში 54 (!) ფეხბურთელი გამოსცადა.

ამ მონაცემებში არ შეგვიტანია 2006 წლის დასაწყისში ჩატარებული მალტის ტურნირი და როსტოკის "ჰანზასთან" გამართული შეხვედრა, რადგან მათ არაოფიციალური მატჩების სტატუსი აქვთ მინიჭებული. ათვლას გასული წლის 22 მარტს გამართული ალბანეთი-საქართველოთი ვიწყებთ და ბუნებრივია, საქართველო-ლიტვით ვასრულებთ.

**ამხანაგური მატჩი. 22.03.2006. ტირანა. 2000 მაყურებელი**

**ალბანეთი-საქართველო 0:0**

საქართველო: ლომაია (46. ჭანტურია), მაღრაძე, ღვინიანიძე, შაშიაშვილი, ელიავა, გოგუა, კანკავა (46. ფოფხაძე), მენთეშაშვილი (35. განუგრავა), გიგიაძე, ჯაკობია, ალადაშვილი (88. სეთურიძე)

გაფრთხილება: გოგუა, განუგრავა

გაძევება: გოგუა (75)

**ამხანაგური მატჩი. 27.05.2006. ალტერკირხენი. 500 მაყურებელი**

**ახ. ზელანდია-საქართველო 3:1**

1:0 კოვენი (41), 2:0 კილენი (43), 2:1 არველაძე (45), 3:1 კოვენი (51)

საქართველო: ლომაია, მჟავანაძე (46. ხიზანეიშვილი), ხიზანიშვილი, კალაძე, კვირკველია (66. კანდელაკი), გოგუა (55. მუჯირი), კობიაშვილი, ასათიანი (66. იონანიძე), გიგიაძე (46. ალადაშვილი), არველაძე, დემეტრაძე (46. იაშვილი)

გაფრთხილება: გოგუა

**ამხანაგური მატჩი. 31.05.2007. ალტერკირხენი. 3000 მაყურებელი**

**პარაგვაი-საქართველო 1:0**

1:0 ვალდესი (40)

საქართველო: ლომაია, სალუქვაძე (63. გოგუა), კალაძე, ხიზანიშვილი, ალადაშვილი (63. დემეტრაძე), კანდელაკი, კანკავა, მენთეშაშვილი (78. კვირკველია), მარცვალაძე (71. იაშვილი), ასათიანი (74. მუჯირი), არველაძე

გაფრთხილება: ხიზანიშვილი, გოგუა

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 16.08.2006. ტოფტირი. 950 მაყურებელი**

**ფარერები-საქართველო 0:6**

0:1 მუჯირი (16), 0:2 იაშვილი (18), 0:3 არველაძე (37), 0:4 კობიაშვილი (51, პენ), 0:5 არველაძე (63), არველაძე (82)

საქართველო: ჭანტურია, შაშიაშვილი, ასათიანი, კანდელაკი (67. კვირკველია), კობიაშვილი, ალადაშვილი (72. გახოკიძე), გოგუა (58. დემეტრაძე), კანკავა, მუჯირი, იაშვილი, არველაძე

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 2.09.2006. თბილისი. 54.630 მაყურებელი**

**საქართველო-საფრანგეთი 0:3**

0:1 მალუდა (7), 0:2 საა (16), 0:3 ასათიანი (47. ს.კ.)

საქართველო: ჭანტურია, ალადაშვილი (37. კანდელაკი), ხიზანიშვილი, ასათიანი, გოგუა, კანკავა, კობიაშვილი, მუჯირი (81. მენთეშაშვილი), იაშვილი (46. კვირკველია), არველაძე, დემეტრაძე

გაფრთხილება: კობიაშვილი, კანკავა, გოგუა, დემეტრაძე

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 6.09.2006. კიევი. 43.000 მაყურებელი**

**უკრაინა-საქართველო 3:2**

1:0 შევჩენკო (31), 1:1 არველაძე (37), 1:2 დემეტრაძე (62), 2:2 რ.როტანი (63), 3:2 რუსოლი (79)

საქართველო: ჭანტურია, იმედაშვილი (34. კანდელაკი), ხიზანიშვილი, ასათიანი, გოგუა, კანკავა, კობიაშვილი, მენთეშაშვილი (82. აშვეთია), კვირკველია (81. მუჯირი), არველაძე, დემეტრაძე

გაფრთხილება: გოგუა, დემეტრაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, არველაძე

**ამხანაგური მატჩი. 7.10.2006. როსტოკი. 28.000 მაყურებელი**

**გერმანია-საქართველო 2:0**

1:0 შვაინშტაიგერი (24), 2:0 ბალაკი (67)

საქართველო: ლომაია, ღვინიანიძე (73. ხიზანეიშვილი), ხიზანიშვილი, კალაძე, კვირკველია (79. გიგიაძე), მენთეშაშვილი (79. ალადაშვილი), კანკავა, კობიაშვილი, ცქიტიშვილი (58. გოგუა), მარცვალაძე (63. იაშვილი), დემეტრაძე (83. მოდებაძე)

გაფრთხილება: მენთეშაშვილი, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი

გაძევება: ხიზანიშვილი (62)

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 11.10.2006. თბილისი. 54.630 მაყურებელი**

**საქართველო-იტალია 1:3**

0:1 დე როსი (17), 1:1 შაშიაშვილი (25), 1:2 კამორანეზი (61), 1:3 პეროტა (70)

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, შაშიაშვილი, კანკავა, ცქიტიშვილი (75. კანდელაკი), მენთეშაშვილი, კვირკველია, მარცვალაძე (84. გიგიაძე), აშვეთია (69. იაშვილი)

გაფრთხილება: კანკავა, შაშიაშვილი, ცქიტიშვილი,

გაძევება: კანკავა (60)

**ამხანაგური მატჩი. 15.11.2006. თბილისი. 18.000 მაყურებელი**

**საქართველო-ურუგვაი 2:0**

1:0 კობიაშვილი (38, პენ), 2:0 კობიაშვილი (60)

საქართველო: რევიშვილი, გოგუა (84. კობახიძე), სალუქვაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ბურდული, მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი (70. გრიგალაშვილი), კობიაშვილი, სირაძე (74. წინამძღვრიშვილი), დემეტრაძე (74. აშვეთია)

გაფრთხილება: გოგუა, დემეტრაძე

**ამხანაგური მატჩი. 7.02.2007. თბილისი. 53.000 მაყურებელი**

**საქართველო-თურქეთი 1:0**

1:0 სირაძე (76)

საქართველო: რევიშვილი (46. ლომაია), შაშიაშვილი, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ელიავა, მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, ბურდული (82. აშვეთია), კვირკველია (66. გოგუა), დემეტრაძე (87. ბენაშვილი), სირაძე (77. მუჯირი)

გაფრთხილება: ცქიტიშვილი, ლომაია

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 2403.2007. გლაზგო. 49.000 მაყურებელი**

**შოტლანდია-საქართველო 2:1**

1:0 ბოიდი (11), 1:1 არველაძე (41), 2:1 ბიტი (89)

საქართველო: ლომაია, სალუქვაძე, ელიავა, შაშიაშვილი, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი (90. მუჯირი), მენთეშაშვილი (46. გოგუა), ლ.ბურდული (დ.სირაძე 57), კობიაშვილი, არველაძე, დემეტრაძე.

გაფრთხილება: მენთეშაშვილი, სალუქვაძე, დემეტრაძე

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 28.03.2007 თბილისი. 8.000 მაყურებელი**

**საქართველო-ფარერები 3:1**

1:0 სირაძე (27), 2:0 იაშვილი (45), 2:1 იაკობსენი (56), 3:1 იაშვილი (90, პენ)

საქართველო: ლომაია, კვირკველია, ცქიტიშვილი, იაშვილი, კობიაშვილი (62. მენთეშაშვილი), მუჯირი, კანკავა, სალუქვაძე, დემეტრაძე, შაშიაშვილი, სირაძე

გაფრთხილება: კობიაშვილი, სირაძე

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 2.06.2007. კაუნასი. 8000 მაყურებელი**

**ლიტვა-საქართველო 1:0**

1:0 მიკოლიუნასი (78)

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, ელიავა, მენთეშაშვილი (64. მარცვალაძე), ცქიტიშვილი (80. მუჯირი), კობიაშვილი, კვირკველია, იაშვილი, დემეტრაძე

გაფრთხილება: დემეტრაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 6.06.2007. ოსერი. 15000 მაყურებელი**

**საფრანგეთი-საქართველო 1:0**

1:0 ნასრი (33)

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, ელიავა (59. მარცვალაძე), კვირკველია, იაშვილი, ბურდული, ღვინიანიძე, სალუქვაძე (12. მუჯირი), კანკავა (86. შაშიაშვილი)

გაფრთხილება: ხიზანიშვილი, კანკავა

**ამხანაგური მატჩი. 2208.2007. ლუქსემბურგი. 1500 მაყურებელი**

**ლუქსემბურგი-საქართველო 0:0**

გამოუყენებელი პენალტი: იაშვილი (35. მეკარე)

საქართველო: ლომაია, კვირკველია, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ცქიტიშვილი (78. მენთეშაშვილი), კობიაშვილი (31. ამისულაშვილი), ბურდული (46. მარცვალაძე), ასათიანი (46. მუჯირი), იაშვილი, სირაძე (46. გიგიაძე)

გაფრთხილება: ხიზანიშვილი

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 8.09.2007 თბილისი. 25000 მაყურებელი**

**საქართველო-უკრაინა 1:1**

0:1 შელაევი (8), 1:1 სირაძე (88)

საქართველო: ლომაია, კალაძე, ცქიტიშვილი, იაშვილი (63. ყენია), ჯაკობია (63. სირაძე), ასათიანი, ღვინიანიძე, მენთეშაშვილი (80. ტატანაშვილი), მარცვალაძე, სალუქვაძე, დემეტრაძე

გაფრთხილება: ცქიტიშვილი, იაშვილი, ღვინიანიძე

**ამხანაგური მატჩი. 12.09.2007. ბაქო. 6000 მაყურებელი**

**აზერბაიჯანი-საქართველო 1:1**

1:0 სუბაშიჩი (7), 1:1 ტატანაშვილი (48)

საქართველო: მაკარიძე, კანდელაკი, ასათიანი, ხიზანეიშვილი, კვახაძე (70. ლომაია), ცქიტიშვილი, კანკავა, ყენია (60. დეკანოსიძე), დოლიძე (75. სალუქვაძე), ჯაკობია (63. მარცვალაძე), ტატანაშვილი (80. ბოლქვაძე)

გაფრთხილება: კანკავა, ასათიანი

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 13.10.2007. გენუა 23057 მაყურებელი**

**იტალია-საქართველო 2:0**

1:0 პირლო (43), 2:0 გროსო (84)

საქართველო: ლომაია, სალუქვაძე, შაშიაშვილი (61. სირაძე), ასათიანი, ხიზანიშვილი, კვირკველია, ცქიტიშვილი, მენთეშაშვილი, დემეტრაძე (85. ჯაკობია), მჭედლიძე (61. ყენია)

გაფრთხილება: დემეტრაძე, კვირკველია

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 17.10.2007. თბილისი. 44000 მაყურებელი**

**საქართველო-შოტლანდია 2:0**

1:0 მჭედლიძე (16), 2:0 სირაძე (65)

საქართველო: მაკარიძე, სალუქვაძე, შაშიაშვილი, ასათიანი, ხიზანიშვილი, კვირკველია, კანკავა, მენთეშაშვილი, ყენია (80. კანდელაკი), მჭედლიძე (85. კვახაძე), სირაძე (90. ჯაკობია)

გაფრთხილება: კანკავა

**ამხანაგური მატჩი. 16.11.2007 დოჰა. 300 მაყურებელი**

**ყატარი-საქართველო 1:2**

0:1 კანკავა (46), 1:1 კონე (56), 1:2 სალუქვაძე (64)

საქართველო: მაკარიძე, ხიზანიშვილი (61. სალუქვაძე), ასათიანი, კალაძე, სანაია (61. შაშიაშვილი), გრიგალაშვილი, კანკავა (80. კვახაძე), კვირკველია (85. დეკანოსიძე), ცქიტიშვილი, ყენია (68. გელაშვილი), მჭედლიძე (46. ჯაკობია)

გაფრთხილება: გრიგალაშვილი, კვირკველია, შაშიაშვილი

გაძევება: შ.გრიგალაშვილი (89)

**ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 22.11.2007 თბილისი. 30000 მაყურებელი**

**საქართველო-ლიტვა 0:2**

0:1 კსანავიჩიუსი (59), 0:2 კსანავიჩიუსი (90)

საქართველო: მაკარიძე, სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, კვირკველია, კანკავა, მენთეშაშვილი (33. მარცვალაძე), ცქიტიშვილი, ყენია, მჭედლიძე, სირაძე (80. გელაშვილი)

---

1. გიორგი ლომაია (მეკ.)

**შესარჩევში: 7 მატჩი, -11 გოლი**

**ამხანაგურებში: 6 მატჩი (1 შეცვლაზე), - 6 გოლი, 1 გაფრთხილება**

ტოპმიოლერი კარგა ხანს ენდობოდა, მაგრამ იტალიასთან დაშვებული შეცდომები აღარ აპატია. ამ ციკლში კარგი მატჩებიც ჩაატარა, არაერთხელ იხსნა გუნდი, მაგრამ არასტაბილურობა ახასიათებდა.

90. გიორგი მაკარიძე (მეკ.)

**შესარჩევში: 2 მატჩი, -2 გოლი**

**ამხანაგურებში: 2 მატჩი, -2 გოლი**

ყველა თამაში ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯით ჩაატარა. ლიტვასთან არ გაუშვია აუღებელი ბურთები, მაგრამ საერთო ჯამში, ამ ეტაპზე კრიტიკა არ დაუმსახურებია.

34. გრიგოლ □ანტურია (მეკ.)

**შესარჩევში: 3 მატჩი, -6 გოლი**

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

საფრანგეთსა და უკრაინასთან დაშვებული შეცდომების შემდეგ, ტოპმიოლერს მისთვის შანსი აღარ მიუცია. გაახალგაზრდავების პოლიტიკიდან გამომდინარე, ჭანტურიას სანაკრებო კარიერა დასრულებულად უნდა ჩავთვალოთ.

29. ნუკრი რევიშვილი (მეკ.)

**ამხანაგურებში: 2 მატჩი.**

მხოლოდ ორ ამხანაგურ შეხვედრაში მიეცა შანსი და გოლი არ გაუშვია. წლეულს ხან ტრავმები აწუხებდა, ხანაც ნაკრების თავკაცის ყურადღებას ვერ იქცევდა.

13. ზურაბ ხიზანიშვილი (მცვ.)

**შესარჩევში: 8 მატჩი, 2 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 6 მატჩი, 2 გაფრთხილება, 1 გაძევება**

საკლუბო პრობლემები მის სანაკრებო გამოსვლაზეც აისახა. შეხვედრების უმეტესობაში ბევრი წუნი ჰქონდა, თუმცა რამდენიმე მატჩში თავი კარგად წარმოაჩინა – თუნდაც "ეროვნულზე", შოტლანდიასთან.

16. მალხაზ ასათიანი (მცვ.)

**შესარჩევში: 7 მატჩი**

**ამხანაგურებში: 5 მატჩი**

ლიტვასთან არცთუ დამაჯერებელი იყო, სხვა მატჩებში კი გუნდის ლიდერის ტვირთს რიგიანად ეზიდებოდა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ უმძიმესმა ტრავმამ ასათიანს თითქმის წელიწადი დააკარგვინა.

23. ლაშა სალუქვაძე (მცვ.)

**შესარჩევში: 7 მატჩი, 1 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 5 მატჩი (2 შეცვლაზე), 1 გოლი**

როცა ძირითადში ხვდებოდა, დაკისრებულ ამოცანას თავს ნორმალურად ართმევდა. ტოპმიოლერის ნდობა ბოლო პერიოდში უფრო დაიმსახურა. ყატარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა

4. კახა კალაძე (მცვ.)

**შესარჩევში: 5 მატჩი**

**ამხანაგურებში: 5 მატჩი**

ეროვნული ნაკრების კაპიტანს შესარჩევი მატჩების ნახევარზე მეტი ტრავმებმა გამოატოვებინა, სამაგიეროდ, როცა მოედანზე იყო, კალაძე ყოველთვის საიმედო თამაშით გამოირჩეოდა.

37. გიორგი შაშიაშვილი (მცვ.)

**შესარჩევში: 7 მატჩი (1 შეცვლაზე), 1 გოლი, 1 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 4 მატჩი (1 შეცვლაზე)**

მისი მთავარი წარმატება ცხადია, იტალიის ნაკრების კარში გატანილი შესანიშნავი გოლია. ძირითადის მყარი წევრი არც შაშიაშვილია, მაგრამ საკუთარ შანსს თითქმის ყოველთვის კარგად იყენებდა.

3. ოთარ ხიზანეიშვილი (მცვ.)

**შესარჩევში: 3 მატჩი**

**ამხანაგურებში: 4 მატჩი (2 შეცვლაზე)**

არცთუ შორეულ წარსულში იგი ნაკრების უცვლელი წევრი იყო, წლეულს კი ტრავმებიც აწუხებდა და კლუბში უთამაშებლობაც. ნამდვილად არ უთამაშია იმდენი, ან დადებითი, ანაც უარყოფითი შეფასება რომ დაიმსახუროს.

25. ზაალ ელიავა (მცვ.)

**შესარჩევში: 3 მატჩი**

**ამხანაგურებში: 2 მატჩი**

ტრავმებმა ხელი ელიავასაც შეუშალა. შეტევებში კარგად ერთვებოდა, დაცვაში კი გარკვეული წუნი ჰქონდა. შოტლანდიაში მიღებულ მეორე გოლში ბრალი მას მიუძღვის.

17. მათე ღვინიანიძე (მცვ.)

**შესარჩევში: 2 მატჩი**

**ამხანაგურებში: 2 მატჩი**

მას ჯერჯერობით, ახალგაზრდული ნაკრების წევრი უფრო ეთქმის, ვიდრე ეროვნულისა, მაგრამ მათე თვალსაჩინოდ პროგრესირებს და წესით, მომავალ ციკლში ტოპმიოლერის გუნდის ძირითადთან უფრო ახლოს იქნება.

36. დავით იმედაშვილი (მცვ.)

**შესარჩევში: 1 მატჩი**

ტოპმიოლერმა კიევში ძირითადში გაამწესა, მაგრამ იმედაშვილმა ვერ გაამართლა, პირველივე ტაიმში შეცვალეს და მას შემდეგ ეროვნულის ფორმა აღარც მოურგია.

ლევან მაღრაძე (მცვ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი**

ძნელია, მაღრაძეს ნაკრების წევრი უწოდო. ჟირესის დროს სანაკრებო მიწვევებს ხშირად უარყოფდა, დღესდღეობით კი ძველებური საკლუბო წარმატებებიც აღარ აქვს...

გიორგი ფოფხაძე (მცვ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

**წესით, მომავალ ციკლში ნაკრების რეალური კანდიდატი უნდა იყოს.**

გიორგი სეთურიძე (მცვ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

სადღეისოდ, ტრავმირებულია, თუ ფორმაში დროულად ჩადგება, ტოპმიოლერის თვალთახედვის არეში აუცილებლად იქნება.

47. ალექსანდრე კვახაძე (მცვ.)

**შესარჩევში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 2 მატჩი (1 შეცვლაზე)**

ნაკრებს ნელ-ნელა უშინაურდება, ბუნებრივია, ყველაფერი თავად მასზეა დამოკიდებული.

2. კახა მჟავანაძე (მცვ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი**

ზელანდიის შემდეგ, ნაკრებში აღარ მიუწვევიათ. ძნელი წარმოსადგენია, ტოპმიოლერის ყურადღება დაიმსახუროს.

39. ალექსანდრე ამისულაშვილი (მცვ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

მისი არსებობა ეროვნულის მთავარმა მწვრთნელმა დაგვიანებით გაიგო, მაგრამ ამით ამისულაშვილისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა.

48. დავით ლომაია (მცვ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

საკმაოდ პერსპექტიული მცველია და ნამდვილად არაა უშანსოდ.

88. ამირან სანაია (მცვ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი**

ყატარში ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა და თუ პროგრესირება განაგრძო, ალბათ, უყურადღებოდ არც იგი დარჩება.

5. დავით კვირკველია (ნახ.)

**შესარჩევში: 10 მატჩი (2 შეცვლაზე), 1 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 6 მატჩი (1 შეცვლაზე), 1 გაფრთხილება**

მატჩების უმეტესობა მაღალ დონეზე ჩაატარა და ხშირ შემთხვევებში, ლიდერულ თვისებებსაც ავლენდა. საერთო ჯამში, მისი თამაში დადებითად უნდა შეფასდეს.

18. ზურაბ მენთეშაშვილი (ნახ.)

**შესარჩევში: 10 მატჩი (2 შეცვლაზე), 1 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 6 მატჩი (1 შეცვლაზე), 1 გაფრთხილება**

თავის საქმეს თავს თითქმის ყოველთვის ნორმალურად ართმევს. თავისი შრომით დაიმსახურა, რომ ძირითადის უალტერნატივო წევრი იყოს. ლიტვასთან მისი დაშავების შემდეგ, ჩვენი მარჯვენა ფლანგი საგრძნობლად შესუსტდა.

22. ჯაბა კანკავა (ნახ.)

**შესარჩევში: 9 მატჩი, 4 გაფრთხილება, 1 გაძევება**

**ამხანაგურებში: 5 მატჩი, 1 გოლი, 2 გაფრთხილება**

ნელ-ნელა ღვინდება და ზედმეტ გაფრთხილებებს უკვე ნაკლებად იღებს. მის მიმართ საპრეტენზიო ტოპმიოლერს ბევრი არ უნდა ჰქონდეს. ასაკის მატებასთან ერთად, კანკავა ალბათ, ნაკრების ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდება.

7. ლევან ცქიტიშვილი (ნახ.)

**შესარჩევში: 7 მატჩი, 3 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 6 მატჩი, 2 გაფრთხილება**

ტოპმიოლერის ერთ-ერთი რჩეული ფეხბურთელია. მწვრთნელი მას ყოველთვის ენდობა, უგუნდობის პერიოდშიც კი. ლიტვასთან თამაში არ წაუვიდა. სხვა მატჩების უმრავლესობაში კი კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ზოგჯერ გუნდის ლიდერობაც გამოსდიოდა.

10. ლევან კობიაშვილი (ნახ.)

**შესარჩევში: 6 მატჩი, 1 გოლი, 4 გაფრთხილება**

ამხანაგურებში: 4 მატჩი, 2 გოლი

ლევან საუკეთესო დროება ნამდვილად არ უდგას, რასაც ტრავმებიც თან დაერთო. ეს ციკლი მის აქტივში ნამდვილად ვერ ჩაიწერება, მაგრამ ეჭვიც არ გვეპარება, რომ მომავალი წლიდან ლევანი ნაკრებისთვის კვლავ სასარგებლო იქნება.

20. დავით მუჯირი (ნახ.)

**შესარჩევში: 7 მატჩი (4 შეცვლაზე), 1 გოლი**

**ამხანაგურებში: 4 მატჩი (4 შეცვლაზე)**

ფარერებზე კარგი შეხვედრა ჩაატარა, შემდეგ კი პოზიციები ნელ-ნელა დათმო, უმეტესად შეცვლებზე ათამაშებდნენ რამდენიმე წუთით, ზოგჯერ კი საერთოდ არ იწვევდნენ.

14. გოგიტა გოგუა (ნახ.)

**შესარჩევში: 4 მატჩი (1 შეცვლაზე), 2 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 6 მატჩი (3 შეცვლაზე), 4 გაფრთხილება, 1 გაძევება**

ტრავმისა და ნაკრებში გარკვეული პრობლემების გამო, შესარჩევი ტურნირის მეორე ნახევარი მთლიანად გაუცდა. მანამდე კი ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

35. ილია კანდელაკი (ნახ.)

**შესარჩევში: 5 მატჩი (4 შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 4 მატჩი (1 შეცვლაზე)**

ბევრი სათამაშო დრო არ მისცემია, მაგრამ დაკისრებულ ამოცანას თავს ძირითადად, ნორმალურად ართმევდა.

77. ლევან ყენია (ნახ.)

**შესარჩევში: 4 მატჩი (2 შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 2 მატჩი**

მის შესახებ დღეს ბევრს არ ვისაუბრებთ – ღმერთმა ქნას, ყველაფერი კარგად გაგრძელდეს და ლევანი ნაკრების ჭეშმარიტ ლიდერად ჩამოყალიბდეს.

6. კახა ალადაშვილი (ნახ.)

**შესარჩევში: 2 მატჩი**

**ამხანაგურებში: 4 მატჩი (2 შეცვლაზე)**

თბილისში, საფრანგეთთან ჩაგდებული პირველი ტაიმის შემდეგ, სამწვრთნელო შტაბს მისი სამსახური აღარ დასჭირვებია.

41. ლადო ბურდული (ნახ.)

**შესარჩევში: 2 მატჩი**

**ამხანაგურებში: 3 მატჩი**

ლუქსემბურგში ნათამაშები ნულოვანი ფრის შემდეგ, რამდენიმე ფეხბურთელი საქმისადმი გულგრილ მიდგომაში დაადანაშაულეს. ნაკრებში ყველა მათგანი დააბრუნეს, ბურდულის გარდა...

8. გიორგი გახოკიძე (ნახ.)

**შესარჩევში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

ტოპმიოლერი ძირითადის წევრად მოიაზრებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ნიჭიერმა ნახევარმცველმა ტრავმის გამო კარიერა 31 წლის ასაკში დაასრულა.

გიორგი განუგრავა (ნახ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე), 1 გაფრთხილება**

ამ ეტაპზე მისი კარიერა შეწყვეტილია. ძალიან დასანანია...

38. შოთა გრიგალაშვილი (ნახ.)

**ამხანაგურებში: 2 მატჩი (1 შეცვლაზე), 1 გაფრთხილება, 1 გაძევება**

ტოპმიოლერი მაშინაც ენდობოდა, როცა "დინამოში" არ ათამაშებდნენ. დღესდღეობით კი ვერაფერს იტყვი, შოთა "ბორჯომის" რიგებში წარმატებით გამოდის. ლიტვასთან მან ყატარში გაძევების გამო ვერ ითამაშა.

55. გიორგი დეკანოსიძე (ნახ.)

**ამხანაგურებში: 2 მატჩი (ორივე შეცვლაზე)**

ბოლო შეკრებაზე გამოიძახეს და ყატარში რამდენიმე წუთი ათამაშეს. ძნელი სათქმელია, შეძლებს თუ არა ნაკრებში დამკვიდრებას.

51. გრიგოლ დოლიძე (ნახ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი**

აზერბაიჯანში ძირითადში გაამწესეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკრებში მაშინ არ იწვევდნენ, როცა "ამერში" გაცილებით შედეგიანად თამაშობდა.

53. დავით ბოლქვაძე (ნახ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

სხვა ამერელთა მსგავსად, მისი სანაკრებო პერსპექტივის პროგნოზირებაც რთულია.

31. სანდრო კობახიძე (ნახ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

ახალგაზრდული ნაკრების შეადგენლობაში წარმატებით ასპარეზობს, აქედან ეროვნულამდე კი შორი არაა...

44. ალექსი ბენაშვილი (ნახ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

თუ შრომა და პროგრესირება განაგრძო, სანაკრებო შანსი ალბათ, კვლავ მიეცემა.

30. გიორგი დემეტრაძე (თავ.)

**შესარჩევში: 8 მატჩი (1 შეცვლაზე), 1 გოლი, 6 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 5 მატჩი (1 შეცვლაზე), 1 გაფრთხილება**

ხშირად უძღვებოდა ნაკრების შეტევებს, მაგრამ ბოლო მატჩები აშკარად ჩააგდო. თავდასხმაში არსებული კონკურენციის დაძლევა გაისად შეიძლება, კიდევ უფრო გაუჭირდეს.

9. ალექსანდრე იაშვილი (თავ.)

**შესარჩევში: 7 მატჩი (1 შეცვლაზე), 3 გოლი, 1 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 4 მატჩი (3 შეცვლაზე)**

ციკლის ბოლოს ტოპმიოლერმა მასზე უარი თქვა, რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ გამოცდილ ფორვარდს სანაკრებო შანსი კიდევ კარგა ხანს არ მიეცეს. არველაძის შემდეგ, ამ შესარჩევში ქართველთაგან ყველაზე მეტი გოლი მან და სირაძემ გაიტანეს.

43. დავით სირაძე (თავ.)

**შესარჩევში: 6 მატჩი (3 შეცვლაზე), 3 გოლი, 1 გაფრთხილება**

**ამხანაგურებში: 3 მატჩი, 1 გოლი**

ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც სანაკრებო შანსი არცთუ დიდი ხნის წინათ მიეცა და ეს შანსი სრულად გამოიყენა. მადლობა ღმერთს, ლიტველ მცველთან შეჯახებას ცოცხალი გადაურჩა. დათოს მალე გამოჯანმრთელებასა და კიდევ ბევრ გოლს ვუსურვებთ.

11. შოთა არველაძე (თავ.)

**შესარჩევში: 4 მატჩი, 5 გოლი**

**ამხანაგურებში: 2 მატჩი, 1 გოლი**

ალბათ, შოთას სანაკრებო უკვე კარიერა დასრულებულია. მისი წასვლის შემდეგ წინა ხაზში სიცარიელე ბოლომდე ჯერ ვერ შეგვივსია. ყველა შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურ მატჩებში მოედანზე მხოლოდ ოთხჯერ გავიდა, ხუთი გოლის გატანა შეძლო და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

21. ოთარ მარცვალაძე (თავ.)

**შესარჩევში: 5 მატჩი (3 შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 4 მატჩი (2 შეცვლაზე)**

ნაკრების დამრიგებელი ხშირად ენდობა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მარცვალაძე ამ ნდობას ამართლებს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ჩვენი გუნდის შეტევებს სიმწვავე ვერ შემატა, ლიტვასთან მატჩიც აშკარად ჩააგდო.

99. ლევან მ□ედლიძე (თავ.)

**შესარჩევში: 3 მატჩი, 1 გოლი**

**ამხანაგურებში: 1 მატჩი**

სტაბილურობა აკლია, თუმცა ჭაბუკურ ასაკში ეს ჩვეული მოვლენაა. ყენიას მსგავსად, ნამდვილი ტალანტია და ეროვნულ ნაკრებშიც იმსახურებს ადგილს. შოტლანდიასთან მატჩი ჩინებულად ჩაატარა.

15. ლაშა ჯაკობია (თავ.)

**შესარჩევში: 3 მატჩი (2 შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 3 მატჩი (1 შეცვლაზე)**

ნაკრებს მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა, თავი ბევრით არაფრით გამოუჩენია, თუმცა ბაქოში ბევრი იშრომა და საგოლე პასის ავტორი გახდა.

32. მიხეილ აშვეთია (თავ.)

**შესარჩევში: 2 მატჩი (1 შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 2 მატჩი (ორივე შეცვლაზე)**

ცოტა ითამაშა, ნაკრებში კი ტოპმიოლერთან მომხდარი მცირე ინცინდენტის (თამაშის შემდეგ მწვრთნელს არ დაემშვიდობა) შემდეგ აღარ გამოჩენილა.

19. ვასილ გიგიაძე (თავ.)

**შესარჩევში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში 4 მატჩი (2 შეცვლაზე)**

ტოპი არც მაშინ იძახებდა, როცა უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი იყო, მიმდინარე უსახური სეზონის პირობებში კი მისი თამაშგარეში ყოფნა ლოგიკურია.

46. დიმიტრი ტატანაშვილი (თავ.)

**შესარჩევში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 1 მატჩი, 1 გოლი**

თამაში უკრაინასთანაც გაამწვავა, აზერბაიჯანს კი სულაც გოლი გაუტანა. გუნდში ამინდი ნამდვილად არ გაუფუჭებია.

85. ნიკოლოზ გელაშვილი (თავ.)

**შესარჩევში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

დღეისათვის, ოპტიმალურ ფორმაში არ უნდა იყოს, სამომავლოდ კი არცთუ ურიგო სანაკრებო შანსი აქვს.

24. ზურაბ იონანიძე (თავ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ზელანდია-საქართველო ვეტერანი ფორვარდის უკანასკნელი სანაკრებო მატჩი იყო.

26. ირაკლი მოდებაძე (თავ.)

**ამხანაგურებში: 1 მატჩი (შეცვლაზე)**

მას ნიჭიერებას ვერავინ დაუწუნებს, მაგრამ დღეს უპრაქტიკო და ფაქტობრივად, უგუნდოა. გუნდისთვის კი ის ფიგურა ნამდვილად არაა, ტოპმიოლერმა ამ ფაქტორზე თვალი დახუჭოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**საქართველოს ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში**

| | მ | შ | გოლი | გაფ. | გაძ. |
|---|---|---|---|---|---|
| ზურაბ მენთეშაშვილი | 10 | 2 | - | 1 | - |
| დავით კვირკველია | 10 | 2 | - | 1 | - |
| ჯაბა კანკავა | 9 | - | - | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 8 | - | - | 2 | - |
| გიორგი დემეტრაძე | 8 | 1 | 1 | 6 | - |
| ლევან ცქიტიშვილი | 7 | - | - | 3 | - |
| მალხაზ ასათიანი | 7 | - | - | - | - |
| ლაშა სალუქვაძე | 7 | - | - | 1 | - |
| გიორგი ლომაია | 7 | - | -11 | - | - |
| ალექსანდრე იაშვილი | 7 | 1 | 3 | 1 | - |
| გიორგი შაშიაშვილი | 7 | 1 | 1 | 1 | - |
| დავით მუჯირი | 7 | 4 | 1 | - | - |
| ლევან კობიაშვილი | 6 | - | 1 | 4 | - |
| დავით სირაძე | 6 | 3 | 3 | 1 | - |
| კახა კალაძე | 5 | - | - | - | - |
| ოთარ მარცვალაძე | 5 | 3 | - | - | - |
| ილია კანდელაკი | 5 | 4 | - | - | - |
| შოთა არველაძე | 4 | - | 5 | - | - |
| გოგიტა გოგუა | 4 | 1 | - | 2 | - |
| ლევან ყენია | 4 | 2 | - | - | - |
| ოთარ ხიზანეიშვილი | 3 | - | - | - | - |
| ზაალ ელიავა | 3 | - | - | - | - |
| გრიგოლ ჭანტურია | 3 | - | -6 | - | - |
| ლევან მჭედლიძე | 3 | - | 1 | - | - |
| ლაშა ჯაკობია | 3 | 2 | - | - | - |
| კახა ალადაშვილი | 2 | - | - | - | - |
| ლადო ბურდული | 2 | - | - | - | - |
| მათე ღვინიანიძე | 2 | - | - | - | - |
| გიორგი მაკარიძე | 2 | - | -2 | - | - |
| მიხეილ აშვეთია | 2 | 1 | - | - | - |
| დავით იმედაშვილი | 1 | - | - | - | - |
| ალექსანდრე კვახაძე | 1 | 1 | - | - | - |
| გიორგი გახოკიძე | 1 | 1 | - | - | - |
| ვასილ გიგიაძე | 1 | 1 | - | - | - |
| დიმიტრი ტატანაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 1 | 1 | - | - | - |

*მ. - მატჩი, შ. - შეცვლაზე*

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge







ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი

# თვითმკვლელობა ინგლისურად

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სომხეთი-ყაზახეთი | 0:1 |
| აზერბაიჯანი-ბელგია | 0:1 |
| სერბეთი-პოლონეთი | 2:2 |
| პორტუგალია-ფინეთი | 0:0 |

ის, რაც ერევანში პორტუგალიისა და პოლონეთის ნაკრებმა გუნდებმა (რომლებიც ჯგუფიდან გავიდნენ) ვერ მოახერხეს, ყაზახეთმა შეძლო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტოქეს სამაგიეროც გადაუხადა იმისათვის, რომ პირველი მატჩი, ყაზახეთში, სომხების გამარჯვებით (2:1) დასრულდა. ეს ერთადერთი გოლი სომეხთა მეკარე **რომან ბერეზოვსკის** კარში **სერგეი ოსტაპენკომ** 64-ე წუთზე გაიტანა. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში სცოდავდნენ, უმეტესად კი, საქმე საგოლე მომენტამდე არც მიდიოდა. ყაზახებს დიდად არ უაქტიურიათ, უმეტესად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, გოლი სწორედ მათ გაიტანეს. ყაზახეთისთვის ეს მეორე გამარჯვება გახლდათ, რომლის მეშვეობითაც ამ გუნდმა სომხეთს გაასწრო. შეგახსენებთ, რომ ხვალ ყაზახები სერბეთს ესტუმრებიან.

აზერბაიჯანისთვის ამ თამაშს სატურნირო თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან უშუალოდ მატჩამდე იყო ცნობილი, რომ ჩვენი მეზობლები ბოლო ადგილისთვის იყვნენ განწირულები – სომხეთს ან ყაზახეთს გამარჯვების შემთხვევაშიც კი ვერ ენეოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ბელგიაზეც, რომელსაც მეხუთე ადგილზე გასვლა ჰქონდა გარანტირებული. ამრიგად, ბაქოში მოპოვებული გამარჯვება ბელგიელებს ოდნავ თუ დაამშვიდებს, თორემ აუტსაიდერთან უმოტივაციო მატჩის მოგება დიდი ვერაფერი შეღავათია იმისა, რომ ბელგიამ ამ შესარჩევში თავი შეირცხვინა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბელგიელთა გამარჯვება 100 პროცენტით დამსახურებულია, რადგან თუკი „ტოფიკ ბახრამოვის" სახელობის სტადიონზე რომელიმე გუნდი დომინირებდა, პირველ რიგში ეს სწორედ სტუმართა გუნდზე ითქმის. გოლიც, რომელიც 53-ე წუთზე **ლუიჯი პიერონიმ** გაიტანა, ლოგიკური გახლდათ. ბელგიელები მთელი მატჩის განმავლობაში უფრო აქტიურად თამაშობდნენ და კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა. მაგალითად, მე-17 წუთზე **სვერტსს** შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ აზერბაიჯანელმა მეკარე **ფარხად ველიევმა** ივარგა. იმავე ველიევმა, 5 წუთის შემდეგ უკვე **დანიელ ვან ბუიტენის** ძალიან სახიფათო თავური დარტყმა მოიგერია. აზერბაიჯანელებმა პირველ ტაიმში ერთადერთი მომენტი შექმნეს, როცა 37-ე წუთზე **რამაზანოვმა** ბურთი **ვანდერბუსხეს** კარს მცირე მანძილით ააცილა. რაც შეეხება ბელგიელთა გოლს: აზერბაიჯანის მცველმა **რაილ მელიკოვმა** ერთ-ერთი ბელგიელის თავურტი დარტყმა დაბლოკა, მაგრამ ბურთი პიერონის მიუვიდა, რომელსაც ახლო მანძილიდან გატანა აღარ გასჭირვებია. სხვათა შორის, 65-ე წუთზე მასვე დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ააცილა.

თამაშის წინ სერბეთს ჯერ კიდევ ჰქონდა ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი, მაგრამ იმისათვის, რომ ოცნების გაგრძელების უფლება ჰქონოდა, პირველ რიგში უკვე ევროპის ჩემპიონის მონაწილე და ჯგუფის უმოტივაციო ლიდერი უნდა დაემარცხებინა. მაგრამ სერბები პოლონეთთან მხოლოდ და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ და უნდა ითქვას, რომ მარცხსაც ძლივს გადაურჩნენ. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი წესითა და რიგით უმოტივაციო უნდა ყოფილიყო, ბრძოლის ჟინი გამოამჟღავნა და ბოლომდე იბრძოლა. თავად განსაჯეთ, პოლონეთი **რაფალ მურავსკისა** და **რადოსლავ მატუსიაკის** გოლებით 2:0-ს იგებდა. მაგრამ სერბეთმა მეორე ტაიმში ანგარიში ორ წუთში გაათანაბრა: 69-ე წუთზე ერთი ბურთი **ჟიგიჩმა** გაქვითა, 71-ეზე კი, **დანკო ლაზოვიჩმა** გაათანაბრა. თუმცა სერბებმა მეტი ველარაფერი მოახერხეს, რის გამოც, **ხავიერ კლემენტეს** გუნდი ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მაყურებლის რანგში იქნება. არადა, ბოლო წუთზე ჟიგიჩს გამარჯვების გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ შესანიშნავი შანსი ვერ გამოიყენა. მანამდე კი პოლონელებსაც ჰქონდათ კარგი მომენტი, როცა **ლევანდოვსკიმ** სერბთა კარის დარაჯ **ავრამოვს** ვერ აჯობა.

მართალია, პორტუგალიას ფინეთთან ფრეც ჰყოფნიდა იმისათვის, რომ თავი ევროპის ჩემპიონატზე დაეგულა, მაგრამ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდებს ფრეზე არ უთამაშიათ და მთელი მატჩის განმავლობაში თავგამოდებით უტევდნენ. არადა ფინეთს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის გმირი ფინელთა მეკარე **იუსი იაასკელაინენი** გახლდათ. გამარჯვების შემთხვევაში პორტუგალია პოლონეთს გადაასწრებდა და ეს რომ არ მოხერხდა, სწორედ იაასკელაინენის დამსახურებაა. მეორე ტაიმში ფინეთმა თამაში გამოასწორა და რამდენიმე სახიფათო იერიში განახორხიელა, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. თუმცა მატჩის მიწურულს სკანდინავიელებს მაინც შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ის მომენტიც პორტუგალიელისა იყო – **ბრუნო ალვეშმა** კინაღამ ავტოგოლი მიითვალა. უგოლო ფრემ ფინელები მესამე ადგილზე დატოვა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხვალ სერბეთი ყაზახეთს დაამარცხებს, ფინეთი საბოლოოდ მე-4 ადგილზე გავა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 14 | 8 | 4 | 2 | 24-12 | 28 |
| 2. პორტუგალია | 14 | 7 | 6 | 1 | 24-10 | 27 |
| 3. ფინეთი | 14 | 6 | 6 | 2 | 13-7 | 24 |
| 4. სერბეთი | 13 | 5 | 6 | 2 | 21-11 | 21 |
| 5. ბელგია | 14 | 5 | 3 | 6 | 14-16 | 18 |
| 6. ყაზახეთი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-20 | 10 |
| 7. სომხეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 4-13 | 9 |
| 8. აზერბაიჯანი | 12 | 1 | 2 | 9 | 6-28 | 5 |

**დარჩენილი მატჩი**

24 ნოემბერი

**სერბეთი-ყაზახეთი**

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მალტა-ნორვეგია | 1:4 |
| თურქეთი-ბოსნია | 1:0 |
| უნგრეთი-საბერძნეთი | 1:2 |

ნორვეგიას თავისი თამაში აუცილებლად უნდა მოეგო და თან იმაზე ეოცნება, რომ თურქეთი საკუთარ კედლებში ბოსნიას ვერ დაამარცხებდა. ასეთ შემთხვევაში ნორვეგია ევროპის ჩემპიონატზე გავიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ეს ყველაფერი სკანდინავიელებმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან გასულ შაბათს მათ ჰქონდათ შანსი, თურქეთისთვის მოეგოთ და ასეთ შემთხვევაში მათი ბედი მათსავე ხელში იქნებოდა. ნორვეგიამ თავისი ამოცანა კი შეასრულა, მაგრამ ბოსნიამ თურქეთს ვერაფერი დაუპირისპირა და შესაბამისად, ავსტრია/შვეიცარიის საგზური თურქებს დარჩათ. ნორვეგიელებს კი სანუგეშოდ ისიც ეყოფათ, რომ ბოლო მატჩში მალტას გადაურბინეს – 4:1, **ივერსენმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თურქეთს ბოსნიის ძლევა გაუჭირდა. **ფატიჰ თერიმის** გუნდმა მისთვის გადამწყვეტი შეხვედრა, გაცილებით სუსტ მეტოქესთან მინიმალური ანგარიშით მოიგო და ეს ერთადერთი გოლი **ნიჰატის** ანგარიშზეა, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს იხეირა და თავისი გუნდი გადაარჩინა.

თურქები მთელი 90 წუთის განმავლობაში დომინირებდნენ, მომენტებსაც მრავალად ქმნიდნენ, მაგრამ ვერ იყენებდნენ. საწყის წუთებში მასპინძლებს 4-ჯერ შეეძლოთ ბოსნიელთა მეკარე **ანდან გუშოს** დამწუხრება, მაგრამ ნიჰატმა (ორჯერ), **არდამ** და **თურანმა** ვერ ივარგეს. ბოსნიელებს განსაკუთრებით ნიჰატი აწუხებდა, რომელსაც ვერაფერი მოუხერხეს – „ვილიარეალის" ფორვარდი საუკეთესო გახლდათ და მას გოლიც ეფექტური გამოუვიდა: **ჰამით ალთინთოფის** ფლანგურ გარღვევას და დროულ ჩაწოდებას, დროულად გამოეხმაურა და თურქეთი ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გახადა.

ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა შესარჩევი ციკლი ამაღლებულ ნოტაზე დაასრულა – საბერძნეთის ნაკრებმა ბოლო მატჩიც მოიგო (უნგრეთში, 2:1) და მთელი საკვალიფიკაციო ეტაპის საუკეთესო გუნდი გახდა. 10 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება – ასეთია **ოტო რეჰაგელის** შეგირდების მონაგარი და შესაბამისად, საბერძნეთმა 31 ქულას მოუყარა თავი. ასეთი შედეგი კი სხვა არცერთ ნაკრებს არა აქვს. თუმცა ბერძნები უნგრეთში თავიდან აგებდნენ, მაგრამ მერე ჯერ **ვანჩაკს** გაატანინეს ავტოგოლი, 59-ე წუთზე კი **ბასინასმა** პენალტი გაიტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 12 | 10 | 1 | 1 | 25-10 | 31 |
| 2. თურქეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 25-11 | 24 |
| 3. ნორვეგია | 12 | 7 | 2 | 3 | 27-11 | 23 |
| 4. ბოსნია | 12 | 4 | 1 | 7 | 16-22 | 13 |
| 5. მოლდოვა | 12 | 3 | 3 | 6 | 12-19 | 12 |
| 6. უნგრეთი | 12 | 4 | 0 | 8 | 11-22 | 12 |
| 7. მალტა | 12 | 1 | 2 | 9 | 10-31 | 5 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია-უელსი | 0:0 |
| კვიპროსი-ჩეხეთი | 0:2 |
| სან მარინო-სლოვაკეთი | 0:5 |

გერმანიის ნაკრებმა უელსთან ძალიან ცუდად ითამაშა და 0:0-ს დასჯერდა. ფრანკფურტელი გულშემატკივრები ბუნდესგუნდს მთელი 90 წუთის მანძილზე უსტვენდნენ, რადგან **იოახიმ ლიოვის** შეგირდებს მონდომებაც აკლდათ, კონცენტრაციაც და სურვილიც! რატომ? გერმანული გამოცემა „ბილდი" გუშინ ძალიან საინტერესო ვერსიაზე წერდა, რომელიც ასე გამოიყურება:

იქნებ გერმანელებს საერთოდ არც უნდოდათ ამ თამაშის მოგება? საქმე იმაშია, რომ სანამ გერმანია-უელსი დაიწყებოდა, უკვე დამთავრებული გახლდათ ბელარუსისა და ჰოლანდიის დაპირისპირება, რომელიც მოულოდნელად ბელარუსებმა მოიგეს (**ვან ბასტენმა ლიდერები, ვან ნისტელროი, ვან დერ ვაარტი და ზეედორფი** დაასვენა). ჰოლანდიამ ფაქტობრივად ძალით წააგო ბელარუსთან, რადგან გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად პირველ კალათაში განითესებოდა, მარცხის შემდეგ კი, რჩებოდა იმის შანსი, რომ მეორე კალათაში განთესილიყო, ოღონდ ამისათვის საჭირო იყო, რომ გერმანიას (ჰოლანდიის შემდეგ მეორე მაჩვენებლის მქონე გუნდს) უელსი დაემარცხებინა. მაგრამ აი, გერმანიამაც არ მოიგო თავისი თამაში და პირველ კალათას მაინც ჰოლანდია შეატოვა.

კი მაგრამ, რატომ არ სურდათ გერმანიას და ჰოლანდიას პირველ კალათაში მოხვედრა? საქმე იმაშია, რომ პირველ კალათაში ისედაც (სხვებთან შედარებით) სუსტი გუნდები არიან: შვეიცარია და (განსაკუთრებით) ავსტრია. პირველ კალათაში მყოფ სხვა გუნდს კი, შესაბამისად, არ აქვს იმის შანსი, რომ ჯგუფში მაგალითად ავსტრიასთან მოხვდეს.

ერთი სიტყვით, ეს მხოლოდ ვარაუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



დებია, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ გერმანიამ უელსთან ძალიან ცუდად ითამაშა. **ტიმ ბოროვსკიმ** ორჯერ მოარტყა ბურთი ძელს – ეს იყო და ეს, ალემანებს მეტი ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებიათ. სხვათა შორის, ლიოვმა **ლუკას პოდოლსკი** ისევ მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშა, მაგრამ ამჯერად პოლდიმ ველარ იბრწყინა, რის გამოც ლეგენდარულმა გერმანელმა ფეხბურთელმა **გიუნტერ ნეტცერმა**, ნამატჩევს დაასკვნა: პოდოლსკი მხოლოდ კვიპროსის დარი გუნდების წინააღმდეგ იქნება ფლანგის კარგი ნახევარმცველი, სხვა შემთხვევებში კი, უმჯობესია, ისევ თავდამსხმელად გამოვიყენოთო...

ჩეხეთის ნაკრებმა დასახულ მიზანს მიაღწია – **კარელ ბრიუკნერის** შეგირდებმა ბოლო მატჩიც მოიგეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. კვიპროსის ნაკრების კარში პირველი გოლი **დანიელ პუდილმა** მე-11 წუთზე გაიტანა, მეორე გოლის ავტორი კი **იან კოლერი** გახლავთ, რომელმაც 74-ე წუთზე დაამწუხრა კვიპროსელთა მეკარე **გეორგალიდესი**. ჩეხებმა გერმანიას გაასწრეს და ამის შედეგად, 2 დეკემბერს გასამართ წილისყრაზე, ჩეხეთის ნაკრები მეორე კალათაში იქნება განთესილი, გერმანია კი მესამეში.

ნული მოგება, ნული ფრე, თორმეტი ნაგება, ბურთების შეფარდება - 2-57. ეს სან მარინოს საბოლოო მონაგარი გახლავთ, რაც ალბათ კომენტარს აღარ საჭიროებს. უბრალოდ იმასღა გეტყვით, რომ ამ შედეგით სან მარინო საკვალიფიკაციო ეტაპის ყველაზე უარესი გუნდია...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 12 | 9 | 2 | 1 | 27-5 | 29 |
| 2. გერმანია | 12 | 8 | 3 | 1 | 35-7 | 27 |
| 3. ირლანდია | 12 | 4 | 5 | 3 | 17-14 | 17 |
| 4. სლოვაკეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 33-23 | 16 |
| 5. უელსი | 12 | 4 | 3 | 5 | 18-19 | 15 |
| 6. კვიპროსი | 12 | 4 | 2 | 6 | 17-24 | 14 |
| 7. სან მარინო | 12 | 0 | 0 | 12 | 2-57 | 0 |

### E ჯგუფი

| | |
|---|---|
| ისრაელი-მაკედონია | 1:0 |
| ანდორა-რუსეთი | 0:1 |
| ინგლისი-ხორვატია | 2:2 |



ინგლისმა საკუთარი ხელით გაითხარა სამარე. თამაშის მეორე დღესვე კარისკენ მიუთითეს **სტივ მაკლარენს**. ამ თემას ცალკე მასალაში შევეხებით. იქამდე კი ხორვატებთან მატჩის პერიპეტიები გავიხსენოთ. ლონდონში გადაუღებლად წვიმდა. წვიმამ „უემბლის" მინდორი გვარიანად აატალახა. ლამის ნახევარი მოედანი დაიტბორა, მაგრამ მძიმე პირობები ოდნავადაც ვერ ამსუბუქებს შეცდომას, რომელიც **სკოტ კარსონმა** დაუშვა. „ასტონ ვილის" კარის დარაჯს 25 მეტრიდან დაურტყეს. ის ჩაიმუხლა და ბურთის დასაჭერად მოემზადა, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუსხლტა და კარში მოკალათდა. ეს ბედის დაცინვა იყო. მაკლარენმა ტოტენჰემელი **პოლ რობინსონი** ბრიყვული თამაშის გამო შეცვალა. კარსონმა რობინსონს ტოლი არაფერში დაუდო. ის ნაკრებში მეორე მატჩს ატარებდა. მისი დებიუტი ხუთი დღით ადრე, ავსტრიასთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა.

ხორვატებმა ანგარიში მე-7 წუთზე გახსნეს. ინგლისს მაშინვე შეეძლო, ეპასუხა. **ჯო კოულმა პიტერ კრაუჩს** გაუგორა ბურთი, ამ უკანასკნელმა სტუმართა საჯარიმოს მარცხენა ფლანგზე **შონ რაიტ-ფილიპსი** შენიშნა. „ჩელსის" ნახევარმცველმა მახვილი კუთხიდან პირდაპირ მეკარეს დაუმიზნა. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და ხორვატია ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდა. მეორე გოლის არქიტექტორი „არსენალის" თავდამსხმელი **ედუარდო და სილვა** იყო. ყოვლად გაუგებარი მიზეზების გამო რაიტ-ფილიპსი მარჯვენა მცველის პოზიციაზე აღმოჩნდა. მან ზემოთ ასვლა დააგვიანა. ივიცა ოლიჩი ხელოვნურ თამაშგარეს დაუსხლტა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და აუღელვებლად შეაგდო.

მე-14 წუთზე ტაბლოზე 0:2 აინთო. ეს იმ დროს, როცა ინგლისს ერთადერთი ქულა სჭირდებოდა. **სტივ ჯერარდი** და **ფრენკ ლემპარდი** ერთიმეორეზე უსახურად ასპარეზობდნენ, კრაუჩი მეტოქის კარს საერთოდ ვერ ემუქრებოდა. შესვენების შემდეგ მაკლარენმა **დევიდ ბექჰემი** და **ჯერმეინ დეფო** გამოიყვანა. ბექჰემმა 99-დ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა. 50-ე წუთზე მან თითქმის იმავე პოზიციიდან შეასრულა საჯარიმო, საიდანაც 2001 წლის შემოდგომაზე საბერძნეთს ის გახმაურებული გოლი გაუტანა. იმ გოლის წყალობით ინგლისელებმა 2002 წლის მუნდიალზე გაალწიეს. ამჯერად ბექზს გოლი არ გაუტანია, მაგრამ თამაში საგრძნობლად გამოაცოცხლა. მასპინძლებმა პირველი გოლი 56-ე წუთზე, პენალტით გაქვითეს. ძნელი სათქმელია, მოქაჩა თუ არა **იოსიპ სიმუნიჩმა** დეფოს. არბიტრმა ასისტენტის რჩევით 11-მეტრიანი დანიშნა. ლემპარდმა ზუსტად დაარტყა. ტრიბუნები გამოცოცხდა. ცხრა წუთში ინგლისმა წონასწორობა აღადგინა. ბექჰემმა მარჯვენა ფლანგიდან საუცხოო პასი გაუკეთა კრაუჩს, ამ უკანასკნელმა ბურთი მკერდზე გაიჩერა, საჯარიმოში შეიჭრა და ეფექტურად გაიტანა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ინგლისი მესამე გოლის გაშვებასაც მოახერხებდა. არახა, 77-ე წუთზე **მლადენ პეტრიჩმა** მესამედ აიღო მასპინძელთა კარი. გაოგნებულმა მაყურებელმ თავისი გუნდი სტვენით აიკლო...

ამ დროს რუსეთის ნაკრები ანდორას მოვალეობის მოხდის მიზნით ეთამაშებოდა. რუსები შეგუებულნი იყვნენ, რომ ისრაელთან დამარცხებამ მათი შანსები დაასამარა. ანდორასთან შეხვედრამ მინიმალურზე მინიმალური ინტერესი გამოიწვია. ფეხბურთელები უმოტივაციოდ იყვნენ. მათ ანგარიში ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გახსნეს. გოლი **დმიტრი სიჩოვმა** გაიტანა. შესვენებამდე წამებით ადრე ანდორელთა კარში პენალტი დაინიშნა. მეკარე **ალვარესმა ალექსეი კერჟაკოვი** წააქცია. იმ ეპიზოდში მასპინძელთა კარის დარაჯმა ტრავმაც კი მიიღო, მაგრამ წამოდგა და **დენის კოლოდინის** პენალტი მოიგერია. ალვარესი შესვენებისას შეცვალეს. რუსებს მეორე მეკარე, **ხოსე ანტონიო გომესიც** მაგრად დაუდგა. ანდორაში მეორე ტაიმის მიმდინარეობდა, როცა ხორვატებმა ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე გოლი გაიტანეს. ამ ამბებმა ფეხბურთელების ყურამდღეც მიაღწია. ისინი თითქოს გამოცოცხლდნენ კიდეც, მაგრამ დარჩენილ დროში მხოლოდ ის მოახერხეს, რომ არშავინმა წითელი ბარათი მიიღო. გუუს ჰიდინკის რუსეთი ევროპის ჩემპიონატზე მიემგზაურება...

ისრაელმა ოთხ დღეში მეორე საშინაო მატჩში გაიმარჯვა. მან ამჯერად მაკედონიას მინიმალურად მოუგო. ერთადერთი გოლი **ელიანივ ბარდამ** თავიური დარტყმით გაიტანა. **ბენ საჰარს** კიდევ ორი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ორჯერვე სტუმართა მეკარე **პეტარ მილოსევსკი** გადაელობა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 12 | 9 | 2 | 1 | 28-8 | 29 |
| 2. რუსეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 18-7 | 24 |
| 3. ინგლისი | 12 | 7 | 2 | 3 | 24-7 | 23 |
| 4. ისრაელი | 12 | 7 | 2 | 3 | 20-12 | 23 |
| 5. მაკედონია | 12 | 4 | 2 | 6 | 12-12 | 14 |
| 6. ესტონეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 5-21 | 7 |
| 7. ანდორა | 12 | 0 | 0 | 12 | 2-42 | 0 |

### F ჯგუფი

| | |
|---|---|
| დანია-ისლანდია | 3:0 |
| ესპანეთი-ჩ.ირლანდია | 1:0 |
| შვედეთი-ლატვია | 2:1 |

ჩრდილოეთი ირლანდია ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს. სტუმრებს თავდამსხმელ **დევიდ ჰილის** იმედი ჰქონდათ, რომელმაც მიმდინარე შესარჩევ ციკლში 13 გოლი გაიტანა. ირლანდიელებს კანარის კუნძულებზე 4 ათასი თავგადაკლული ქომაგი გაჰყვა. მაგრამ სასწაული არ მოხდა. შანსი, რომელიც ოლსტერელებს ჰქონდათ, საკმაოდ მოკრძალებული იყო. ის თეორიულ გათვლებს ეფუძნებოდა. ირლანდიელებს ესპანეთი მისსავე მოედანზე უნდა დაემარცხებინათ და შვედეთი-ლატვიის მატჩის შედეგს დალოდებოდნენ. იქ სტუმრების გამარჯვება სჭირდებოდათ. ორივე შეხვედრა უფრო ლოგიკური სცენარით წარიმართა. ესპანეთშიც და შვედეთშიც მასპინძლებმა მოიგეს. ესპანეთმა კარდიფის მატჩის გამო რევანში აიღო. ერთადერთი გოლი **ჩავიმ** გაიტანა.

რაც შეეხება შვედეთი-ლატვიას, იქ ანგარიში პირველსავე წუთზე გაიხსნა. **მარკუს ოლბაკმა** სტუმრებს გონს მოსვლა არ აცალა, მარჯვენა ფლანგიდან **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** პასი მიიღო და თავით გაიტანა. რამდენიმე წუთში ზლატანმა საჯარიმო სახიფათოდ დაარტყა. მეკარე ალექსანდრ კოლინკო ბურთს მშვიდად დაეუფლა. „ინტერის" თავდამსხმელს ეროვნული ნაკრების მაისურით ორი წელიწადია, გოლი არ გაუტანია. მას არც ოთხშაბათ საღამოს გაუმართლა. 26-ე წუთზე **იურის ლაიზანსმა** წონასწორობა აღადგინა. მისი დარტყმის შემდეგ ბურთი მასპინძელთა მცველს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და ისე მოკალათდა **ანდრეას ისაკსონის** კარში. შვედ მცველებს ჩაეძინათ. მეორე ტაიმში კიმ კალსტრიომმა კიდევ ერთხელ აიღო ლატვიელთა კარი. ცოტა ხანში ლაიზანსმა მეორედ შეუტია. მცველები ისევ უსუსურად გაისარჯნენ. სამაგიეროდ, მათი შეცდომა ისაკსონმა გამოასწორა. მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლები ისევ წინ გავიდნენ. **ფრედრიკ ლიუნგბერგმა** ბურთი კიმ კალსტრიომს გაუგორა. მან 20 იარდიდან ცაციათი ძლიერად დაარტყა, 2:1. თამაშის დარჩენილ დროში ლატვიელებს ერთი მომენტიც კი არ შეუქმნიათ. შვედებმა რამდენჯერმე სცადეს უპირატესობის განმტკიცება, მაგრამ ამაოდ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 12 | 9 | 1 | 2 | 23-8 | 28 |
| 2. შვედეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 23-9 | 26 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 12 | 6 | 2 | 4 | 17-14 | 20 |
| 4. დანია | 12 | 6 | 2 | 4 | 20-11 | 20 |
| 5. ლატვია | 12 | 4 | 0 | 8 | 15-17 | 12 |
| 6. ისლანდია | 12 | 2 | 2 | 8 | 10-27 | 8 |
| 7. ლიხტენშტაინი | 12 | 2 | 1 | 9 | 9-32 | 7 |

### G ჯგუფი

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ალბანეთი | 6:1 |
| ბელარუსი-ჰოლანდია | 2:1 |
| სლოვენია-ბულგარეთი | 0:2 |

რუმინეთმა წარმატებული საკვალიფიკაციო ტურნირი ზარ-ზეიმით დაასრულა. მან ალბანეთს შავი დღე აყარა, თანაც ორი ლიდერის - **კრისტიან კივუსა და ადრიან მუტუს** გარეშე. ბუქარესტის „სტიაუის" თავდამსხმელმა **ნიკოლაე დიკამ** ანგარიში 21-ე წუთზე გახსნა. პირველ ტაიმში მეტი გოლი არ გასულა. სამაგიეროდ, რუმინელებმა შესვენების შემდეგ აიშალეს საღერღელი და კიდევ ხუთჯერ იხეირეს. დიკამ პენალტი გაიტანა და დუბლი გაიფორმა. მას არც **დანიელ ნიკულაე** ჩამორჩა. ამ უკანასკნელმა დუბლი სამ წუთში გამოაცხო. **გაბრიელ ტამაშმა** 30 მეტრში დანიშნული საჯარიმო შეაგდო, **ჩიპრიან მარიკამ** კი მორიგი პენალტი გარდასახა. საბრალო ალბანელებმა რბევას ერთი გოლით უპასუხეს. ის შეცვლაზე შესულმა **ედმონდ კაპლანიმ** გაიტანა. მეორე ნახევრის ათწუთიან მონაკვეთში ალბანელებს ორი წითელი ბარათი აუფრიალეს. გასახდელში მიაბრძანეს **დებატიკ კური** და **ნევილ დედე**. რუმინეთმა 12 მატჩში 29 ქულა დააგროვა. მან ჰოლანდიას გადაუსწრო. **ვიქტორ პიცურკამ** პრესკონფერენციაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: *„არსად არ მითქვამს, ჩემი გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდებაო, მაგრამ შთამბეჭდავი შესარჩევი ტურნირის შემდეგ ოცნების უფლება ნამდვილად მაქვს."* აქვე გეტყვით, რომ ალბანეთთან მატჩი უკანასკნელი იყო 52-ათასიან ეროვნულ სტადიონზე, რომელსაც მომავალ წელს დაანგრევენ, რათა ორი წლის განმავლობაში სუპერთანამედროვე არენა წამოჭიმონ...

ჰოლანდიას ევროპის ჩემპიონატზე თამაში განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ბელორუსთან 1:2 ყურს მაინც ცუდად ხვდება. ნარინჯისფერებმა აბსოლუტურად უმოტივაციოდ ითამაშეს. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში იგრძნობოდა. ნამატჩევს **მარკო ვან ბასტენმა** თქვა, თუ კვლავაც ასე ვიასპარეზებთ, ევროპის ერთი საშუალო დონის გუნდი დაგვერქმევაო: *„მეორე ნახევრის გამო იმედგაცრუებული ვარ. შესარჩევ მატჩებში ასეთი უგულო თამაში არ შეიძლება, იმ შემთხვევაშიც კი, მიზანი განაღდებული გაქვს."* ნაგების მიუხედავად, ფინალური ეტაპის კენჭისყრაზე ჰოლანდია პირველ კალათში მოხვდა მასპინძელ ავსტრიასა და შვეიცარიასთან, აგრეთვე ევროპის ჩემპიონ საბერძნეთთან ერთად. ლუქსემბურგთან შაბათის მატჩის შემდეგ, ვან ბასტენმა რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა. ბელარუსებს „არსენალის" ნახევარმცველი **ალექსანდ გლები** აკლდათ. **ვიტალი ბულიგამ** ანგარიში მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გახსნა. 15 წუთში **ვლადიმირ კორიტკომ** მეორე გოლი გაიტანა. ჰოლანდიელთაგან პრესტიჟის გოლი **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** შეაგდო.

ბულგარეთმა 10 კაცით მოასპარეზე სლოვენიას ორი უპასუხო გოლი გაუტანა. არბიტრმა ბოიან ჯოკიჩი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, სახიფათო თამაშისათვის გააძევა. ბულგარელები მესამე ადგილს დასჯერდნენ. ისინი ჰოლანდიას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ. თავი გამოიჩინეს **ბლაგოი გეიორგიევმა** და **დიმიტარ ბერბატოვმა**. გეორგიევმა პირველი გოლი 81-ე წუთზე შეაგდო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 12 | 9 | 2 | 1 | 26-7 | 29 |
| 2. ჰოლანდია | 12 | 8 | 2 | 2 | 15-5 | 26 |
| 3. ბულგარეთი | 12 | 7 | 4 | 1 | 18-7 | 25 |
| 4. ბელარუსი | 12 | 4 | 1 | 7 | 17-23 | 13 |
| 5. ალბანეთი | 12 | 2 | 5 | 5 | 12-18 | 11 |
| 6. სლოვენია | 12 | 3 | 2 | 7 | 9-16 | 11 |
| 7. ლუქსემბურგი | 12 | 1 | 0 | 11 | 2-23 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთი ამერიკა. IV ტური

# ნანატრი გამარჯვება რვა წლის შემდეგ

## კარლოს დუნგას მორუმბიზე დედა აგინეს




ლუის ფაბიანომ დუბლი შეასრულა

**ბრაზილია-ურუგვაი 2:1**

**ბრაზილია:** ჟულიო სესარი, მაიკონი (86. დანიელ ალვეში), ალექს კოშტა, ჟუანი, ჟილბერტო, მინეირო, ჟილბერტო სილვა, რონალდინიო (60. ჟოსუე), კაკა, ლუიშ ფაბიანუ, რობინიო (74. ვაგნერ ლავი).

**ურუგვაი:** კარინი, პერეირა, გოდინი, ლუგანო, ფუსილე, ალვარო გონსალესი, გარგანო, იგნასიო გონსალესი (38. ბუენო), კრისტიან როდრიგესი, ლუის სუარესი (71. ვისენტე სანჩესი), აბრეუ.

**გოლები:** 0:1 აბრეუ (8), 1:1 ლუიშ ფაბიანუ (44), 2:1 ლუიშ ფაბიანუ (65).

**ჩილე-პარაგვაი 0:3**

**ჩილე:** ბრავო, კრისტიან ალვარესი, პონსე, რიფო, იტურა (46. ლუის ხიმენესი), მალდონადო, დროგეტი, მათიას ფერნანდესი, სალასი, სუასო, რუბიო (46. ვილიანუევა).

**პარაგვაი:** ვილიარი, ბონეტი, სესარ კასერესი, პაულო და სილვა, კლაუდიო მორელ როდრიგესი, ვერა, ვიქტორ კასერესი, რივეროსი (81. ბარეტო), სანტანა, კაბანიასი (65. სანტა კრუსი), ვალდესი (68. აჩუკარო).

**გოლები:** 0:1 კაბანიასი (24), 0:2 პაულო და სილვა (45), 0:3 პაულო და სილვა (57).

**ეკვადორი-პერუ 5:1**

**ეკვადორი:** ელისაგა, (67. ვილიაფუერტე), დე ხესუსი, ივან ურტადო, ესპინოსა, ამბროსი, კასტილიო, კიროსი, ედისონ მენდესი, აიოვი, კრისტიან ბენიტესი (85. მონტერო), კავიედესი (69. ურუტია).

**პერუ:** პენი, გილიერმო სალასი, აკასიეტე, მარიო გომესი, ვილჩესი (7. სოლისი), ბასალარი (58. ფარფანი), ლობატონი, პალასიოსი, მოსტო, პისარო (58. ანდრეს მენდოსა), ხულიო გარსია.

**გოლები:** 1:0 აიოვი (10), 2:0 კავიედესი (24), 3:0 ედისონ მენდესი (44), 4:0 აიოვი (48), 5:0 ედისონ მენდესი (62), 5:1 ანდრეს მენდოსა (86).

**ლუიშ ფაბიანუს** გოლების წყალობით ბრაზილიამ ურუგვაის ნაკრებს 1999 წლის შემდეგ პირველად მოუგო. შესაძლოა, ბევრისთვის დაუჯერებლად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ "სელესაოს" "სელესტე" ზედიზედ ექვს მატჩში ერთხელაც არ ჰყავდა დამარცხებული. უნდა აღინიშნოს, რომ ბრაზილიელთათვის ეს გამარჯვებაც ძალიან რთულად მოსაპოვებელი გამოდგა. შეხვედრის დებიუტში **სებასტიან აბრეუმ** ანგარიში გახსნა და მასპინძლები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო. აქვე უნდა ითქვას, რომ არა **ჟულიო სეზარის** დამაჯერებელი თამაში, "პენტაკამპეონები" სამ ქულას ვერ ეღირსებოდნენ. მასპინძელთა მეკარემ არაერთი ურთულესი დარტყმა მოიგერია. ბევრისთვის მოულოდნელად, "მორუმბიზე" შეკრებილი სანპაულუელი გულშემატკივრები **კარლოს დუნგას** მეტისმეტად ცუდად შეხვდნენ. ქომაგებმა ნაკრების თავკაცს გამოჩენისთანავე სტვენა და ლანძღვა-გინება დაატეხეს თავს. უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება შეხვედრას მთელი დროის განმავლობაში გასდევდა ლაიტმოტივად.

თამაში სტუმართა დიდი უპირატესობით დაიწყო. პირველი საგოლე მომენტი **იგნასიო გონსალესს** ჰქონდა. **ლუის სუარესისა** და **კრისტიან როდრიგესის** დახმარებით ის ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ დუელი ჟულიო სეზარმა მოიგო. ურუგვაელთა აქტიურობამ შედეგი მალე გამოიღო. უკვე მერვე წუთზე **მაქსიმილიანო პერეირამ რონალდინიო** ჩამოიტოვა და სებასტიან აბრეუს მშვენიერი პასი მიაწოდა. ცენტრ-ფორვარდმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, მან ეფექტური თავურით შეაგდო. "სელესტეს" აქტიურობა ამით არ შემოფარგლულა. ჟულიო სეზარის ხსენება კიდევ არაერთი ეპიზოდის აღწერისას მოგვიწევს. ბრაზილიელმა მეკარემ ერთმანეთის მიყოლებით **ალვარო გონსალესს**, პერეირასა და როდრიგესს წარმოუდგენლად რთული დარტყმები აუღო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა სეზარის ფანტასტიკური თამაში "სელესაო" კატასტროფული ანგარიშით წააგებდა. ამ საცოდაობის შემხედვარე ტორსიდა აგრესიას კიდევ უფრო რადიკალურად გამოხატავდა. ათასობით ადამიანი დუნგას დედას ხმაშეწყობილად მეძავად მოიხსენიებდა. ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა და მასპინძლები საკუთარ თამაშს ვერა და ვერ პოულობდნენ. ამ სიტუაციის გათვალისწინებით ფანების განრისხება გასაკვირი სულაც არ არის, თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ პროტესტის გამოხატვა უფრო ცივილიზებულადაც შეიძლებოდა. დუნგას ლუიშ ფაბიანუს გოლმა სულზე მოუსწრო, თორემ გასახდელში დაცვის გარეშე შესვლას ვერ მოახერხებდა. 44-ე წუთზე ლუიშ ფაბიანუმ საკმაოდ მახვილი კუთხიდან ოსტატურად დაარტყა და **ფაბიან კარინის** ბურთი ფეხებს შუა გაუძვრინა.

შესვენების შემდეგ პირველი საგოლე მომენტი ისევ სტუმრებმა შექმნეს. ლუის სუარესმა ფანტასტიკური შანსი გაუშვა ხელიდან. ბოლო წამს მას **ჟუანმა** დაასწრო და ბურთი ფეხიდან მაშინ აართვა, როცა ის აუღებელი დარტყმის შესრულებას აპირებდა. მომდევნო 15-წუთიან მონაკვეთში ისევ და ისევ ჟულიო სეზარი ვაჟკაცობდა. ამასობაში, 65-ე წუთიც დადგა. **ჟილბერტომ** ძლიერი დარტყმით სცადა ბედი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. სამაგიეროდ გადმოვარდნილ ბურთთან ყველაზე ადრე ლუიშ ფაბიანუ აღმოჩნდა და გამარჯვების გოლი შეაგდო. ბანალურია, მაგრამ ურუგვაიმ საგოლე მომენტი უმცირეს დროში შექმნა. ბანალურობა ისევ და ისევ ჟულიო სეზარის დამაჯერებელ თამაშში გახლავთ. მან სებასტიან აბრეუს უაღრესად სახიფათო თავური დარტყმა აუღო.

დუნგამ თამაში ასე შეაფასა: *"პირველ ტაიმში საშინლად ვითამაშეთ. მზად ვარ, ჩვენი სუსტი მხარეები ვაჟკაცურად ჩამოვთვალო, თუმცა არ მგონია, ახლა ეს ბევრს აინტერესებდეს. ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი სწრაფი და ზუსტი პასებია. სამწუხაროდ, დღეს ამ კომპონენტში ძალიან მოვიკოჭლებდით. ამიტომ, მეტოქეს გოლის გატანის არაერთი შანსი მივეცით. ეს რა თქმა უნდა, იშვიათი გამონაკლისი იყო. მჯერა, მომდევნო შეხვედრებში სულ სხვა გუნდს იხილავთ. შემდეგი შეკრებების განმავლობაში იმ ხარვეზებზე ვიმუშავებთ, რომლებმაც დღევანდელ დაპირისპირებაში იჩინა თავი. ძალიან გთხოვთ, ერთი მატჩით დასკვნებს ნუ გამოიტანთ. მადლობა ღმერთს, ყველა პრობლემის მიუხედავად, მაინც გავიმარჯვეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქტივს სამი ქულა შევმატეთ."*

ურუგვაელთა თავკაცი, **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი** შედეგით ბუნებრივია, ძალიან უკმაყოფილო დარჩა: *"შესანიშნავად ვითამაშეთ. ვინმეს რომ არ ცოდნოდა, ვერც კი გაარკვევდა, რომელი გუნდი იყო მასპინძელი და რომელი სტუმარი. თავს ისე ვგრძნობდით, როგორც თევზი წყალში. სამწუხაროდ, ფატალურად არ გაგვიმართლა. მხოლოდ წარმოუდგენელი უიღბლობით შეიძლება აიხსნას ის, რაც ჩვენ შეგვემთხვა: ვერც კი დავთვალე, რამდენი ამკარა საგოლე მომენტი შევქმენით. დასანანია, რომ მხოლოდ ერთხელ გავიტანეთ. ბრაზილიელთა მეკარემ საოცარი მატჩი ჩაატარა. მიუხედავად ამისა, პირველ რიგში ჩვენს შეცდომებზე უნდა ვისაუბროთ. იმ ეპიზოდებში უფრო მეტი პასუხისმგებლობა და ოსტატობა რომ გამოგვეჩინა არ წავაგებდით. მიმაჩნია, რომ ურუგვაი გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ უსამართლოდ დავმარცხდით."*

პარაგვაის ნაკრებმა სანიმუშო შეხვედრა ჩაატარა. სტუმრებმა ქრესტომათიული მაგალითი წარმოგვიდგინეს, თუ როგორ უნდა ითამაშო გასვლით მატჩში. სანტიაგო დე ჩილეში მიღწეული წარმატების წყალობით ისინი 2010 წლის მუნდიალის სამხრეთამერიკული შესარჩევი ჯგუფის ლიდერები გახდნენ. დაგვეთანხმებით, მოვლენათა ამგვარ განვითარებას ბევრი ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ ერთი დღით ადრე არგენტინის წაგებამ შეუძლებელი შესაძლებლად აქცია.

**სალვადორ კაბანიასმა** მცველების მიუტევებელი შეცდომით კარგად ისარგებლა და ანგარიში გახსნა. არადა, თამაში მასპინძელთა უდიდესი უპირატესობით დაიწყო. ჩილელებმა პარაგვაის ეროვნული გუნდი საკუთარ საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვეს. ისინი დიდი ძალებით უტევდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ. ამასობაში, მათ სტუმართა კონტრიერიში გამოეპარათ და გოლიც გაუშვეს. მასპინძლები ამის შემდეგაც დიდი ენთუზიაზმით უტევდნენ. ბურთის ფლობის პროცენტულობის მხრივ ჩილე უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ეს გარემოება შედეგზე მინიმალურადაც არ აისახა. ტაიმის მიწურულს **პაულო და სილვამ** კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავური დარტყმით ბადეში მიუჩინა ადგილი. დაგვეთანხმებით, შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით გასვლა პარაგვაელებს მეორე ტაიმის აუღელვებლად ჩატარების საშუალებას აძლევდა. ასეც მოხდა, სტუმრები მშვიდად ასპარეზობდნენ. ჩილეს ნაკრები თავქუდმოგლეჯვით უტევდა და მწვავე კონტრიერიშების გაუვნებელყოფას ველარ ახერხებდა. შედეგად მათ მესამე ბურთიც მიიღეს. და სილვამ ისევ თავით გაიტანა. სხვათა შორის, ამჯერადაც კუთხურის შემდეგ...

პარაგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ხერარდო მარტინო** ჟურნალისტებს დიდი ხანს ესაუბრა. ობიექტური მიზეზების გამო ჩვენ მისი პრესკონფერენციის ყველაზე მნიშვნელოვან ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"ჩემი აზრით გამარჯვებას ძალიან პრაგმატული ტაქტიკის ცივსისხლიანად რეალიზების წყალობით მივაღწიეთ. წინასწარვე ვიცოდით, რომ ჩილე დიდი ძალებით შემოგვიტევდა. გადავწყვიტეთ, ემოციებს არ ავყოლოდით და ტაქტიკა კონტრიერიშებზე აგვეგო. მიხარია, რომ ჩანაფიქრმა საუკეთესო შედეგი გამოიღო. მთელი გუნდი ერთ მუშტად იყო შეკრული. დაცვაში ძალიან გამართულად ვიასპარეზეთ. მართალია, მასპინძლები ბურთის ფლობის მხრივ ძალიან დიდ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ შევძელით მათთვის რეალური საგოლე მომენტების შექმნაში ხელი შეგვეშალა. ერთი სიტყვით, ძალიან კმაყოფილი ვარ. პარაგვაის ნაკრები ცხრილს სათავეში მოექცა. ეს გენიალურია. შევეცდებით, აღებულ გეზს არ გადავუხვიოთ და 2010 წლის მუნდიალის საგზური შეძლებისდაგვარად მალე გავინაღდოთ."*

**მარსელო ბიელსას** დანა პირს არ უხსნიდა: *"რა უნდა ვთქვა, უდიდესი უპირატესობა გოლებში ვერ ავსახეთ. დაცვაში სერიოზული შეცდომები დავუშვით. დასანანია, რომ წინა ტურში ნაჩვენები შესანიშნავი თამაშის შემდეგ წავიბორძიკეთ. იმედგაცრუებული ვარ და საუბრის ხალისიც არ გამაჩნია. იმედია, მომიტევებთ."*

დასასრულს ორიოდ სიტყვით ეკვადორელთა გამარჯვებაზეც მოგახსენებთ. გემახსოვრებათ, წინა სამ ტურში განცდილი სამი მარცხის გამო მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ფერნანდო სუარესმა** თანამდებობა დატოვა. ამბობენ, ის აიძულეს წასულიყო, თუმცა ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია, რომ ეკვადორელებმა დროებითი თავკაცის, **სისტო ვისუეტეს** ხელმძღვანელობით მიმდინარე შესარჩევ ციკლში პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ამასთან დიდი ანგარიშით. მიმომხილველებმა მათი წარმატება უდიდეს სენსაციად მონათლეს, რადგან წინა ტურში პერუ ბრაზილიას ღირსეულად ეთამაშა და ორი ქულაც დააკარგვინა. როგორც ჩას, "სელესაოსთან" ბრძოლა მათთვის მეტისმეტად დამღლელი იყო. ყოველ შემთხვევაში, თვალშისაცემი გახლდათ, რომ პერუელები ძლივს მოძრაობდნენ და ფაქტობრივად, ყველა ორთაბრძოლიდან დამარცხებული გამოდიოდნენ. ამ ყველაფრის გამო მათ სამხრეთი აფრიკის მუნდიალზე მოხვედრის ისედაც მიზერული შანსი კიდევ უფრო გაიუარესეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 10 |
| 2. არგენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 9 |
| 3. ბრაზილია | 4 | 2 | 2 | 0 | 8-2 | 8 |
| 4. კოლუმბია | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 8 |
| 5. ვენესუელა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 6. ურუგვაი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-5 | 4 |
| 7. ჩილე | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 8. ეკვადორი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-12 | 3 |
| 9. პერუ | 4 | 0 | 2 | 2 | 2-8 | 2 |
| 10. ბოლივია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-13 | 1 |



ეკვადორი-პერუ. ეკვადორელმა ვალტერ აიოვიმ პერუელ მეკარე დიეგო პენის ორი გოლი გაუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. ფინალური ეტაპის წილისყრის წინ

# სიკვდილის ჯგუფები?

## როგორ მოგეწონებათ ასეთი ვარიანტი: ჰოლანდია, იტალია, გერმანია, საფრანგეთი ერთ ჯგუფში?

მაშ ასე, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დასრულდა და შესაბამისად, გარკვეულია ის 16 გუნდი, ზაფხულში ავსტრიასა და შვეიცარიაში ევროპის ნომერ პირველი ნაკრების წოდებისთვის რომ იბრძოლებენ. უშუალოდ ფინალური ეტაპის წილისყრა 2 დეკემბერს გაიმართება. მანამდე კი, 16 გუნდი 4 კალათაში განითესა.

შეგახსენებთ, რომ კოეფიციენტები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისა და ახლახან გასრულებული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპებზე მიღწეული შედეგების მიხედვითაა დათვლილი. როგორც ხედავთ, რუმინეთს და გერმანიას, ასევე რუსეთს და თურქეთს თანაბარი კოეფიციენტები აქვთ. ასეთ შემთხვევაში უეფა უპირატესობას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაჩვენებ შედეგბს ანიჭებს და რაკი ამ ციკლში რუმინეთმა გერმანიაზე მეტი ქულა დააგროვა, ხოლო თურქეთმა კი რუსეთზე მეტი, პირველი მეორეს უსწრებს, მესამე კი მეოთხეს.

გადახედეთ კალათებს – რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პირველი ყველაზე სუსტია. ეს იმის ბრალია, რომ მასპინძლები აუცილებლად პირველ კალათაში ხვდებიან. ცხადია, რომ პირველი კალათიდან ყველა ავსტრიის ნაკრებს ინატრებს და დიდი პარადოქსია ის, რომ ავსტრიელები პირველ კალათაში არიან, ფრანგები კი მეოთხეში. ამრიგად, წინდაწინვე ცნობილია, რომ ერთი სიკვდილის ჯგუფი აუცილებლად იარსებებს. ის კი არა, დიდი შანსია, რომ ორი ან სამი ასეთი ჯგუფი ვიხილოთ. თავისუფლად შესაძლებელია, რომ ერთ ჯგუფში ჰოლანდია, იტალია, გერმანია და საფრანგეთი მოხვდნენ, მეორეში კი ავსტრია, შვედეთი, რუმინეთი და რუსეთი....

| პირველი კალათა | კოეფიციენტი |
|---|---|
| ავსტრია | (მასპინძელი) |
| შვეიცარია | (მასპინძელი) |
| საბერძნეთი | (ჩემპიონი) |
| ჰოლანდია | 2.417 |
| **მეორე კალათა** | **კოეფიციენტი** |
| ხორვატია | 2.409 |
| იტალია | 2.364 |
| ჩეხეთი | 2.333 |
| შვედეთი | 2.273 |
| **მესამე კალათა** | **კოეფიციენტი** |
| რუმინეთი | 2.250 |
| გერმანია | 2.250 |
| პორტუგალია | 2.192 |
| ესპანეთი | 2.182 |
| **მეოთხე კალათა** | **კოეფიციენტი** |
| პოლონეთი | 2.167 |
| საფრანგეთი | 2.091 |
| თურქეთი | 1.958 |
| რუსეთი | 1.958 |



დომენეკის საფრანგეთი აუტსაიდერთა კალათში მოხვდა



ჟოზე მოურინიომ ინგლისზე უარი თქვა

ინგლისის ნაკრები

# მაკლარენი გააგდეს

## კაპელო ინგლისში მუშაობით დაინტერესებულია, მოურინიომ გუშინ უარი თქვა

**სტივ მაკლარენი** ინგლისის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ხორვატიასთან წაგებული მატჩის შემდეგ მწვრთნელმა თქვა, რომ გადადგომას არ აპირებდა. ხუთშაბათს საფეხბურთო ასოციაციაში საგანგებო სხდომა გაიმართა. მაკლარენს კონტრაქტი ცალმხრივად გაუწყვიტეს. გაათავისუფლეს მისი ასისტენტი **ტერი ვენეიბლზიც**. ინგლისი დიდ საფეხბურთო ტურნირს 1994 წლის შემდეგ პირველად გამოაკლდა. 1984 წლის შემდეგ ეს იქნება პირველი ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ინგლისელების გარეშე ჩაივლის. ლომების ნაცვლად ავსტრიასა და შვეიცარიაში რუსეთი გაემგზავრება. *"ეს ჩემი კარიერის ყველაზე სევდიანი დღეა,* - განაცხადა მაკლარენმა მას შემდეგ, რაც დათხოვნის ამბავი შეიტყო. - *ეს სერიოზული მარცხია, ნამდვილი გაკვეთილი. ცხოვრება კი გრძელდება... მეც ისეთივე ფანი ვარ, როგორც ნებისმიერი თქვენგანი. მინდა, ინგლისმა წარმატებებს მიაღწიოს. მეც საშინლად იმედგაცრუებული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოვხვდით."* კომენტარი გააკეთა საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ბრაიან ბარვიკმა: *"დიდი ტურნირის ფინალურ ეტაპზე გასვლა მინიმალური მოთხოვნაა, რომელიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. დარწმუნებული ვარ, სტივიც ასე ფიქრობს. ევრო 2008-ის მიღმა დარჩენა ძალიან ცუდი შედეგია."*

მაკლარენის ხელში ინგლისმა ცხრა მატჩი მოიგო, ხუთი წააგო და ოთხი ფრედ ითამაშა. ის გუნდს მხოლოდ 18 მატჩში გაუძლვა. ასეთი ხანმოკლე სამწვრთნელო კარიერა ინგლისელთა არცერთ დამრიგებელს არ ჰქონია. ამ შესარჩევ ტურნირში ინგლისელები არცთუ უძლიერეს ჯგუფში მოხვდნენ. მათი დონის გუნდს ამ ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მაკლარენის შეგირდებმა დაუგეგმავი ქულები გაანიავეს: ორჯერ წააგეს ხორვატიასთან, დამარცხდნენ რუსეთში, უგოლო ფრე ითამაშეს მაკედონიასთან შინ და ისრაელთან სტუმრად.

ისევ ბარვიკს მოვუსმინოთ: *"რა თქმა უნდა, დიდ ტურნირებზე თამაში ღვთისაგან მონიჭებული პრივილეგია არ არის, მაგრამ სავსებით ბუნებრივია, როცა ინგლისის ნაკრებისაგან ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ელი. რა თქმა უნდა, შოკში ვართ. ინგლისი ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი ავტორიტეტია. ის ვალდებულია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ითამაშოს."* ნაკრების ფიასკო საფეხბურთო ასოციაციის პოზიციებსაც ასუსტებს. ბარვიკმა გულშემატკივრებს საჯაროდ მოუბოდიშა: *"თითოეული ადამიანი, რომელიც ჩვენს ორგანიზაციაში მუშაობს, ინგლისური ფეხბურთის კეთილდღეობისათვის იღვწის. ვაცნობიერებთ, რომ გუშინდელი თამაშით ქომაგებს იმედები გავუცრუეთ. ყველას ბოდიშს ვუხდით."*

მაკლარენი ნაკრებში შარშანდელი მუნდიალის წინ დაინიშნა. მოვალეობათა შესრულებას კი ტურნირის დასრულებისთანავე შეუდგა. ის საფეხბურთო ასოციაციის ფავორიტი არ იყო. ინგლისელები პორტუგალიის ნაკრების თავკაც **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ეპატიჟებოდნენ. სკოლარის კონტრაქტის გაფორმება მუნდიალის დაწყებამდე შესთავაზეს. ბრაზილიელს სურდა, მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულებულიყო. ინგლისელებს ნებისყოფა არ ეყოთ. სკოლარისთან მოლაპარაკებები შეწყვიტეს და იმჟამინდელი მწვრთნელის, **სვენ გორან ერიქსონის** ასისტენტი დააწინაურეს. მუნდიალზე სკოლარის პორტუგალია ინგლისს მეოთხედფინალში შეხვდა და მოუგო.

ვინ გახდება ინგლისელთა ახალი დამრიგებელი? მიომხილველებს ყველაზე მეტად ეს კითხვა აწუხებთ. ტოტალიზატორმა "უილიამ ჰილმა" ფსონების მიღება დაიწყო. ბუქმეიქერთა ფავორიტია **ჟოზე მოურინიო**. მისი ფსონი 5:1-ს შეადგენს. თუმცა მან გუშინ ინგლისისგან თავი შორს დაიჭირა. მეორე ადგილზეა "ასტონ ვილის" დამრიგებელი **მარტინ ონილი** - 11:2. მესამეზე **ლუიშ ფელიპე სკოლარი** - 6:2. ფავორიტთა შორის ასახელებენ **გუუს ჰიდინკს** - 7:1, **სემ ელერდაისსა** და **ფაბიო კაპელოს** - 14:1, **სტიუარტ პირსს** - 10:1, აგრეთვე ნაკრების ყოფილი დამრიგებლებს: **ტერი ვენეიბლზს** - 40:1, **კევინ კიგანსა** - 100:1 და **ბობი რობსონს** - 250:1. იტალიური წყაროები მარჩელო ლიპის ვარიანტზეც საუბრობენ. ჩამოთვლილთაგან კომენტარი მხოლოდ კაპელომ გააკეთა: *"მე ინგლისის ნაკრებში? საუცხოო იქნებოდა, შესანიშნავი ტესტი საკუთარი თავის გამოსაცდელად."* ბრაიან ბარვიკმა განაცხადა, რომ ახალი მწვრთნელის მოძიების პროცესი უკვე დაიწყო.

ბარსელონა. დაპირისპირება

# ედმილსონი ამხელს...

**გუშინ "ბარსელონის" ნახევარმცველმა ჟოზე ედმილსონმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ბრაზილიელმა ლეგიონერმა სრულიად მოულოდნელად განაცხადა, რომ კატალონიურ გრანდში შავი ხელი მოქმედებს. მისი თქმით, "ბარსას" რამდენიმე ფეხბურთელი პრივილეგიით სარგებლობს და საკუთარ პერსონას საერთო ინტერესებზე მაღლა აყენებს.**

*"ცხოვრებაში კარგი ადამიანებიც არსებობენ და ცუდებიც,* - თქვა **ედმილსონმა**, - *ასევეა ჩვენს შემადგენლობაშიც. საბედნიეროდ, ჩემი თანაგუნდელების აბსოლუტური უმრავლესობა შესანიშნავი ბიჭები არიან. თუმცა სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს ირგვლივ უვარგისი ფეხბურთელებიც ირევიან. უვარგისობაში არა მათ პროფესიულ შესაძლებლობებს, არამედ ადამიანურ თვისებებს ვგულისხმობ. მთლიანობაში, "ბარსელონა" ერთ მუშტად შეკრული მტკიცე ოჯახია, მაგრამ ამ ოჯახში ვიღაცის შავი ხელი მოქმედებს. შავი ხელი, რომელიც სიტუაციას ძაბავს და ცხოვრებას გვირთულებს. მათთვის გუნდის ინტერესები მეორე, ან სულაც მესახარისხოვანია. დასამალი არ არის, რომ მათი არსებობა "ბარსას" ხელს უშლის. ძალიან გთხოვთ, გვარების დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ. არ მინდა, ამით სიტუაცია კიდევ უფრო დავძაბო. ვისაც ვგულისხმობ, თავად მშვენივრად მიხვდებიან. ჩვენ ბევრს ვშრომობთ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩვეულებრივი ადამიანები ფეხბურთელებზე ნაკლებს მუშაობენ. მათგან განსხვავებით, ცვენ გაცილებით მდიდრები ვართ. ვფიქრობ, ეს ბედის საჩუქარია. აბა წარმოიდგინეთ, მაღაროს მუშებმა რა უნდა თქვან? ისინი ხომ რამდენიმე ასეული მეტრის სიღრმის შახტებში ჩადიან და იქიდან წიაღისეული ამოაქვთ. მათი შემოსავალი ჩვენს გასამრჯელოსთან შედარებით სასაცილოა. სამწუხაროდ, ფეხბურთელთა ერთი ნაწილი ბედის ამ საჩუქრის ღირსეულად მიღებას ვერ ახერხებს. მათ დიდება, პოპულარობა, ფული და ულამაზესი ქალების ყურადღება თავში უვარდებათ და სისულელეებს აკეთებენ. მარტივად რომ ვთქვა, ეს ადამიანები ყალბი ღირებულებებით ცხოვრებას იწყებენ. სამწუხაროდ, მათ გამო პატიოსან მოთამაშეებსაც ექმნებათ პრობლემა. ვფიქრობ, "ბარსელონა" ამ განხეთქილების ნათელი დადასტურებაა. ყოველდღიურად ვხედავთ, როგორ ისჯება "ბარსა" თავშიავარდნილი ფეხბურთელების გამო. ისინი უმეტეს შემთხვევაში პროფესიულ ღირსებას ფეხებზე იკიდებენ და ეგოიზმის მორევში იხრჩობიან. ხსირად მსმენია, ვარჯიშიდან მალე უნდა წავიდე, რადგან სარეკლამო რგოლი მაქვს გადასაღები. უბედურება ის არის, რომ ეს ხალხი მართლაც სხვებზე ადრე თავისუფლდებიან ვარჯიშებიდან. კი ბატონო, რამდენი რეკლამაც გინდა, იმდენი გააკეთე, მაგრამ ვარჯიშის დროს რატომ ამთხვევ? დღეში მხოლოდ 2 საათს ვვარჯიშობთ. ძალიან იშვიათად სამი საათი ვართ დაკავებულები. განა შეუძლებელია, რომ საღამოს საათებში გადაიღონ რეკლამა? რამდენჯერმა ვყოფილვარ შოკისმომგვრელი საუბრის მომსწრე. თანაგუნდელები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რა დროს პრიმერა და ჩემპიონთა ლიგაა, ცხოვრების საუკეთესო წლებს ვარჯიშში ვატარებთ და პირველ რიგში ფულის შოვნაზე უნდა ვიზრუნოთო. ჩემთვის ეს სრულიად მიუღებელი მიდგომაა. თუ დროის ტარება და ბარებში ხეტიალი გინდა, ფეხბურთს თავი დაანებე და გაერთე რამდენიც გინდა. ერთი ჭიქა ლუდისა და რომის ფულს ყოველთვის იშოვი. მაგრამ პროფესიული ფეხბურთი და დროის ტარება არ გამოდის. ვიმეორებ, მეშახტე ჩვენზე ბევრად მეტს შრომობს, მაგრამ შეუდარებლად ნაკლებს შოულობს. უნამუსოები არ უნდა ვიყოთ. ფულს იმისთვის გვაძლევენ, რომ კარგად ვითამაშოთ, მაქსიმალურ შედეგებს მივაღწიოთ და გულშემატკივრები გავახაროთ. ნებისმიერი გუნდი ხომ მათთვის არსებობს. განა მთელი დედამიწის ფული გადაწონის იმ სიხარულსა და გრძნობას, რომელიც პარიზში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების შემდეგ დამეუფლა? ან "ბარსელონაში" დაბრუნებისას განცდილი ბედნიერება რად ღირს? მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ უპასუხისმგებლო ფეხბურთელების გამო საერთო საქმე ზარალდება და ეს უდიდესი უსამართლობაა."*

დაგვეთანხმებით, გამაოგნებელი განცხადებაა. ედმილსონს გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ დღეს კატალონიაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი თანამემამულე **რონალდინიოზე** საუბრობდა. ღამით ბარებში ხეტიალისას ის ყველაზე ხშირად შეუმჩნევიათ. ედმილსონის სიტყვები კომენტარის გარეშე რა თქმა უნდა, არ დარჩებოდა. მას **ჩავიმ** გასცა პასუხი: *"წარმოდგენა არ მაქვს, ედმილსონს რა ეტაკა. მე ყველა ადამიანის მოსაზრებას პატივს ვცემ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჟოზე აბსოლუტურად არარსეულ პრობლემაზე საუბრობდა. ჩვენს გუნდში არავითარი გათიშულობა და შავი ხელი არ არსებობს. უკლებლივ ყველა თანასწორუფლებიანია. სარეკლამო რგოლებში ვარჯიშის ფასად არავინ მონაწილეობს. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ და დარწმუნდეთ, რომ კომერციულ პროექტებში "ბარსელონის" ფეხბურთელები მხოლოდ და მხოლოდ არასამუშაო დროს მონაწილეობენ.*



ედმილსონის კომენტარებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია

*ვერ ვხვდები, რატომ თქვა ედმილსონმა ის რაც ბუნებაში არ არსებობს. ერთი რამ ფაქტია, ასეთი გამოხდომები, "ბარსას" სიკეთეს არ მოუტანს. თუ რამე პრობლემა არსებობს, შიდა სამზარეულოში, ყოველგვარი ხმაურის გარეშე უნდა მოვაგვაროთ. წინაალმდეგ შემთხვევაში მეტოქის წისქვილზე დავასხამთ წყალს."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# ჟუნინიო პერნამბუკანო, ჯარიმების მეფე

## ლიონელმა გულშემატკივრებმა ბრაზილიელი ნახევარმცველი, კლუბის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

"ლიონი" დიდი ხანი ვერ ახერხებდა საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებას - "ლომები" ყოველთვის ვიღაცას უშვებდნენ პირველ ადგილზე. ასე იქამდე გრძელდებოდა, სანამ კლუბში არ გამოჩნდა ფეხბურთელი სახელად ანტონიო აუგუშტუ რიბეირუ რეიესი. ვინც არ იცით, თუ ვინ იმალება ამ გრძელი გვარის მიღმა, გეტყვით, რომ ეს არის მოთამაშე, რომელსაც საფეხბურთო სამყარო ჟუნინიო პერნამბუკანოს სახელით იცნობს.



ჟუნინიო პერნამბუკანო

ანტონიო - უმცროსია რიბეირუ რეიესების ოჯახში და ამიტომაც შეარქვეს მას ჟუნინიო. მაგრამ ეს სახელი ბრაზილიაში ძალიან ბევრს ჰქვია და ამის გამო, ანტონიომ ჟუნინიოს მშობლიური შტატის, პერნამბუკოს სახელი დაუმატა.

პერნამბუკო ბრაზილიაში საფეხბურთო შტატად არასოდეს ითვლებოდა. ადგილობრივი კლუბები - "ნაუტიკო" და "სპორტ რესიფე" (ჟუნინიომ ორივეში მოასწრო თამაში) გრანდებად არასოდეს ითვლებოდნენ. ამიტომაც, უკვე 20 წლის ასაკში ჯარიმების მომავალი მეფე "ადმირალი" გახდა - "ვასკო და გამაში" გადავიდა, სადაც თავისი ოსტატობა დახვეწა. ჟუნინიომ "ვასკოში" ექვსი სეზონი გაატარა და ექვსივე წარმატებული გამოდგა. ამას მოჰყვა დებიუტი ნაკრებში და ანტონიო სერიოზულად დაფიქრდა ევროპაში გადაბარგებაზე. ცენტრალური ნახევარმცველის შეძენა "ინტერს" სურდა, მაგრამ მილანელები დიდხანს ფიქრობდნენ, "ვასკოს" კი ფული სჭირდებოდა და ფეხბურთელი "ლიონში" გაყიდეს.

*"ახლა მეუხერხულება ამის აღიარება, მაგრამ მაშინ "ლიონის" არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. უფრო მეტიც, ასეთი ქალაქი გაგონილიც არ მქონდა"*, - ხუმრობს ანტონიო. "ლიონმა" კი მიიღო ფეხბურთელი, რომელიც მას ასე სჭირდებოდა. როგორც კი, ჟუნინიო "ლომების" შემადგენლობაში გამოჩნდა, ფრანგების თავსზემოთ ოქროს წვიმა წამოვიდა. ექვსივე სეზონი, რაც ანტონიომ რონის ნაპირებზე გაატარა, ლიონელებისთვის ოქროსი აღმოჩნდა.

ჟუნინიო, როგორც ბრაზილიელს შეეფერება, ტექნიკურია. მას ბრწყინვალე დისპეტჩერული თვისებები აქვს და დაცვაშიც სასარგებლოა. მაგრამ ანტონიოს მთავარი იარაღი - მისი საჯარიმოები და კუთხურებია. მრავალწლიანი კამათი, ევროპაში ვინ უკეთ ურტყამს საჯარიმოებს - **რობერტო კარლოსი** თუ **დევიდ ბექჰემი**, ჟუნინიოს პერნამბუკანოს სასარგებლოდ დასრულდა. ბრაზილიელისთვის არ არსებობს არც მანძილი, არც დიდი ცოცხალი კედელი და არც უმაღლესი კლასის მეკარეები. მისი შესრულებით თითქმის ყველა საჯარიმოს ან კუთხურს ხიფათი მეტოქის კართან მოაქვს. ტექნიკური თვალსაზრისით, თითქოსდა არაფრით გამორჩეული დარტყმაა, მაგრამ ბურთი ზარბაზნის ჭურვივით მიქრის იქ, სადაც მას წინ ვერავინ გადაუდგება. თანაც, ფრენისას ბურთი ტრაექტორიას იცვლის, რის გამოც ის მეკარისთვის უფრო რთული მოსაგერიებელი ხდება. *"ღმერთმა უწყის, როგორ აკეთებს ამას*, - წუწუნებდა "აიაჩოს" განაწყენებული მეკარე **სტეფან პორატო**, რომელსაც ჟუნინიომ 40 მეტრიდან გაუტანა. - *მე ყველაფერი გავთვალე, დროულადაც გადავხტი. ბურთი თითქოს ჩემს ხელებში მოდიოდა, მაგრამ უცებ მკვეთრად დაეშვა ძირს. ხელის ჩაწევა უკვე ველარ მოვასწარი"*.

თავად ფეხბურთელი თავისი ნიჭის საიდუმლოს საკუთარ თავზე დაულალავი მუშაობით ხსნის. *"ყოველ ვარჯიშზე ასობით ასეთ დარტყმას ვასრულებ"*, - ამბობს ანტონიო. მას აქებს **ტიაგუ მენდეში**: *"ჟუნინიოს შეუძლია ბურთი იქით გაგზავნოს, საითაც მოესურვება. ერთხელ მინდორზე წყლის ბოთლი დავაყენე. ჟუნინიომ ის 45 მეტრიდან წააქცია. მსოფლიოში არცერ ფეხბურთელს არ შეუძლია იგივეს გაკეთება"*.

მაგრამ ჟუნინიო მხოლოდ ჯარიმებით არ არის გამორჩეული. სტატისტიკამ ყველაფერი იცის და ის გვამცნობს, რომ ბრაზილიელის 68 ლიონური გოლიდან, 32 ჯარიმიდან არის გატანილი. დანარჩენი გოლები კომბინაციებზე, ახლო და შორი დისტანციებიდან დარტყმებზე მოდის. მაგრამ, ჟუნინიოს განსაკუთრებულ სიამოვნებას სწორედ ჯარიმიდან გატანილი ბურთები ანიჭებს.

ბრაზილიის ნაკრებში ჟუნინიო გასული საუკუნის ბოლოს გამოჩნდა, მაგრამ გუნდის ძირითადი ფეხბურთელი მაინც ვერ გახდა. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი სხვა ჟუნინიოს ერგო. ეს იყო **ჟუნინიო პაულისტა** სან პაულუს შტატიდან. ხოლო პერნაბუკანოს შტატის წარმომადგენელი თავისი პირველი მსოფლიო თასის დასაპყრობად 31 წლის ასაკში, გერმანიაში გაემგზავრა. *"ჩემს კოლექციაში არ არის მსოფლიო ფეხბურთის მთავარი ტიტული და ეს სიცარიელე უნდა ამოივსოს"*, - ამბობდა ჩემპიონატის წინ ანტონიო. მაგრამ ეს სიმაღლე ჟუნინიომ ვერ დაიპყრო. პენტაკამპეონებს გზა გადაუღობა საფრანგეთის ნაკრებმა, ჩვენი გმირის მეორე სამშობლომ. *"ამ თამაშის შემდეგ აბსოლუტურად გამოფიტული ვიყავი. წაგება გონებაში არ გამივლია, რადგან მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ბრაზილიის ნაკრები საუკეთესო გუნდია მსოფლიოში. უფრო მეტს გეტყვით: 2006 წლის გუნდი ოთხი წლის წინანდელზე ძლიერი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარი შესაძლებლობები გადავაფასეთ და არ გავითვალისწინეთ, რომ პლეიოფში იმარჯვებს არა ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე წარმატებული. და დავისაჯეთ. ჩემპიონატის შემდეგ, ნაკრების დატოვება გადავწყვიტე. ახალგაზრდა აღარ ვარ და არ შემიძლია მისთვის სარგებლობის მოტანა. დღეიდან ახალგაზრდებმა იმოქმედონ"*.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ჟუნინიო პერნამბუკანომ გადაწყვიტა საკლუბო კარიერაზე გაეკეთებინა აქცენტი. ინგლისური და იტალიური კლუბების მაცდუნებელი წინადადებები უარყო. "ლიონი" და მხოლოდ "ლიონი", მით უმეტეს, რომ "ლომებმა" ანტონიოს კაპიტნის სამკლაური შესთავაზეს, რომელსაც მანამდე მეორე ბრაზილიელი - **კლაუდიო კასაპა** ატარებდა. ჟუნინიო კიდევ ერთხელ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგება ამჯერადაც ოცნებად დარჩა. მისი ასრულება ორი წლით გადაიდო - ბრაზილიელს "ლიონთან" კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული.

თავად ბრაზილიელი ბედნიერია, რომ სწორედ საფრანგეთში და სწორედ "ლიონში" აღმოჩნდა. *"ხანდახან ვფიქრობ, რომ შეიძლება "ლივერპულის", "ბარსელონას" ან "ინტერის" ფეხბურთელი ვყოფილიყავი. მაგრამ ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა კლუბში. "ლიონს" შევეკარი, აქ ყველაფერი მომწონს. მინდა აქ კარიერის ბოლომდე დავრჩე. "ლიონში" იქამდე ვითამაშებ, სანამ მას დავჭირდები. ასე რომ, კატარელ მილიონერებს ვთხოვ ჯერ ნუ ინერვიულებენ"*.

ანტონიოს და მის მეუღლეს **რენატას** ორი ქალიშვილი ჰყავთ. უფროსი **ჯიოვანა** უკვე ცხრა წლისაა, უმცროსი **მარია კლარა** ხუთი წლის წინ ლიონში დაიბადა და ფრანგულად უკეთ საუბრობს, ვიდრე პორტუგალიურად. მაგრამ ანტონიო ვაჟიშვილზე ოცნებობს და უნდა, რომ ფეხბურთელის მამა იყოს. სხვათა შორის, თავად ჟუნინიოს ფეხბურთელობაზე არასოდეს უოცნებია, მას მასწავლებლის კარიერა უფრო ხიბლავდა. თუმცა თავად სკოლაში არც ისე კარგად ჰქონდა საქმეები აწყობილი, მასწავლებლებთან ურთიერთობა არ გამოსდიოდა და საბოლოოდ, ფეხბურთზე გადაერთო. *"სახლში და სკოლაში მეუბნებოდნენ, რომ უნიჭო, ზარმაცი და უსაქმური ვიყავი და მხოლოდ ბურთის სდევნა შემეძლო. მომიწია ფეხბურთელი გავმხდარიყავი"*.

დავამატებთ, რომ კარგი ფეხბურთელი გახდა. შემთხვევითი არ არის, რომ "ლიონის" გულშემატკივრებმა ჟუნინიო პერნამბუკანო კლუბის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

### ჩემპიონთა ლიგას მოვიგებ და დავწყნარდები

- თუ ჩემპიონთა ლიგას მოვიგებ, მაშინვე დავივიწყებ, რომ მსოფლიო ჩემპიონი არ გავმხდარვარ. ჩემპიონთა ლიგა ჩემთვის პრიორიტეტული ტურნირია და არა მარტო ჩემთვის, მთელი "ლიონისთვის". ჩვენი კლუბი, რომელიც მუდმივად იმარჯვებს საფრანგეთის ჩემპიონატში, ღირსია იმისა, რომ ევროპაშიც საუკეთესო გახდეს.

**- მაინც რა არ ჰყოფნის "ლიონს" ლიგაზე გამარჯვებისთვის?**

- ამის პასუხი რომ ვიცოდე, ისიც მეცოდინებოდა, როგორ გადავწყვიტო ეს პრობლემა.

**- "ლიონის" გულშემატკივრები თვლიან, რომ თქვენ კლუბის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ხართ. როგორ უძლებთ ასეთ პოპულარობას?**

- ფანების დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ჩემს თავს საუკეთესოდ არ მივიჩნევ.

**- მოკრძალებული ხასიათის გამო?**

- არა მარტო. დიახ, მე "ლიონში" ექვსი წელია ვთამაშობ და ექვსივე სეზონში ჩემპიონი გავხდი. მაგრამ საქმე მხოლოდ ჩემში არ არის. კლუბში ძალიან კარგად არის დაყენებული სამუშაო, ყველამ იცის თავისი საქმე და პასუხისმგებლობით ასრულებს მას. ამიტომაც, მზად ვარ, ფანების მიერ მინიჭებული საუკეთესო მოთამაშის ტიტული ნებისმიერ თანაგუნდელს გავუყო.

**- თქვით, რომ "ლიონი" თქვენთვის მშობლიური კლუბად იქცა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ აქ კარიერის დასრულების შემდეგაც დარჩებით?**

- კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ - თამაში ჯერ არ მომბეზრებია. მიუხედავად ამისა, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალი ცხოვრება ლიონს დავუკავშირო - ქალაქსაც და კლუბსაც, რადგან აქ ყველაფერი მომწონს.

**- ბრაზილიის ნაკრებთან გამოთხოვება გადაწყვიტეთ. ხომ არ იჩქარეთ?**

- არა. ნაკრები ბოლო მსოფლიო თასზე ჩავარდა და აუცილებელი იყო მისი გადახალისება. იმ მარცხში მეც ერთ-ერთ დამნაშავედ ვგრძნობ თავს და ამიტომაც გადავწყვიტე წასვლა. როგორც ჩანს, ნაკრებთან ერთად რაიმე ტიტულის მოგება არარეალურია.

**- არ გწყინთ, რომ თქვენი თაობის მოთამაშეები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, თქვენ კი, ნაკრებში იშვიათად თამაშობდით?**

- ეს ძალიან მტკივნეული თემაა ჩემთვის. ბრაზილიაში ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელია, ხოლო ნაკრებში ადგილების რაოდენობა შეზღუდული.

**- თქვენ საჯარიმო დარტყმების მეფეს გიწოდებენ. რაშია თქვენი ოსტატობის საიდუმლო?**

- შრომისმოყვარეობაში. ჯარიმების შესრულებაზე ყოველდღიურად ვმუშაობ. ვიცი როგორ და რა ძალით უნდა დავარტყა ბურთს, ვცდილობ გამოვითვალო მისი ტრაექტორია. ოსტატობა გამოცდილებასთან ერთად მოდის.

**- სტანდარტების სხვა შემსრულებლებისგან განსხვავებით, თითქმის არ აკეთებთ გამორბენს. ესეც ჟუნინიოს ჯარიმების ერთ-ერთი რეცეპტია?**

- ჩემთვის უფრო მოსახერხებელია მოკლე გამორბენით დარტყმა. ასე უკეთ გამომდის დამიზნება, არ არის საჭირო გამორბენისთვის ენერგიის დახარჯვა. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი აზრია და მას თავზე არავის ვახვევ.

**- ვინ გასწავლათ ჯარიმების დარტყმა? თუ ესეც საიდუმლოა?**

- არავითარი საიდუმლო. ეს იყო ჩემი მწვრთნელი მაურო გალვაო, წარსულში ბრაზილიის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელი. "სპორტ რესიფეში" სწორედ მისი ხელმძღვანელობით ვიწყებდი თამაშს და ჯარიმების დარტყმაც იქ მასწავლეს.

**- მართალია, რომ ერთხელ სანაძლეო მოიგეთ, როცა 50 მეტრიდან ბურთით წყლის ბოთლი წააქციეთ?**

- მთლად 50 მეტრი არ ყოფილა, დანარჩენი კი მართალია. ერთ-ერთ მოთამაშეს დავენიძლავე, რომ ბოთლს გავარტყამდი ბურთს, რომელიც კარის ზედა ძელზე იყო ჩამოკიდებული. მოვარტყი.

**- სხვა კურიოზულ შემთხვევებს თუ გაიხსენებთ?**

- ერთხელ, ერთი დღის განმავლობაში ორი მატჩის ჩატარება მომიწია. 1999 წელს, სექტემბერში ბრაზილიის ნაკრებში გამომიძახეს, რომელსაც პორტუ ალეგრიში არგენტინის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. მაგრამ ჩემს კლუბს, "ვასკო და გამას" იმ დღეს მონტევიდეოში "ნასიონალთან" ჰქონდა შეხვედრა. ურუგვაიში მატჩის გამოტოვება არ შეიძლებოდა, მაგრამ არგენტინის წინააღმდეგ თამაშიც ძალიან მინდოდა. კლუბს დავთხოვე და დავპირდი, რომ საღამოს, მატჩის წინ მათ განკარგულებაში ვიქნებოდი. კიდევ კარგი, ბრაზილია-არგენტინა დღის საათებში იყო დანიშნული, ურუგვაელებთან კი, საღამოს. ნაკრებთა მატჩში შეცვლაზე შევედი მინდორზე, რის შემდეგაც ტაქსიში ჩავჯექი და აეროპორტში გავემგზავრე. ჩავასწარი. მწვრთნელი უკვე სასტარტო ოქმს ავსებდა, როცა მონტევიდეოს სტადიონზე მივედი.

**- ამ თავგადასავალს თამაშში ხელი არ შეუშლია?**

- ალბათ, არა, რადგან იმ მატჩის გოლის გატანა შევძელი.

**- "ლიონში" ყოველთვის არსებობდა ბრაზილიური კოლონია. ეს გარემოება თუ გეხმარებოდათ?**

- რა თქმა უნდა. მადლიერი ვარ სონი ანდერსონის, კლაუდიო კასაპასი და ედმილსონის იმისთვის, რომ მათ ქვეყანაში და გუნდში ადაპტირებაში დიდი დახმარება გამიწიეს. ისინი ყოველთვის მკარნახობდნენ, რა უნდა მეკეთებინა მინდორზე და ცხოვრებაში. მოგვიანებით, უკვე მე ვეხმარებოდი ჩემს ახალგაზრდა თანაგუნდელებს.

**- ლიონელი ბრაზილიელებიდან, ჯოვანი ელბერი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო, მაგრამ მან ამ კლუბში ფეხი ვერ მოიკიდა. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

- ჩვენ ბრაზილიიდან საფრანგეთში მაშინ ჩავედით, როცა ჩვენზე ევროპაში ბევრი არაფერი იცოდნენ. ჩვენთვის საფრანგეთის ჩემპიონატი იყო ტრამპლინი. ელბერმა კი, ბევრი ითამაშა გერმანიაში, "ბავარიასთან" ერთად უამრავი ტიტული მოიგო. ამიტომაც, მან "ლიონში" ტრანსფერი, როგორც გადასახლება ისე აღიქვა. მე მას ვერ შევნიშნე ჩვენს კლუბში თამაშის დიდი სურვილი და თან ტრავმამაც შეუშალა ხელი. არ გადავიწყდეთ ლიმიტი ლეგიონერებზე - მინდორზე ოთხ ბრაზილიელზე მეტის გასვლა არ შეიძლებოდა, ელბერი კი, ხშირად მეხუთე ზედმეტი იყო. ამიტომაც, მას ორმხრივი შეთანხმების თანახმად კონტრაქტი გაუწყვიტეს.

**- "ლიონში" ექვსი წელია თამაშობთ და სამ მწვრთნელთან მოასწარით მუშაობა - ჟაკ სანტინისთან, პოლ ლე გენთან და ჟერარ ულიესთან. ვისთან უფრო საინტერესო იყო?**

- სამივესთან. ყოველ მათგანს ახალი იდეები მოჰქონდა კლუბში. და რაც მთავარია, სამივე ახერხებდა "ლიონის" გაჩემპიონებას. გამოდის, რომ ყოველი კურსი სწორი იყო. ვფიქრობ, რომ ახალ მწვრთნელთან, ალენ პერენთან ერთადაც საუკეთესოები გავხდებით.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ტანვარჯიში

# სეზონი დონაძემ დახურა



თათია დონაძე

საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციამ 2007 წლის სეზონი ახლახან, ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში გამართული გრანპრის ფინალით დაასრულა. ინსბრუკში საქართველოდან მიწვეული იყო **თათია დონაძე**, რომელმაც ეს პატივი რამდენიმე თვის წინ, ჰოლანდიური დევენტერის გრანპრიზე მიღებული მაღალი ქულების გამო დაიმსახურა. გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ელისო ბედოშვილი**.

- წლეულს, დონაძემ ჩეხურ და ჰოლანდიურ გრანპრის ეტაპებზე იასპარეზა. განსაკუთრებით კარგად ჰოლანდიაში გამოვიდა, რის გამოც გრანპრის ფინალში გამოსვლის უფლება მიიღო. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ქართული ტანვარჯიშის არსებობის ისტორიაში, გრანპრის ფინალში აქამდე არასოდეს ვყოფილვართ.

ინსბრუკში თავი მოიყარეს პლანეტის უძლიერესმა ტანმოვარჯიშეებმა. მრავალჭიდში დონაძემ მეათე ადგილი აჩვენა, მაგრამ ჩვენ უფრო ცალკეული დისციპლინები გვაინტერესებდა. საბოლოოდ, თათიამ სახტუნელაფი და რგოლით ვარჯიშში, მეათე ადგილი დაიკავა, რითაც 2-2 ქულა აიღო, ხოლო გურზებში და ბაფთაში მეთორმეტე იყო, რაც თითო-თითო ქულას უდრის. აღსანიშნავია, რომ წლეულს, ორ გრანპრიზე გამოვიდა ქეთი ხატიაშვილი და მასაც აქვს ქულები.

ინსბრუკის ფინალით, წლევანდელი სეზონი დავასრულეთ და ახლა მომავალი წლისთვის შევუდგებით სამზადისს. ხატიაშვილსა და დონაძეს, წლევანდელი რეიტინგების მიხედვით, გაისად არაერთი მოწვევა ექნებათ, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ვერ ვიასპარეზებთ. არადა, რომ არა ისევ და ისევ შინაური დაპირისპირება, ლიცენზიის მოპოვება ნამდვილად არ იქნებოდა პრობლემა...

**კობა ხატისაშვილი**

სუმო

# გაგამარუ დაბრუნდა

გუშინ ფუკუოკას საერთაშორისო ცენტრში მექვსე მარცხი იგემა ალმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა **კოკაიმ**, ქართველმა ფალავანმა 18 წლის ოს **სოსლან გაგლოევთან (ვაკანოჰო)** წააგო. კოკაი მთელი ძალით დაეჯახა ვაკანოჰოს, ჰაერში აიტაცა, თუმცა დოჰიოზე ქართველი დაენარცხა, ვაკანოჰო კი ზემოდან მოექცა. კოკაიმ დადებითი ბალანსი გაანიავა - 6-6. ბაშოს დასრულებამდე სამი ორთაბრძოლა დარჩა, დადებითი ბალანსის მოპოვებისთვის მას ორი მოგება ესაჭიროება, უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის კი ერთი მოგებაც ეყოფა. დღეს კოკაის მეტოქე 33 წლის ექს-სეიკვაკე **ტოჩინონადაა**, რომელსაც კიდევ ერთი მარცხი უარყოფით ბალანსს მოუტანს. სხვათა შორის, ბოლო ორი ორთაბრძოლიდან, ორივე კოკაის სასარგებლოდ დასრულდა.

გუშინ მთავარი ბრძოლა ორ ჩემპიონს (ოძეკი) შორის მოხდა, **ჩიოტაიკაიმ** ოშიდაშით აჯობა **კოტომიცუკის**. ამით ლიდერთა რიცხვი სამამდე შემცირდა - 10-10 მოგება დიდი ჩემპიონ **ჰაკუჰოს**, ჩიოტაიკაის და მე-16 მაეგაშირა ესტონელ **ბარუტოს** აქვთ. თუმცა იმპერატორის თასისთვის ბრძოლას არც კოტომიცუკი გამოეთიშა და არც დებიუტანტი **ვაკაკირინი**, მათ 9-9 გამარჯვება აქვთ. ჩიოტაიკაი დღეს გზიდან ბარუტოს ჩამოცილებას შეეცდება, ჰაკუჰოს მეტოქე კი ვეტერანი ოძეკი **კაიოა**. გუშინ კაიომ განაცხადა, რომ თუ ბაშოს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს სპორტიდან წავა.

მეოთხე დივიზიონ სანდანმეში მეხუთე გამარჯვება იზეიმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, მას 5-1 ბალანსი დაუგროვდა, რაც იმის დასტურია, რომ მაკუშიტას დივიზიონიდან გავარდნილი გაგამარუ უკან ბრუნდება. გუშინ გაგამარუმ ოშიდაშით აჯობა მე-14 სანდანმე **დაიონამის**. დღეს გაგამარუ ისვენებს, ბაშოზე კი მაუშიტას დივიზიონის პირველი ნომერი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** იჭიდავებს.



თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### კიუშუს ბაშო

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

XII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ვაკანოჰო 0:1 (ჰიკიოტოში), ჰაკუჰო-ამინიშიკი 1:0, ჩიოტაიკაი-კოტომიცუკი 1:0, კაიო-კიოკუტენჰო 1:0, კისენოსატო-ასასეკირიუ 1:0, ტოკიტენკუ-კოტოშოგიკუ 1:0, ტოიონოშიმა-ამა 1:0, მიაბიამა-კაკურიუ 1:0, კასუგაო-ჰომაშო 1:0, ბარუტო-დეჯიმა 1:0, ტაკამისაკარი-ტაკეკაძე 1:0, ტოსანუმი-გოეიდო 1:0, ვაკაკირინი-ტოჩინონადა 1:0, როჰო-ტოიოჰიბიკი 1:0, კაკიძოე-ვაკანოსატო 1:0, ჰოკუტორიკი-ჰაკუროძანი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 10-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), ბარუტო (მაეგაშირა 16); 9-3: კოტომიცუკი (ოძეკი), ვაკაკირინი (მ 15); 8-4: დეჯიმა (მ 2), ტოკიტენკუ (მ 3), ტოიონოშიმა (მ 4); ... 6-6: კოკაი (მ 13).

XIII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტოჩინონადა, ჰაკუჰო-კაიო, ჩიოტაიკაი-ბარუტო, კოტომიცუკი-ამინიშიკი, ასასეკირიუ-კიოკუტენჰო, ამა-ტოკიტენკუ, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, ჰომაშო-ტამანოშიმა, მიაბიამა-კასუგაო, ფუტენო-კისენოსატო, დეჯიმა-ვაკაკირინი, ტაკამისაკარი-კაკურიუ, როჰო-გოეიდო, ვაკანოსატო-კასუგანიშიკი, ტოიოჰიბიკი-ჰოკუტორიკი.

ჩოგბურთი

# შაფაქიძე მეოთხედფინალშია, ითონიშვილი ნახევარფინალში

ბარსელონაში მიმდინარეობს ქალ და ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, თითოეულის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. ქართველები ორივე ტურნირში მონაწილეობენ. 20 წლის **ნოდარ ითონიშვილმა** საკვალიფიკაციო ბადე წარმატებით დაძლია, შემდეგ კი ძირითადი ტურნირის პირველი წრეც გადალახა. მერვედფინალში ნოდარი მე-5 ნომრად განთესილ ესპანელ **ხუან-ალბერტ ვილოგა-პუიგს** (425) შეხვდა, ერთ დროს მსოფლიო კლასიფიკაციის მოწინავე 50-ეულის წევრს. ქართველი ჩოგბურთელი ორ სეტში დამარცხდა - 2:6, 1:6. თუმცა ითონიშვილისთვის ტურნირი არ დასრულებულა, ის მაროკოელ **იუნეს რაშიდისთან** წყვილში ნახევარფინალშია, მათი მეტოქეები ესპანელები (**დიასი, პოგი**) არიან.

ქალთა ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში **სოფიო ქვაცაბაია** და **მაგდა ოქრუაშვილი** თამაშობდნენ, ქვაცაბაიამ ძირითად ბადეშიც გააღწია, სადაც პირველ წრეში დამარცხდა. ბადეში უბრძოლველად მოხვდა **მანანა შაფაქიძე**, რომელმაც პირველი წრის იოლად გავლის შემდეგ, მერვედფინალშიც იმარჯვა - ესპანელი **სანდრა სოლერ-სოლა** (597) დაამარცხა - 6:2, 6:2. შაფაქიძის მეტოქე მეოთხედფინალში იტალიელი **ალისე მორონი** (673) იქნება. შემდეგი კვირიდან სოფიო ქვაცაბაია და მანანა შაფაქიძე ვალდუხოს (ესპანეთი) 10-ათასიან ტურნირში ითამაშებენ, იქვე მაგდა ოქრუაშვილი საკვალიფიკაციო ბადეში მოსაინჯავს ძალებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მოყვარულების წარმატება

სუმოში, საქართველოში აღზრდილი და დაოსტატებული სპორტსმენების წარმატებები სამოყვარულო თუ პროფესიონალთა სარბიელზე იშვიათობა რომ არ არის, ყველამ კარგად იცის. უფროსების კვალდაკვალ მოყვარულთა შორის შთამბეჭდავად გამოდიან ქართველი ჭაბუკები. განსაკუთრებით საამაყო, ცხადია, ის მიღწევაა, რაც რანგით ყველაზე მაღალ ტურნირშია მოპოვებული. ამ დღეებში სწორედ ასეთი რანგის ასპარეზობაში - მსოფლიო პირველობაში დაიმსახურეს მედლები ჩვენმა ყმაწვილებმა. შეჯიბრება გაიმართა ტაილანდში და იქ სარბიელზე სამი სპორტსმენით წარსდგა საქართველო. ორი მათგანი შინ ვერცხლის მედლით დაბრუნდა, გუნდი კი, მიუხედავად მონაწილეთა სიმცირისა, იაპონელთა შემდეგ მეორე პრიზიორი გახდა. აქვე ვიტყვით, რომ მესამე გუნდური ადგილი უკრაინელებს ხვდათ. ტურნირში 18 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ვერცხლის იმ ორი მედლიდან, პირად პირველობაში ერთი აბსოლუტურ წონაში **ზაზა ბალაშვილმა** დაიმსახურა, მეორე -მძიმეწონოსანმა **ადამ ოქრუაშვილმა**.



ადამ ოქრუაშვილი, ლაშა გიორგაძე, ზაზა ბალაშვილი

გუშინ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე, ზემოხსენებული ასპარეზობის შესახებ ვრცლად ილაპარაკეს საქართველოს სუმოს ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ რუხაძემ** და მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ ჩხარტიშვილმა**. თ. რუხაძემ სპორტის დეპარტამენს მადლობა გადაუხადა მხარში დგომისთვის.

კარატე

# ორნი კვარცხლბეკზე



ლაშა ხაჭაპურიძე

კიოკუშინკაი კარატეში ევროპის არაოფიცალურ ჩემპიონატად წოდებულ ზაგრების „ა“ კლასის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში კონტინენტის 10 ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. საქართველო წარმოდგენილი იყო სამი სპორტსმენით და ორმა საპატიო კვარცხლბეკზე შედგა ფეხი. ოქროს მედალი ხვდა წილად **ლაშა ხაჭაპურიძეს** (70), **ედუარდ ჯანოაშვილი** კი ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა აბსოლუტურ წონაში.

გუშინ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე მედალოსან სპორტსმენებს წარმატება მიულოცა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ**.

დავძენთ, რომ ტურნირზე, ზაგრებში, საქართველოდან მივლინებული სამივე სპორტსმენი სარბიელზე სპორტულ ცენტრ - „სპორტის აკადემისი“ კლუბის სახელით გამოდიოდა.

# სალუქვაძე, უჩაძე, აროშიძე

**სროლა.** ამ დღეებში ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დამთავრდა საქართველოს თასის ღია გათამაშება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. სამწუხაროდ, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, შეჯიბრებაზე ჩამოსვლა იუარეს აზერბაიჯანელმა მსროლელებმა, ხოლო ნიგერიელები რომ ვერ ჩამოდიოდნენ, ადრევე გაირკვა. საბოლოოდ საერთაშორისო სტატუსის მქონე ტურნირს მხოლოდ ქართველები შემორჩნენ, 38 სპორტსმენი.

ქალთა ტურნირში ლიდერთა ბრძოლა მოულოდნელობების გარეშე წარიმართა და საბოლოოდ **ნინო სალუქვაძის** გამარჯვებით დამთავრდა - 381 ქულა, ვერცხლი კი ქუთაისელმა **ნინო უჩაძემ** მოიპოვა - 375 ქულა. ცოტა მოულოდნელია მესამე ადგილზე თბილისელი **სოფიკო აროშიძის** გასვლა - 373, რომელმაც ნაკრების წევრ **თამილა ასათიანს** აჯობა.

კაცებში ამჯერად ლიდერად თბილისელი **ბექა გოგინაშვილი** მოგვევლინა, რომელმაც 566 ქულით გაიმარჯვა. ვერცხლი აქაც ქუთაისელს ერგო - ის **გია სვანიძემ** მოიპოვა 562-ით, მესამე კი თბილისელი **დავით ახვლედიანი** იყო 558 ქულით.

შესაძლოა, ჩვენი მსროლელები 10 დეკემბერს თავად გაემგზავრონ ბაქოში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის, 20 დეკემბერს კი ისევ სალუქვაძის ტირში თბილისის ღია პირველობა გაიმართება, რომელშიც მხოლოდ აქაური სპორტსმენები იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი

# ტალახაძე დარჩა, კობახიძე და ბერძენიშვილი დაბრუნდნენ

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრის საგაზაფხულოდ გადაწევის შემდეგ, კლუბებს ისღა დარჩენიათ, რომ ვარჯიშებით დაკმაყოფილდნენ. თუმცა, ქვეყნის 17-გზის ჩემპიონი სტუ-"თელავი" მხოლოდ ვარჯიშს არ სჯერდება და მეზობელ აზერბაიჯანელებთან თამაშით ცდილობს ფორმის შენარჩუნებას. გუნდი ახლახან დაბრუნდა აზერბაიჯანიდან და მის მთავარ მწვრთნელ ირაკლი კეკელიძეს გავესაუბრეთ.

- აზერბაიჯანში, მასპინძელთა ნაკრებთან სამი ამხანაგური მატჩი გავმართეთ. აქედან, ორი შეხვედრა მოვიგეთ, ერთი კი დავთმეთ. ახლა კი თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ვაგრძელებთ ვარჯიშს.

- აკაკი ტალახაძე და ლევან ბერძენიშვილი უკრაინაში აპირებდნენ კარიერის გაგრძელებას. როგორ გადაწყდა მათი საკითხი?

- ბერძენიშვილი თბილისში დაბრუნდა და კვლავ ჩვენს გუნდში ვარჯიშობს. რაც შეეხება ტალახაძეს, იგი უკრაინაში დარჩა და ან პოლტავის გუნდში გააგრძელებს კარიერას, ანდა დონეცკის „შახტარში".

**- მაკედონიაში იმყოფებოდა მამია კობახიძე...**

- მამია მაკედონიის ჩემპიონ „ვარდარში" მიიწვიეს, მაგრამ მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა და ჯერჯერობით, კვლავ სტუ-"თელავს" დაუბრუნდა.

**კობა ხატისაშვილი**

## ლეგიონერი

# ისევ დამარცხება

საქართველოს ნაკრების ხელბურთელ **სერგო დათუკაშვილის** „ლიუბეკს" არცთუ სახარბიელოდ მისდის საქმეები. გუნდი ერთმანეთის მიყოლებით აგებს შეხვედრებს და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ლიუბეკელები ბოლოსწინა - მეჩვიდმეტე ადგილზე იმყოფებიან...

გუშინ სერგო დათუკაშვილი და მისი თანაგუნდელები მანჰაიმს ესტუმრნენ, სადაც ადგილობრივ „რეინ-ნეკარ-ლოვენს" დაუპირისპირდნენ. მანჰაიმელი „ლომები" მეხუთე ადგილზე იმყოფებიან და შესაბამისად, ფავორიტებიც იყვნენ. „ლიუბეკის" ვებგვერდის ინფორმაციით, სერგო დათუკაშვილი თანაგუნდელთაგან ყველაზე გამორჩეული იყო (მატჩის მიმოხილვას დათუკაშვილის ფოტო ამშვენებდა) და 5 გოლი გაიტანა, მაგრამ მხოლოდ მისი აქტიური გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა მოგებისათვის - მასპინძლებმა დაგეგმილი ორი ქულა მოიპოვეს - 24:19.

ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში, სერგომ მეოთხე ადგილი შეინარჩუნა 14 მატჩში გატანილი 87 გოლით. მის წინ არიან **მიხაელ კრაუსი** („ლემგო", 89 გოლი), **კონრად ვილჩინსკი** („ფუქსე", 92 გოლი) და **არნე ნეიმაიერი** („მინდენი", 104 გოლი).



სერგო დათუკაშვილი

## ეჭსპონატი

# დღემდე უცნობი იყო...

საქართველოს სპორტის მუზეუმი საყურადღებო ექსპონატით შეივსო. მუზეუმის ვეტერანმა თანამშრომელმა **ლილი ლომსაძემ**, საქართველოში ფარიკაობის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის ანატოლი ფიოდოროვის



პირადი არქივის დამუშავებისას აღმოაჩინა ძვირფასი ლითონისგან მდიდრულად დამზადებული სამკერდე ნიშანი, რომელზედაც მრავალი სიმბოლოა დატანილი და ახლავს წარწერა ГГШФ რაც, ვფიქრობთ, უნდა იკითხებოდეს ასე: „საქართველოს სახელმწიფო საფარიკაო სკოლა". როდის და სად დამზადდა ეს უნიკალური სამკერდე ნიშანი, ვის ეძლეოდა იგი და რა დამსახურებისთვის?

ზემოხსენებული ექსპონატი უნიკალურია და დღემდე არავისთვის ყოფილა ცნობილი.

ვთხოვთ, ვისაც რაიმე საბუთი ან ინფორმაცია მოეპოვება ამასთან დაკავშირებით, გამოგვეხმაურონ რედაქციაში, ან მიმართონ უშუალოდ მუზეუმს (სპორტის დეპარტამენტის შენობა I სართული, ჭავჭავაძის, 49-ა).

## ჭადრაკი

# გაგუნაშვილი მსოფლიო თასისთვის



მერაბ გაგუნაშვილი

დღეს რუსეთის ქალაქ სანტი-მანსიისკში საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო თასის გათამაშება ვაჟებში. აქამდე ამ ტურნირს მსოფლიო ჩემპიონატი ეწოდებოდა და ნოკაუტსისტემით ავლენდა ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს. ამ იდეის ავტორი ფიდეს ამჟამინდელი პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვია**, რომელმაც ფიდეში თავისი მოღვაწეობის დაწყება ასეთი ნოვაციით აღნიშნა... ნოვაციამ დროს ვერ გაუძლო და ჩემპიონს ამჟამად ძველ სისტემასთან მიახლოებულ, წრიულ გათამაშებაში ავლენენ. გამოვლინდა კიდეც თვენახევრის წინ მორიგი მსოფლიო ჩემპიონი, - ინდოელი **ვიშვანათან ანანდი**.

ილუმჟინოვის წამოწყებამ ვერ კი იხეირა, მაგრამ მოჭადრაკეთა დიდი ნაწილისთვის ასეთი ტურნირი ფრიად მომგებიანი იყო ფინანსურად, რადგანაც პირველ ეტაპზე დამარცხებისთვისაც კი დაახლოებით 6 ათას დოლარს იღებდნენ. ყოველ მომდევნო ტურში თანხა თითქმის ორმაგდებოდა და ნახევარფინალებში და ფინალში საკმაოდ სოლიდურ რიცხვს აღწევდა. მართალია, ტურნირმა ამ მხრივაც განიცადა ცვლილება - ყოველი მომდევნო ჩემპიონატი ნაკლები საპრიზო ფონდით იწონებდა თავს, მაგრამ ხეირი მაინც საკმაო იყო და ამიტომაც მოჭადრაკენი დიდი სიამოვნებით თამაშობდნენ და შესაბამისად იბრძოდნენ იქ თამაშის უფლების მოსაპოვებლად. სწორად ამ მიზნით იქნა შენარჩუნებული ასეთი გათამაშება, მხოლოდ სახელი შეეცვალა.

ამ სახელით ორი წლის წინ უკვე გაიმართა ტურნირი ეკატერინბურგში და გამარჯვება სომეხმა **ლევონ არონიანმა** მოიპოვა. ლევონი და სხვა მოწინავე დიდოსტატები ამჯერადაც ცდიან ძალებს. სრულ სურათს, ანუ გათამაშების ბადეს და სხვა საჭირო ინფორმაციას ხვალ მოგაწვდით, იქამდე კი მოგახსენებთ, რომ რჩეულთა შორის ქართველი **მერაბ გაგუნაშვილიც** არის. მისი ბოლოდროინდელი სათამაშო ფორმა ნამდვილად არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მერაბმა წარმატებით ითამაშოს, მაგრამ ეგებ გადალახა სირთულეები და მსოფლიო თასის ოპტიმალურ ფორმაში შეხვდეს.

ხანტი-მანსიისკში უნდა ეთამაშა **ზვიად იზორიასაც**, მაგრამ ზვიადი შეჯიბრში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მოგეხსენებათ, იგი ორი წელია აშშ-ში ცხოვრობს და როგორც ზვიადის მამამ, ბატონმა მერაბ იზორიამ გვითხრა, ორგანიზატორებმა ზვიადს მოწვევა დროულად არ გაუგზავნეს - ქართველს ამერიკაში მოწვევას არ გავუგზავნითო, ასე განგვიცხადეს. ასეთი განცხადება უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია, მაგრამ როცა ყველა პრობლემა მოგვარდა და ჩემმა შვილმა მიწვევა მიიღო, უკვე ძალიან დაგვიანებული გახლდათ.

ცოტა უცნაური სურათი კი იხატება, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი მოჭადრაკე მსოფლიო ფორუმში ვერ მიიღებს მონაწილეობას და მის ნაცვლად ხეირს სხვა ნახავს.

**ზვიად შათირიშვილი**

## მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატები

# პაიკიძეს ხუთიანი უწერია!

ანთალიაში მიმდინარე მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატზე დღეისთვის ხუთი ტურია მილეული და, საბედნიეროდ, იმ მცირე ჯგუფში, ვინც თავიანთ ასაკში უდანაკარგოდ ლიდერობს, ქართველი **ნაზი პაიკიძეც** არის. ამათგან ქართველს ერთი რამაც გამოარჩევს - მოცილე არ ჰყავს პირველობაში და ღმერთმა ქნას ასეც გაგრძელდეს, თუმცა, არ გვსურს, მკითხველმა მიკერძოებაში ჩაგვითვალოს, - პაიკიძის ასაკში - 14 წლამდელებში კიდევ ოთხი ქართველი თამაშობს და ოთხივე ძალიან ნიჭიერი: შარშანდელი 12-წლამდელებში გამარჯვებული **მარიამ დანელია**; 10 და 12 წლამდე ასაკში რამდენიმე გზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **მერი არაბიძე**; **ლელა უგულავა** და **ნათია ჯალაბაძე**. პირდაპირ ვიტყვით, ამ ასაკში აუცილებლად ჩემპიონობას ველით - ქართველები, უპირველესი ფავორიტები არიან - პაიკიძე სულაც პირველი ნომერია. აქედან გამომდინარე ჩვენთვის სულერთია პაიკიძე მოიგებს, დანელია თუ არაბიძე, მაგრამ რახან ნაზი შესანიშნავად თამაშობს, უპირველესად მას ვგულშემატკივრობთ.

ბევრით არც არაფრით ჩამორჩება ნაზის დანელია - 4.5 ქულა აქვს და, ცხადია, ჩემპიონობას ისიც უმიზნებს. 4 ქულა აქვს მერი არაბიძეს და არც მას დაუნებებია პირველობაზე ფიქრისთვის თავი.

5 არა, მაგრამ 4.5 ქულა კი აქვს **ქეთი ნანალაშვილს**, რომელიც 16-წლამდელებში თამაშობს და ესეც საკმარისია პირველობისთვის, - ქეთიმ მხოლოდ მეხუთე ტურში დაკარგა ნახევარი ქულა, ამიტომ კოეფიციენტი ყველაზე კარგი აქვს და ამის გამოა ლიდერი. თუმცა მას ამდენივე ქულით 4 მოცილე ჰყავს, მათ შორის - **თინათინ ბერიძე**. სოფიკო გურამიშვილმა ბერიძესთან მეორე ტურში მარცხის შემდეგ ზედიზედ სამჯერ იმარჯვა და ლიდერებს მიუახლოვდა - 4 ქულა აქვს.

ლიდერობის მშვენიერი შანსი ჰქონდა 18 წლამდელებში მოასპარეზე **გიორგი მარგველაშვილს** - 3-დან სამით ლიდერობდა, მაგრამ მეოთხეში თეთრებით გაუმართლებელ ტაქტიკას მიმართა - რუს **ივან პოპოვს** მერვე სვლაზე დაუზავდა. მარგველაშვილს სიფრთხილე ახასიათებს და ხშირად ჭადრაკში ასეთი ხერხი საჭიროა, მაგრამ ასევე



ნაზი პაიკიძე

ხშირად გიორგი ამგვარი ქმედებით მოგებული ვერ რჩება. ამჯერადაც ასე იყო - მეხუთე ტურში შავებით მარცხი იწვნია და ახლა მეთორმეტე ადგილზეა.

16-წლიანებში კარგად თამაშობს **ლევან ბრეგაძე** - მას ოთხი ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა, ლიდერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ტრადიციულად, უკეთესი შედეგები გოგონებს აქვთ, თუმცა ჯერ კიდევ დიდი დროა ფინიშამდე და იმედია, ჩვენი ბიჭები გაუთანაბრდებიან თანამემამულე გოგონებს. ვის რა პოზიცია უკავია, აქვე გთავაზობთ.

8 წლამდელი ბიჭები: **84. ალექსანდრე ფანასენკო** (2 ქულა); **118. ნიკოლოზ ჭანტურია** (0.5); გოგონები: **18. ნინო ჯალაღონია** (3); 10 წლამდელები: ბიჭები: **11. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** (4); **57. ნოე თუთისანი** (3); **105. მამუკა ანთაძე** (2); გოგონები: **33. მარიამ ჭოლაძე** (3); **66. ნინო ხომერიკი** (2); 12-წლიანები: ბიჭები: **10. ირაკლი ბერაძე** (4); **48. აკაკი რუხაძე** (3); გოგონები: **16. ნანი უნაფქოშვილი** (4); **17. ანა კუჭავა** (4); **55. ანა შაფათავა** (2.5); **66. ნატო იმნაძე** (2.5); 14 წლიანები: ბიჭები: **38. ზურაბ ჯავახაძე** (3); **43. გიორგი ნიკოლიშვილი** (3); **82. გიორგი ცირეკიძე** (2.5); გოგონები: **1. ნაზი პაიკიძე** (5); **4. მარიამ დანელია** (4.5); **9. მერი არაბიძე** (4); **18. ლელა უგულავა** (3.5); **24. ნათია ჯალაბაძე** (3.5); 16 წლიანები: ბიჭები: **5. ლევან ბრეგაძე** (4); **30. დავით ბენიძე** (3); **43. დავით ლომსაძე** (3); გოგონები: **1. ქეთი ნანალაშვილი** (4.5); **4. თინათინ ბერიძე** (4.5); **9. სოფიკო გურამიშვილი** (4); **39. სალომე ხაჟომია** (2.5); **59. სალომე სირაძე** (2.5); 18 წლიანები: **12. გიორგი მარგველაშვილი** (3.5); გოგონები: **13. ქრისტინე მჟავია** (3.5); **14. მირანდა მიქაძე** (3.5); **29. მერი ჟორჟოლიანი** (3).

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

კალათბურთი




შაკილ ონილი და ზაზა ფაჩულია

ქართველები NBA-ში

## ზაზა ბებერი ხარის რქებს დაეჭიდა

ზაზა ფაჩულიას ერთმანეთის მიყოლებით NBA-ს ორ მეფარე ვარსკვლავს დაეჭიდა - გუშინწინ **ტიმ დანკანს** ეთამაშა, გუშინ **შაკილ ონილს**. ქართველმა ცენტრმა ეს ორი გამოცდა თანაბრად ჩააბარა - 4-4 ქულა მოაგროვა, თუმცა ზაზას ონილმა აშკარად აჯობა. შაკის ანგარიშზე 30 წუთში 18 ქულა, 10 მოხსნა და 7 დაფარებაა. ფაჩულიამ კი 21 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. სხვაობა დიდია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზაზას ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს და ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ არის. მოხუცი (საკალათბურთო თვალსაზრისით) ონილი კი მიმდინარე სეზონს კარგ კონდიციებში შეხვდა და „მაიამიში“ ძველებურად ისევე ყოჩობს, როგორც ამას „ლეიკერსში“ აკეთებდა. თუმცა, წლევანდელი „ჰიტი“ შაკის „ლეიკერსის“ აჩრდილია, სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში ხუთ გუნდს შორის ბოლო ადგილზეა (2 მოგება, 9 წაგება).

მაიამელებმა მეცხრე მატჩი შინ „ატლანტა ჰოქსთან“ დათმეს - 79:82. ეს გახლდათ ჯორჯიელთა ისტორიული გამარჯვება გასვლითი 17-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ. აქვე გეტყვით, რომ ცხრილში „ჰიტზე“ ერთი საფეხურით წინ სწორედ ზაზას „ჰოქსია“(4 მოგება და 7 წაგება).

ბოლოს ერთ ცუდ და ერთ კარგ ამბავს გეტყვით. მატჩი ჯერ გახურებულიც არ იყო, რომ ონილმა 49 წამში ზედიზედ ორი ბლოკ-შოტი მიითვალა. ცუდი ის გახლავთ, რომ ორჯერვე ზაზას დაუფარა.

კარგი ამბავი: ფაჩულიამ სეზონში პირველად ითამაშა ბოლო წუთებზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მწვრთნელი ქართველს ფორმაში შესვლასთან ერთად მატჩის კრიტიკულ მომენტებშიც ენდობა. ხოლო შეხვედრის დაძაბულობაზე სამქულიანი სხვაობა მეტყველებს. ოქმში თუ ჩაიხედავთ იმასაც შენიშნავთ, რომ ფაჩულიას მატჩი არ დაუსრულებია - „ატლანტას“ თავკაცმა მაიკ ვუდსონმა იგი სირენამდე 0:01 წამით ადრე შეცვალა.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

| ფაჩულიას მონაგარი | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 11:47 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:45 | მოხსნა:1 (შეტ:1, დაც:0) |
| 11:45 | შეცდომა:1 (გარბენი) |
| 11:11 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:03 | ფოლი:1 |
| 10:45 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 8:22 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 6:56 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 6:08 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 5:28 | ორქულიანი ტყორცნა: 2ქ (27:36) |
| 5:12 | ფოლი:2 |
| 2:41 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 1:28 | ჩაჭრა: 1 |
| **III პერიოდი** | |
| 11:25 | ორქულიანი ტყორცნა: 4ქ (39:45) |
| 9:48 | ფოლი: 3 |
| 9:44 | ფოლი: 4 |
| 9:44 | ფაჩულია ჰარფორდმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 7:56 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 5:14 | მოხსნა:2 (შეტ:1, დაც:1) |
| 3:54 | მოხსნა:3 (შეტ:1, დაც:2) |
| 1:49 | ფოლი:5 |
| 0:01 | ფაჩულია ჩილდრესმა შეცვალა |

**მაიამი-ატლანტა 79:82**

24:21, 19:16, 23:19, 13:26

**მაიამი:** უეიდი (14ქ), ჰასლემი (17ქ, 8მ), დევისი (17ქ), ონილი (18ქ, 10მ, 7დ), ჰარდეუეი (8ქ), მურნინგი (5ქ), ს. პარკერი, ე. ჯონსონი, ჯ. უილიამსი

**ატლანტა:** ე. ჯონსონი (5ქ), ჯ. ჯონსონი (22ქ, 7მ, 4ვ), ჯ. სმიტი (16ქ, 11მ), მ. უილიამსი (13ქ, 10მ), ზაზა ფაჩულია (21 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 5 ფოლი), ჰარფორდი (6ქ, 8მ), ჩილდრესი (11ქ), ლიუ (5ქ), უესტი, შ. უილიამსი




საქართველოს ჩემპიონატი.
VI ტურის წინასამატჩო პრესკონფერენცია

## ვინაა საუკეთესო მობილიარდე?

**23 ნოემბერი. რუსთავი**
17:00 აზოტი-ვითა

**25 ნოემბერი. თბილისი**
სპორტის სასახლე
13:30 თსუ-დინამო
15:30 ავიამშენი-მაკაბი

**გუშინ კლუბ „12 მაგიდაში“ ორი საკალათბურთო ღონისძიება ჩატარდა. პირველი „მაკაბი“-„ავიამშენის“ მატჩისწინა პრესკონფერენცია იყო, მეორე - ტურნირი ბილიარდში. გაგიკვირდებათ, ბილიარდის შეჯიბრება საკალათბურთო მოვლენა როგორ არისო, მაგრამ დავამატებთ, რომ გუშინ ბილიარდის მაგიდასთან საქართველოს ჩემპიონატის ექვსივე გუნდის წარმომადგენლები მივიდნენ.**

**მადით ჯერ პრესკონფერენციაზე ვთქვათ, რომელიც „მაკაბის“ თავკაცმა ჯამლეტ ხუხაშვილმა გახსნა:**

-საუბარს იმ სიტყვებით დავიწყებ, რითაც სეზონის პირველი პრესკონფერენცია დავასრულე: ჩემპიონატი მართლაც დაძაბულია, საინტერესოა და ვერც ერთი ტოტალიზატორი წინასწარ ვერ განსაზღვრავს რომელ მატჩს რომელი გუნდი მოიგებს. შარშან ვიცოდი, რომ გიორგი შერმადინის 50 ქულაც ვერ გვიშველიდა და ფავორიტებთან უთუოდ დავმარცხდებოდით, მაგრამ წელს გუნდი გავაძლიერეთ, დავიმატეთ ბერიშვილები, სორდია, კოლუაშვილი და ახლა ნებისმიერ მეტოქესთან თანაბრად შეგვიძლია თამაში. მათ შორის „ავიამშენთანაც“, რომელიც პირველ ტურში დავამარცხეთ. ზოგმა ეს მოგება ჩვეულებრივ ამბად მიიჩნია, ჩემი აზრით ეს სენსაცია იყო. სენსაცია იმ შემთხვევაში არ იქნება, თუ ასეთ გამარჯვებებს გავახშირებთ. კვირის მატჩზე კი შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ პროცენტული მაჩვენებლებით გამარჯვების მეტი შანსი „ავიამშენს“ აქვს.

**მაკაბის მეფარემ გიორგი შერმადინმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონთან სათამაშოდ კარგადაა მზად:**

- მეტოქეს სათანადოდ ვიცნობთ, იგი ძალიან ძლიერია და ვეცდებით, სწორი თამაშით სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

**„მაკაბის“ ახალწვეული ირაკლი სორდიაც იმედიანადაა:**

- სეზონში ერთადერთი მოგება სწორედ „ავიასთან“ გვაქვს. მოწინააღმდეგე რევანშის აღებას ეცდება. რომელ გუნდს რა გამოუვა, ამას კვირას ვნახავთ.

**მოკლედ და კონკრეტულად ილაპარაკა ავიატორთა თავკაცმა ლევან მოსეშვილმა:**

- მინდა აღვნიშნო, რომ „მაკაბის“ პროგრესი აშკარაა და რეზერვიც საკმარისად აქვს. კარგად გვახსოვს ამ გუნდთან პირველ ტურში წაგება და ვეცდებით მსგავსი შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ჩვენი სატურნირო მდგომარეობა მეტად რთულია და წაგების უფლება აღარ გვაქვს. „მაკაბისთან“ მოგება წელში გაგვმართავს.

**მწვრთნელის შემდეგ სიტყვა ფორვარდმა ვახტანგ მინაშვილმა აიღო:**

- ჯერ სეზონის დასაწყისია და თუნდაც ზედიზედ ორი წაგება ტრაგედია არ არის. ახლა მთავარია თითოეულ მატჩს ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებულები შევხვდეთ, მწვრთნელის მითითებები სწორად შევასრულოთ და შედეგიც იქნება.

**პრესკონფერენცია „ავიას“ უკანახაზელმა კოტე ტუღუშმა დაასრულა:**

- ბოლო შეხვედრაზეც აღვნიშნე, რომ გუნდში შემადგენლობა ძირეულადაა შეცვლილი და შეთამაშებისთვის დრო გვჭირდება. მაგალითად, მე და მინაშვილი შარშანაც ერთად, „აზოტში“ ვთამაშობდით, მაგრამ ერთდროულად მოედანზე ყოფნა არ გვიხდებოდა და ასე, მთელ გუნდს გვჭირდება შეკვრა. მინდა დაგპირდეთ, რომ „ავიამშენის“ ნამდვილი სახე მეორე წრეში გამოჩნდება.

**...და მეორე მოვლენის შესახებ. ბილიარდის ჩემპიონატში თითო კლუბიდან 2-2 კალათბურთელი თამაშობდა. მათ ჟურნალისტები, სუპერლიგის ხელმძღვანელები დაემატნენ და 30-ზე მეტი მოთამაშე შეიკრიბა. ფინალში ერთმანეთს „ავიას“ გამთამაშებელი ბუბა კვიმსაძე და მისი აზოტელი თანაამპლუელი ლაშა გამყრელიძე დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ბუბას გამარჯვებით დასრულდა და ბილიარდში საუკეთესო კალათბურთელიც ის გახდა.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

25 ნოემბერი
13.30 თსუ - დინამო
15.30 ავიამშენი - მაკაბი (ცენტრალური თამაში)
სპორტის სასახლე
გენერალური სპონსორი
სახალხო ბანკი PEOPLE'S BANK
ოლიმპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## მერიონი ახალ კონტრაქტს ელის

„ფინიქს სანზის" ერთ-ერთი ლიდერი **შონ მერიონი** უკმაყოფილოა თავისი კლუბის ხელმძღვანელთა საქციელით, რომლებსაც ჯერაც არ შეუთავაზებიათ კალათბურთელისთვის ახალი კონტრაქტი.

მერიონის (ამ სეზონში საშუალოდ 16.3 ქულასა და 11.8 მოხსნას აგროვებს) მოქმედ კონტრაქტს მომავალი სეზონის ბოლოს გასდის ვადა. 29 წლის ფორვარდს სურს, რომ „ფინიქსთან" ახალი სამწლიანი და 60-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმოს.

## არენასი სამი თვე დაისვენებს

უკანასკნელ დღეებში, „ვაშინგტონ უიზარდსის" საუკეთესო ბომბარდირმა **გილბერტ არენასმა** ტრავმირებულ მუხლზე ორი ოპერაცია გადაიტანა და კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, სამი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

არენასი ამ სეზონში საშუალოდ 22.4 ქულას აგროვებდა. სხვათა შორის, მის გარეშე „უიზარდსმა" სამი მატჩი ჩაატარა და სამივეში გამარჯვებას მიაღწია.

## კლიპერს საუკეთესო ბომბარდირი გამოაკლდა

ასევე თავისი საუკეთესო ბომბარდირი დაკარგა „ლოს ანჯელეს კლიპერსმა". ერთ-ერთ უკანასკნელ ტურში მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო **კორი მაგეტმა** და ის მინიმუმ ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. შესაძლოა, სარეაბილიტაციო კურსმა სამი კვირაც წაიღოს.

ამ სეზონში, 28 წლის მაგეტი თავის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს - 8 მატჩში მან საშუალოდ 19.8 ქულა, 7.5 მოხსნა და 3.0 პასი მიითვალა.

## ლეიკერსმა არისაში ორი მოთამაშე დათმო

საინტერესო გაცვლა განახორციელეს გუშინ „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" და „ორლანდო მეჯიქმა".

„ლეიკერსმა" დათმო ფორვარდი **ბრაიან კუკი** და მცველი **მორის ევანსი**, სანაცვლოდ კი, „მეჯიქისგან" ფორვარდი **ტრევორ არისა** მიიღო.

ეს უკანასკნელი ამ სეზონში საშუალოდ 3.3 ქულასა და 2.2 მოხსნას აგროვებს. არისას გასულ სეზონში გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა - 8.9 ქულა და 4.4 მოხსნა.

*„ის აქტიური და ძალისმიერი ფორვარდია. მას მოედანზე ყველაფერი შეუძლია, მაგრამ არისას განსაკუთრებით კარგად დაცვაში თამაში გამოსდის. სწორედ ეს ჭირდებოდა ჩემს გუნდს"*, - განაცხადა „ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა**.

რაც შეეხებათ „ორლანდოს" ახალწვეულებს, ამ სეზონში კუკის მონაგარი 2.3 ქულა და 1.7 მოხსნა გახლავთ, ევანსმა კი, 7 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 4.4 ქულა მიითვალა.

## მარშალი: ორი თვე თამაშგარეთ

ხანგრძლივი დროით გამოაკლდა რეგულარულ ჩემპიონატს „კლივლენდის" ფორვარდი **დონიელ მარშალი**. ამ კალათბურთელს მაჯის ტრავმა აწუხებს და ექიმების პროგნოზის მიხედვით, დაახლოებით 6-8 კვირა ვერ შეძლებს თამაშს. მარშალი უკანასკნელად მოედანზე 2 ნოემბერს გავიდა.

34 წლის თავდამსხმელი 14 წელია NBA-ში თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში ექვსი კლუბი გამოიცვალა, ხოლო მისი სტატისტიკური მონაგარი 11.6 ქულასა და 6.0 მოხსნას შეადგენს.

## რეალმა მწვრთნელი შეინარჩუნა

მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობა კმაყოფილია მთავარი მწვრთნელის **ხუან პლასას** მუშაობით და ამ სპეციალისტთან 2010 წლის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი. წინა ხელშეკრულების ვადა ამ სეზონის დასრულებისთანავე იწურებოდა.

43 წლის პლასამ „რეალი" 2006 წელს ჩაიბარა, რის შემდეგაც, „სამეფო კლუბმა" დაიბრუნა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და ULEB-ის თასიც მოიპოვა. ამ შედეგების გამო, „რეალის" თავკაცი შარშან, წლის მწვრთნელის ტიტულს დაეუფლა.

## უნიკახამ პეისლიპი დაკარგა

ესპანეთის „უნიკახას" ორი კვირა თავისი ერთ-ერთი ლიდერის, **მარკუს პეისლიპის** გარეშე მოუწევს თამაში.

ფორვარდმა ევროლიგის მეხუთე ტურის წინ, ერთ-ერთ ვარჯიშზე დაიჭიმა ბარძაყის კუნთი. მიმდინარე ევროლიგაზე, 27 წლის ამერიკელმა სამი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 13.3 ქულა დააგროვა.

ჰოკეი

## ლიდსტრიომი ულაპარაკო ლიდერია

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გრძელდება გულშემატკივართა გამოკითხვა, რომელმაც „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო შემადგენლობები უნდა გამოავლინოს.

რამდენიმე დღის წინ, გამოქვეყნდა აღმოსავლეთი კონფერენციაში ხმის მიცემის საშუალედო შედეგები და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ეტაპზე ყველაზე მეტი ხმა „პიტსბურგის" ლიდერ **სიდნი კროსბის** აქვს.

რაც შეეხება დასავლეთს, „ოლ სტარი" დღეს რომ ტარდებოდეს, ამ კონფერენციის სასტარტო შემადგენლობა ასეთი იქნებოდა: მეკარე - **პასკალ ლეკლერი** („კოლამბუსი"); მცველები - **დიონ ფანოფი** („კალგარი") და **ნიკლას ლიდსტრიომი** („დეტროიტი"); თავდამსხმელები - **ჰენრიკ ზეტერბერგი, პაველ დაციუკი** (ორივე - „დეტროიტი") და **ჯერომ იგინლა** („კალგარი").

ხმების რაოდენობით, დასავლეთში ყველას საგრძნობლად უსწრებს ნიკლას ლიდსტრიომი - 80 903 ხმა.

## ბეისბოლიდან ჰოკეიში

„ჩიკაგო ბლეკჰოქსს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს გახლავთ ცნობილი სპორტული ფუნქციონერი **ჯონ მაკდონაფი**, რომელიც ბეისბოლის კლუბ „ჩიკაგო კაბსში" მოღვაწეობით არის ცნობილი.

მაკდონაფმა ამ პოსტზე **როკი უირტცი** შეცვალა, რომელიც კლუბის ცნობილი მფლობელის, **ბილ უირტცის** შვილია. ბილ უირტცი სექტემბერში გარდაიცვალა.

## განიე დეკემბერში დაბრუნდება

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ „ფილადელფია ფლაიერზის" ერთ-ერთმა ლიდერმა **საიმონ განიემ** ნოემბრის დასაწყისში ტვინის შერყევა მიიღო. ეს მოხდა „პიტსბურგთან" მატჩში, ვეტერან **გარი რობერტსთან** შეტაკების დროს.

ექიმებმა კიდევ ერთი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს ფორვარდს, რის შემდეგაც დადგინდა, რომ განიე საუკეთესო შემთხვევაში, დეკემბერში დაუბრუნდება ყინულს.

მიმდინარე რეგულარულში 27 წლის ჰოკეისტმა 10 მატჩის გამართვა და 8 ქულის (4+4) მოგროვება მოასწრო.

NBA. ახალბედები

# ჰორფორდი თუ დიურანი?

მიმდინარე რეგულარულში, ამერიკაში ძალიან ბევრი კარგი, უნივერსალი ახალბედაა. ერთ-ერთი მათგანი (გრეგ ოდენი) მთელ სეზონს გამოტოვებს და ამით რეგულარულის მიწურულს საუკეთესო პირველწლიანის პრიზის მოგების შანსებს სხვას გაუუმჯობესებს. ერთ-ერთი დებიუტანთაგანი ამ სტატუსს მხოლოდ ფორმალურად თუ ატარებს, რადგან დიდ კალათბურთში იმაზე მეტი აქვს გაკეთებული, ვიდრე ჩვენი დღევანდელი ათეულის ყველა წევრს ლამის ერთად აღებულთ, თუმცა იგიც (ლუის სკოლა) პირველწლიანია და ეს ფაქტია.

პირველი ათეული კი ასე დავალაგეთ:



ელ ჰორფორდი

### 1. ელ ჰორფორდი (ატლანტა)

*სტატისტიკა: 9 მატჩი (7 სასტარტოში), 8.8 ქულა, 10.6 მოხსნა, 1.8 დაფარება, 1.3 პასი, 1.2 ჩაჭრა.*

**ელ ჰორფორდი** დაახლოებით იმავე ყაიდის მოთამაშეა, რაც თავის დროზე, სადებიუტო სეზონში **დუაიტ ჰოვარდი** იყო. ძალიან ძლიერი მომხსნელი, რომელიც შეტევაშიც ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ ელისგან ძირითადად მაინც დაცვაში კარგ თამაშს ითხოვენ და ჰორფორდი ამას მშვენივრად აკეთებს. სამწუხაროდ, მისი კარგი თამაში **ზაზა ფაჩულიას** ტრავმის პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად იმისა, რომ **მაიკ ვუდსონი** ელსა და ქართველ ცენტრს ძირითადში ერთად აყენებს, ჯორჯიელები უფრო მორბენალი შემადგენლობით თამაშობენ, რაც ცენტრად ჰორფორდის დაყენებას ითვალისწინებს, ზაზას კი ლიმიტირებული დრო ეძლევა. ჰორფორდი 10.6 მოხსნით ლიგაში მეთორმეტეა და ბევრ შავ სამუშაოსაც ასრულებს. მან ერთი-ერთზე დაცვა NBA-ში გადასვლამდეც კარგად იცოდა, თუმცა ვუდსონის თქმით, გუნდური დაცვისას, ელი ხანდახან ცდება და გუნდს პრობლემები ექმნება. ჰორფორდისა და უნივერსალი **ჯოშ სმიტის** სახით „ჰოქსს" ძალიან ძლიერი დაცვითი ტანდემი ჰყავს, თუმცა იგივეს თქმა „ატლანტის" დანარჩენ წევრებზე ნამდვილად არ შეიძლება. თუ „ჰოქსი" როგორღაც რვა საუკეთესოში მოხვდება, მაშინ ელ ჰორფორდი რეგულარულის უძლიერესი ახალბედას პრიზის მოპოვების ფავორიტი იქნება.

### 2. კევინ დიურანი (სიეტლი)

*სტატისტიკა: 11 მატჩი (11 სასტარტოში), 19.7 ქ. 4.4 მ. 1.7 პ. 1.3 ჩ.*

„ატლანტასთან" მეორე ოვერტაიმში, **კევინ დიურანმა** გადამწყვეტი სამქულიანი გამოიყენა და წინა კვირას, საშუალოდ მატჩში „სონიქსის" ახალბედა 14.8 ქულას უყრიდა თავს. მიუხედავად ასეთი შუდუგიანობისა, იგი ცუდად არჩევს სასროლ პოზიციას, რაც მის პროცენტულ მაჩვენებელზე აისახება (35.7). ბოლო ოთხ შეხვედრაში 20 სამქულიანიდან მან 15 გააფუჭა, თუმცა საჯარიმოების მხრივ (25-დან 23) დამაჯერებლად გამოიყურება. „სიეტლს" ამ სეზონში საფლეიოფო პრეტენზია არ გააჩნია, რადგან პირველ რიგში, გუნდის სიეტლში დარჩენა-არდარჩენის საკითხია გადასაწყვეტი. ასე რომ, დიურანი ბევრს ისვრის, ბევრს აფუჭებს და ქულებსაც ბევრს იხვეჭს, მაგრამ მთავარი მწვრთნელი **პი. ჯეი. კარლესიმო** მისით მაინც უკმაყოფილოა. დიურანი ხშირად იღებს თავის თავზე ინიციატივას, რასაც ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მოსდევს ხოლმე.

### 3. იი ჯიანლიანი (მილუოკი)

*სტატისტიკა: 8 მატჩი (8 სასტარტოში), 10.3 ქ. 6.5 მ. 1.8 დ.*

**იაო მინისგან** განსხვავებით, ეს ახალგაზრდა „ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილეთა გაფართოებულ სიაში არ შეიყვანეს, რამაც მილუოკის ჩინური დიასპორა გაანაწყენა. მომავალში **ქსიანლიანი** ამ სიაში ულაპარაკოდ მოხვდება, მაგრამ ამ ეტაპზე მის თამაშს მხოლოდ მოკრძალებულად თუ შევაფასებთ. ბოლო ორ თამაშში მან 15-ში 12 სროლა ვერ გამოიყენა, თუმცა „ბაქსში" მაინც ნორმალური ატმოსფეროა და გუნდიც საკმაოდ კარგ კალათბურთს აჩვენებს, რაც ძირითადად **მაიკლ რედის, მო უილიამსის, ენდრიუ ბოგუტისა** და ჩინელის დამსახურებაა. საშუალო ორმაგი დუბლი რთული დასაფიქსირებელი იქნება, ისე კი, ქსიანლიანის თამაში მხოლოდ და მხოლოდ დადებით ეპითეტებს იმსახურებს.

### 4. ლუის სკოლა (ჰიუსტონი)

*სტატისტიკა: 11 მატჩი, 6.8 ქ. 4.4 მ. თამაშიდან სროლების 53 პროცენტი.*

არგენტინელი ვარსკვლავი ამერიკაში ისევე შეუცვლელი რომ ვერ იქნებოდა, როგორც ესპანეთის „ტაუგრესსა" და ეროვნულ გუნდში, ეს მანაც მშვენივრად იცოდა. პირველ შეხვედრებში არცთუ სტაბილური გამოსვლის შემდეგ, **ლუის სკოლამ** აშკარად მოუმატა და თავისი პირველი წარმატებული შეხვედრა იმ გუნდის წინააღმდეგ ჩაატარა, რომელმაც თავის დროზე ის დრაფტზე აირჩია და მერე „ჰიუსტონში" გაუშვა. „სან ანტონიოსთან" გასვლაზე, სკოლამ თამაშიდან 11-დან 10 სროლა გამოიყენა და საბოლოოდ, 20 ქულას მოუყარა თავი, რასაც 4 მოხსნა და **ტიმ დანკანის** წინააღმდეგ დაცვაში დამაჯერებელი გამოსვლაც დაურთო. ლუისმა მომდევნო შეხვედრაში „ფინიქსის" წინააღმდეგაც 20 ქულით ჩაამთავრა გამოსვლა და არიზონელთა მთავარი მწვრთნელის, **მაიკ დენტონის** დამსახურებული კომპლიმენტებიც მიიღო. იქამდე, სანამ სკოლას გუნდს **ტრეისი მაკგრეიდი** არ ეყოლება, ლუისს საკმარისი დრო მიეცემა. მოკლედ, არგენტინელი ნელ-ნელა იბრუნებს თავდაჯერებულობას.

### 5. ჯამარიო მუნი (ტორონტო)

*სტატისტიკა: 6 მატჩი (4 სასტარტოში), 8.3 ქ. 5.3 მ. 1.3 ჩ. 1.2 დ.*

### 6. ჯეფ გრინი (სიეტლი)

*სტატისტიკა: 11 მატჩი, 9.6 ქ. 4.6 მ. 0.4 შეცდომა.*

### 7. ხუან კ. ნავარო (მემფისი)

*სტატისტიკა: 9 მატჩი (1 სასტარტოში), 8.0 ქ. 1.7 პ.*

### 8. შონ უილიამსი (ნიუ ჯერსი)

*სტატისტიკა: 7 მატჩი (1 სასტარტოში), 9.6 ქ. 4.9 მ. 2.4 დ. თამაშიდან სროლების 65 პროცენტი.*

### 9. ჯეისონ სმითი (ფილად)

*სტატისტიკა: 9 მატჩი, 5.7 ქ. 3.4 მ. 0.9 დ. თამაშიდან სროლების 50 პროცენტი.*

### 10. დიკეონ კუკი (მაიამი)

*სტატისტიკა: 6 მატჩი, 9.0 ქულა, 1.8 მოხსნა, საჯარიმოების 85 პროცენტი.*

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ფინიქსი-საკრამენტო 1217:111**

**47:38, 33:25, 30:19, 17:29**

**ფინიქსი:** მერიონი (25 ქ), ნეში (18 ქ. 15 პ. 4 მ), ბარბოსა (18 ქ. 4 ჩ), გ. ჰილი (15 ქ. 6 პ. 5 მ), ა. სტაუდმაიერი (13 ქ. 6 მ), ტაკერი (10 ქ).

**საკრამენტო:** გარსია (31 ქ. 6 მ. 5 პ), სალმონსი (21 ქ. 10 მ), კევინ მარტინი (19 ქ), ჰოუზი (12 ქ. 6 მ), ჯასტინ უილიამსი (6 ქ. 10 მ).

**მემფისი-ტორონტო 89:95**

**23:19, 21:27, 24:22, 21:27**

**მემფისი:** გასოლი (16 ქ. 10 მ. 2 დ), მ. მილერი (16 ქ. 10 მ), გეი (15 ქ. 6 მ. 3 პ. 3 დ), ლოური (11 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), ს. სვიფტი (10 ქ. 8 მ).

**ტორონტო:** ბოში (22 ქ. 19 მ. 3 პ. 3 ჩ), კაპონო (14 ქ), ბარნიანი (13 ქ. 11 მ. 4 პ), დელფინო (13 ქ), მუნი (12 ქ), კალდერონი (10 ქ. 8 პ. 4 მ).

**სან ანტონიო-ორლანდო 125:110**

**30:34, 29:30, 34:26, 35:20**

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (32 ქ. 9 პ), ჯინობილი (27 ქ. 5 პ. 4 მ), დანკანი (20 ქ. 16 მ. 5 პ. 2 დ), ბ. ბერი (19 ქ), ფინლი (11 ქ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (34 ქ. 16 მ. 3 დ), თურქოღლუ (26 ქ. 5 მ. 5 პ), ნელსონი (15 ქ. 9 პ. 5 მ), რ. ლიუისი (12 ქ. 6 მ), ბოგანსი (12 ქ).

**შარლოტ-ვაშინგტონ 111:114 (ო)**

**20:26, 26:18, 32:35, 26:25, 7:10**

**შარლოტი:** ფელტონი (27 ქ. 12 პ. 5 მ. 2 ჩ), ჯ. უოლასი (25 ქ. 3 ჩ), ოკაფორი (20 ქ. 14 მ. 3 დ), კეროლი (11 ქ), ჯ. რიჩარდსონი (10 ქ. 6 მ).

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (39 ქ. 5 მ. 2 ჩ), ჯეიმისონი (27 ქ. 12 მ), ა. დენიელსი (14 ქ. 8 მ. 6 პ. 4 ჩ), ბლატჩე (12 ქ. 13 მ. 5 დ. 2 ჩ).

**პორტლენდი-ნიუ ჯერსი 101:106**

**26:19, 22:26, 31:29, 32:22**

**პორტლენდი:** როი (25 ქ. 6 მ. 2 ჩ), ფრაი (15 ქ. 2 დ), უებსტერი (15 ქ), ოლდრიჯი (14 ქ. 8 მ. 2 დ), ჯეკი (13 ქ. 5 პ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (30 ქ), ნახბარი (23 ქ. 2 ჩ), ვ. კარტერი (13 ქ), კიდი (12 ქ. 13 პ. 11 მ), ა. რაიტი (11 ქ).

**ჰიუსტონი-დალასი 94:100**

**30:25, 16:22, 28:15, 20:38**

**ჰიუსტონი:** მინი (30 ქ. 15 მ. 6 დ), ალსტონი (18 ქ), მაკგრეიდი (15 ქ. 12 პ. 7 მ. 2 ჩ), ბეტიე (12 ქ).

**დალასი:** დ. ჰარისი (22 ქ. 5 პ. 3 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (20 ქ. 7 მ. 2 დ), ნოვიცკი (18 ქ. 14 მ), ბასი (17 ქ. 6 მ), სტექჰაუზი (15 ქ).

**ბოსტონი-გ. სტეიტი 105:82**

**25:16, 25:21, 31:27, 24:18**

**ბოსტონი:** რ. ალენი (21 ქ. 7 მ. 3 ჩ), გარნეტი (20 ქ. 10 მ. 3 პ), პირსი (19 ქ. 10 მ. 4 პ), ე. ჰაუსი (15 ქ. 3 ჩ).

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (21 ქ. 4 ჩ), ს. ჯექსონი (15 ქ. 5 მ), ბ. დევისი (13 ქ. 5 ჩ).

**დეტროიტი-ნიუ იორკი 98:86**

**36:23, 19:22, 23:16, 20:25**

**დეტროიტი:** ბილაპსი (25 ქ. 15 პ. 3 ჩ), მაკდაიესი (20 ქ. 6 მ), პრინსი (13 ქ), რ. ჰამილტონი (12 ქ. 8 პ).

**ნიუ იორკი:** კარი (26 ქ. 5 მ), ჯ. კროუფორდი (16 ქ), ზ. რენდოლფი (13 ქ).

**მინესოტა-კლივლენდი 86:97**

**25:24, 17:22, 22:22, 22:25**

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (30 ქ. 8 მ), ა. უოკერი (13 ქ), ჯ. გრინი (13 ქ), მაკკენტსი (11 ქ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (45 ქ. 8 მ. 5 პ. 3 ჩ. 2 დ), გუდენი (17 ქ. 9 მ. 2 დ), გიბსონი (11 ქ. 5 პ), ილგაუსკასი (9 ქ. 10 მ. 4 დ).

**მილუოკი-ლეიკერსი 110:103**

**17:24, 29:23, 29:33, 35:23**

**მილუოკი:** რედი (26 ქ. 8 მ. 7 პ), მო უილიამსი (18 ქ. 9 პ), ვილიანოვა (14 ქ. 9 მ), ბოგუტი (13 ქ. 5 პ. 2 დ), ქსიანლიანი (12 ქ. 6 მ), სიმონსი (11 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (27 ქ. 4 პ), ბინუმი (16 ქ. 13 მ), ფიშერი (14 ქ), რადმანოვიჩი (13 ქ), უოლტონი (12 ქ).

**ნიუ ორლეანი-ინდიანა 93:105**

**29:23, 26:31, 17:28, 21:23**

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (23 ქ. 8 მ. 4 დ), სტოიაკოვიჩი (17 ქ), ელი (11 ქ. 11 მ), პოლი (8 ქ. 10 პ. 2 ჩ).

**ინდიანა:** მერფი (23 ქ. 9 მ. 3 პ), გრეინჯერი (22 ქ. 9 მ), მ. დანლივი-უმცროსი (18 ქ. 7 მ. 4 პ), ტინსლი (18 ქ. 13 პ), ჰარისონი (10 ქ), ფოსტერი (8 ქ. 13 მ).

**მაიამი-ატლანტა 79:82**

**24:21, 19:16, 23:19, 16:23**

**მაიამი:** შ. ონილი (18 ქ. 10 მ. 7 დ. 2 ჩ), ჰასლემი (17 ქ. 8 მ), რ. დევისი (17 ქ), უეიდი (14 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (22 ქ. 7 მ), ჯოშ სმიტი (16 ქ. 11 მ. 2 დ), მერვინ უილიამსი (13 ქ. 10 მ), ჩილდრესი (11 ქ), **ზაზა ფაჩულია (4 ქ. 3 მ. 1 ჩ).**

**კლიპერსი-დენვერი 101:90**

**24:27, 29:19, 24:20, 24:24**

**კლიპერსი:** კამანი (17 ქ. 21 მ. 4 დ), როსი (17 ქ), მობლი (14 ქ. 5 პ), ტიმ ტომასი (13 ქ), ტორნტონი (12 ქ. 9 მ).

**დენვერი:** აივერსონი (29 ქ. 9 პ. 5 მ. 3 ჩ), ენტონი (24 ქ. 4 მ), კემბი (18 ქ. 18 მ. 3 დ).

ინტერვიუ შტეფი გრაფთან

# ჟუსტინი ძლიერი პიროვნებაა

## ლეგენდარული გერმანელი დიდ ჩოგბურთთან გამოთხოვებას არ ნანობს

ოქტომბრის ბოლოს, შტეფი გრაფის მშობლიურ ქალაქ მანჰაიმში, რვა ათასმა ადამიანმა ადევნა თვალი „თაობათა მატჩს", რომელშიც ბელგიელმა ჟუსტინ ანენმა და ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა ოჯახურ წყვილს - შტეფი გრაფსა და ანდრე აგასის 7:5, 6:2 მოუგეს.

გრაფთან გერმანულ გაზეთ „ბილდში" დაბეჭდილი ინტერვიუ სწორედ ამ მატჩის გახსენებით იწყება. როგორც აღმოჩნდა, შტეფის საქველმოქმედო შეხვედრის ორგანიზებისთვის, მხოლოდ ერთი სატელეფონო ზარის განხორციელება დასჭირდა.

**- რატომ გადაწყვიტეთ თანამედროვეობის საუკეთესო ჩოგბურთელის, ჟუსტინ ანენის წინააღმდეგ თამაში?**

- გასულ წელს, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობაც ჩამოყალიბდა. ამ წლის დასაწყისში ჟუსტინს დავურეკე და მატჩის ჩატარების იდეა შევთავაზე. ანენმა თავის კალენდარს გადახედა და მაშინვე დამთანხმდა.

**- ბელგიელს ახალი მოგებული ჰქონდა აშშ-ის ღია პირველობა, მანამდე კი, პარიზის პირველი კატეგორიის ტურნირი. არ შეგეშინდათ, რომ „თაობათა მატჩში", მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი WTA-ს ამჟამინდელ ლიდერს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა?**

- რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა. წელს, ჯამში რვაჯერ ავიღე ჩოგანი ხელში, ისიც ბოლო პერიოდში, როცა კვირაში ერთხელ გავდიოდი კორტზე სავარჯიშოდ. წინა წლებთან შედარებით, ესეც დიდი პროგრესი იყო, რადგან ადრე საერთოდ ვერ ვახერხებდი ჩოგბურთში ვარჯიშს. ასე რომ, ჩემი და ჟუსტინის სათამაშო ფორმის შედარება არასერიოზული იქნებოდა. ბუნებრივია, ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი...

მაგრამ, ამაში არ მდგომარეობს მატჩის აზრი. ჩვენ სიამოვნების მიღება გვინდოდა, გვსურდა მაყურებლებისთვის მხიარული განწყობა შეგვექმნა და ცოტა რამ ბავშვებისთვისაც გაგვეკეთებინა. ბოლო მიზეზი ყველაზე მთავარია და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად მზად ვიყავი მატჩისთვის და შევძლებდი თუ არა მსოფლიოს პირველი ჩოგანისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

**- ერთხელ მაინც არ გაგიელვათ თავში იმ აზრმა, რომ ბელგიელის დამარცხებას შეძლებდით?**

- სულაც არ არის სასაცილო. უკვე 8 წელია ტურნირებში აღარ ვთამაშობ. რა თქმა უნდა, შევეცადე ოდნავ მაინც ფორმაში ვყოფილიყავი, მაგრამ ამ მცდელობას სერიოზულ ვარჯიშებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

**- ბოლო საჩოგბურთო მატჩი როდის ჩაატარეთ?**

- ეს იყო ორი წლის წინ, ასევე მანჰაიმში, გაბრიელა საბატინის წინააღმდეგ (ის შეხვედრა შტეფიმ 6:4, 6:2 მოიგო - რედ.).

**- უკვე თქვით, რომ ბოლო პერიოდში ჩოგბურთს ნაკლები როლი ეკავა თქვენს ცხოვრებაში. ჩვეულებრივ, რა შედის თქვენს ფიტნეს-პროგრამაში?**

- დღეს ჩემი სხეული ძალიან ადვილად უძლებს ვარჯიშებს. ისედაც, თითქმის ყოველთვის ვახერხებდი ფორმაში ყოფნას. კვირაში სამჯერ ვვარჯიშობდი - სირბილი, ველოსიპედი ან მცირეოდენი ძალისმიერი ვარჯიში.

**- მეუღლესთან, ანდრე აგასისთან ერთად ხშირად ვარჯიშობთ?**

- საკმაოდ იშვიათად. ვარჯიშებისას, ჩემი ყველაზე ხშირი პარტნიორია 16 წლის აიშა მოჰამედი, რომელიც ანდრეს კლუბის - Boys and Girls Club-ის წევრია. აიშა ამერიკის მოზარდი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

**- თქვენი ექვსი წლის შვილი, ჯეიდენ-გილი კორტის ხშირი სტუმარია?**

- არა, მან ეს სეზონი ამერიკული ფეხბურთის თამაშში გაატარა. მაგრამ ახლა, ყველაზე მეტად ბეისბოლი უყვარს. უდიდეს სიამოვნებას იღებს თხილამურებზე სრიალით. ამ ზამთარს კი, აიდაჰოში სნოუბორდით სრიალს აპირებს.

**- ანენთან საჩოგბურთო მატჩი თქვენი ფონდის - Children for Tomorrow-ს მხარდასაჭერად გამართეთ. მიღებული მოგება რაიმე სპეციალურ პროექტში დაიხარჯება?**

- ეს თანხა ბავშვებს რამდენიმე პროექტში დაეხმარება. გვინდა ჰამბურგში ავაშენოთ დაზარალებული ლტოლვილი ბავშვების ახალი სამკურნალო ცენტრი. გეგმაში გვაქვს ფონდის მუშაობის გააქტიურება სამხრეთ აფრიკაში. ქეიფთაუნის გარეუბანში ბავშვებისთვის აშენდება თერაპევტული ცენტრი. ერითრეაში მალე გაიხსნება პირველი საბავშვო ბაღი, სადაც ასევე თერაპევტული მომსახურება იქნება.

**- რამდენი ხანია რაც ფონდი არსებობს და რა არის მისი მიზანი?**

- ფონდი 9 წლის წინ დაარსდა. ჩვენ ვზრუნავთ ბავშვებზე, რომლებიც ომების, ძალადობისა და დევნის შედეგად დაზარალდნენ. ფონდის პროექტები ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი, გვინდა ისინი თანდათანობით განვავითაროთ და თან ახალი პროექტებიც დავურთოთ, როგორც ეს ერითრეაში ხდება. ამჟამად, უგანდაში მუშაობის შესაძლებლობებს განვიხილავთ. საქმე ძალიან ბევრია. სამწუხაროდ.

**- თქვენს მეუღლესაც აქვს ფონდი მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად. თქვენს ფონდებს რაიმე შეხების წერტილი აქვთ თუ ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ?**

- ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვმუშაობთ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მე მას ვეხმარები და პირიქით.

**- რას ნიშნავს თქვენთვის სოციალური აქტიურობა?**

- ყოველთვის გამაჩნდა ისეთი გრძნობა, რომ შემიძლია უფრო მეტი გავაკეთო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამჟამად ჩემი ოჯახი, ჩემი შვილები პირველ პლანზე არიან. ჩემში ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც იყო აშშ-ის წინა პრეზიდენტი ბილ კლინტონი, რომელმაც მსოფლიოს მნიშვნელოვანი ადამიანები შეკრიბა, რათა რაიმე შეეცვალა. ყველას შეუძლია კეთილი საქმის გაკეთება.

**- გერმანიაში დაბრუნებაზე არ ფიქრობთ?**

- სამშობლოში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩავდივარ და ვცდილობ მსგავსი ვიზიტები, შეძლებისდაგვარად ხშირი იყოს. აქ ცხოვრობს დედაჩემი, ჩემი ძმა და ბევრი მეგობარი. მას შემდეგ, რაც ჩემი უფროსი შვილი სკოლაში წავიდა, ჩვენ კიდევ უფრო მეტად მივეჯაჭვეთ ლას ვეგასს. ასე რომ, მომავალში ამერიკაში უფრო მეტი დროის გატარება მომიწევს.

**- ანდრემ გერმანული ისწავლა?**

- მას ძალიან ბევრი სიტყვა ესმის. ესეც ძალიან კარგია ბავშვებისთვის. მინდა, რომ ჩემმა შვილებმა ორივე მშობლიური ენა იცოდნენ.

**- უკვე ერთი წელია, თქვენი მეუღლე აქტიურ სპორტს აღარ მისდევს. ახლა თუ არის თქვენი ცხოვრება ისეთი, როგორიც ადრე წარმოგედგინათ? უფრო მეტი დრო გრჩებათ ერთმანეთისთვის?**

- ადრე, ჩვენ მთელი ოჯახით ვმოგზაურობდით. მთავარი ცვლილება ის არის, რომ ანდრე შინაგანად უფრო მშვიდი გახდა, სტრესი მოეხსნა და მისი სიმშვიდის წყალობით, ოჯახური ცხოვრება გაცილებით გაწონასწორებულია. ანუ ყველაფერი სწორედ ისეა, როგორიც საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით წარმომედგინა. ახლა, საქმეების გამო გზაში მხოლოდ 2-3 დღე ვართ და ორ კვირაში ერთხელ ვესწრებით დიდ ტურნირებს.

**- თქვენ და ანდრე გეგმავთ და აშენებთ სასტუმროებს და პანსიონატებს. სად იქნება განთავსებული ახალი შენობა?**

- აიდაჰოს შტატის ქალაქ ტამარაკში. შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი გემოვნებით დავგეგმოთ და შევქმნათ სასტუმრო კომპლექსის დიზაინი. ეს უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს.

**- არ ნანობთ, რომ უკვე რვა წელია თქვენს ცხოვრებაში აღარ ფიგურირებს დიდი ჩოგბურთი?**

- არავითარ შემთხვევაში!

**- წელს არც უიმბლდონსა და აშშ-ის ღია პირველობას დაესწარით, სადაც აგასი კომენტატორად მუშაობდა. ტელევიზორში მაინც თუ იხილეთ ჟუსტინ ანენის მორიგი ტრიუმფი?**

- ის, რომ ამ ტურნირებს არ დავესწარი, ბავშვების გამო მოხდა. მე ქალთა ფინალის მხოლოდ ფრაგმენტები ვნახე. ძალიან გამიხარდა ჟუსტინის წარმატება. მთელი ტურნირის განმავლობაში მასთან ელექტრონული ფოსტითა და SMS-ებით მქონდა კავშირი.

**- როგორ აფასებთ ანენის წარმატებებს, რომელიც ქმართან გაყრის შემდეგ, გაცილებით ძლიერად ითამაშდა?**

- აღფრთოვანებული ვარ იმით, რაც მან წელს გააკეთა. ვაფასებ ჟუსტინს, როგორც უძლიერეს პიროვნებას. მას მართლაც რთული პერიოდი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ბოლო ორი წელი ტრავმებსა და ავადმყოფობებს ებრძოდა. მან 10 ტურნირი მოიგო და ამით ყველაფერია ნათქვამი.



## TV სპორტი

### 23 ნოემბერი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი.
15:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ტოქ-შოუ - 2:1.
18:10 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალბომი. ფენერბაჰჩე-ეინდჰოვენი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 ჩვენი ფეხბურთი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ჰერტა (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

#### SPORT 1 (უკრაინა)

09:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:27 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
09:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:08 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სტ. ლუისი.
11:56 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ჟალგირისი.
13:37 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
14:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბლექბერნი.
15:50 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. ფინალი.
17:53 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:18 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:09 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-პიტსბურგი.
20:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
21:22 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ვაშინგტონი (LIVE).
00:40 ფეხბურთი. ახალგაზრდულები. უკრაინა-ჩეხეთი.
00:55 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:13 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:26 კრივი. რინგ-საიდი.
02:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
02:43 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ხორვატია.
04:28 ფრენბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ჩერკასი.
06:13 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
04:40 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-პიტსბურგი.

#### EUROSPORT

11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. ლეიკ-პლესიდი. აშშ.
12:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
15:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი.
16:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ლატვია.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. კვიპროსი-ჩეხეთი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ისლანდია.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
21:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ესპანეთი. პორტუგალია (LIVE).
22:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. იტალია-რუსეთი. პორტუგალია (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
00:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. პორტუგალია-ესპანეთი. პორტუგალია (LIVE).
01:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ბულგარეთის გრან-პრი.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კილი (გერმანია)-კონსტანტა (რუმინეთი).
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლუბინი (პოლონეთი)-ფლენსბურგი (გერმანია).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ევროსპორტის ჩემპიონები. ტიერი ანრი.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლუბინი (პოლონეთი)-ფლენსბურგი (გერმანია).
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კილი (გერმანია)-კონსტანტა (რუმინეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 მულტისპორტი.
22:30 ახალი ამბები.
22:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
23:15 რაგბი. პარიზი-ბეიონი (LIVE).
01:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-პოლონეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-საფრანგეთი.
03:00 ახალი ამბები.

ავტოსპორტი

## მონტოია საუკეთესო დებიუტანტია

კოლუმბიელი ავტომრბოლი ხუან პაბლო მონტოია, რომელიც გასულ წელს ფორმულა 1-დან ამერიკული ნასკარის სერიაში გადავიდა, 2007 წლის სეზონის შედეგების მიხედვით საუკეთესო დებიუტანტი გახდა.

გასულ უიქ ენდზე დასრულებული ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში, „მაკლარენის" ყოფილმა პილოტმა მე-20 ადგილი დაიკავა. მონტოიამ სეზონის მსვლელობისას სონომში (კალიფორნია) საკმაოდ პრესტიჟული რბოლა მოიგო, სამჯერ დაასრულა ეტაპი საუკეთესო ხუთეულში და ექვსჯერ პირველ 10 პილოტს შორის მოხვდა.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ალდერშოტი-გრეისი | 3:2 |
| **ინგლისის თასი** | |
| სტეინსი-სტოკპორტი | 1:1 პენ. 4:3 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ულქერი-ბამბერგი | 79:77 |
| მაკაბი-ციბონა | 80:74 |
| არისი-მილანი | 70:77 |
| ლე მანი-უნიკახა | 74:83 |
| ბარსელონა-რეალი | 73:62 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| მეტალურგი მ-მეტალურგი ნ | 1:2 დდ (1:1) |
| ტრაქტორი-სიბირი | 6:2 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-ვოლფსბურგი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კაიპა | 3:2 |
| იუვიასკიულა-პპკ | 4:0 |
| კერპეტი-ჰიფკ | 2:2 პენ 3:2 |
| პელიკანსი-ლუკო | 5:1 |
| ტაპარა-საიპა | 2:3 |
| ტპს-ილვესი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ბუდეიოვიცე | 3:6 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ბრიუნესი | 6:0 |
| სიოდერტალიე-ტიმრე | 3:1 |
| მოდო-მორა | 2:3 |
| ფერიესტადი-იურგორდენი | 0:3 |
| ჰვ 71-სკელეფტეო | 5:2 |
| ლულეა-ფრიოლუნდა | 1:7 |

ფორმულა 1

## ტოიოტა 10 იანვარს, BMW ოთხი დღის შემდეგ

თაიანთი ახალი ბოლიდების პრეზენტაციის თარიღები დააზუსტეს „ტოიოტამ“ და „BMW-ზაუბერმა“.

როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან, პირველი სწორედ „ტოიოტა“ აჩვენებს საავტომობილო სამყაროს ახალ მანქანას. TF108-ის პრეზენტაცია 10 იანვარს, გერმანიის ქალაქ კიოლნში გაიმართება.

ოთხი დღის შემდეგ, ასევე გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში ფორმულა 1-ის ექსპერტებსა და ჟურნალისტებს წარუდგენენ ახალ „BMW-ზაუბერს“. ეს ღონისძიება BMW-ს ახალ ავტოცენტრში ჩატარდება.

## კლინმა ფორს ინდია გამოსცადა

**კრისტიან კლინი** ფორმულა 1-ს დაუბრუნდა. ავსტრიელმა პილოტმა ახალი გუნდის, „ფორს ინდიას“ ტესტებში მიიღო მონაწილეობა.

ეს საჯინიბო მომავალი სეზონისთვის პილოტების შერჩევას იწყებს და ესპანეთის ხერესში, დეკემბრის ტესტებზე კვლავ მიიწვევს კლინს, ისევე როგორც ფორმულას სხვა ცნობილ პილოტებს - **ჯანკარლო ფიზიკელასა და რალფ შუმახერს**.

*„მოხარული ვარ, რომ გასულ ტესტებზე კარგი შედეგის ჩვენება შევძელი. და ეს იმ დროს, როცა ტრასაზე უკვე დიდი ხანია არ გავსულვარ. რამდენიმე წრის შემდეგ, მანქანას შევეჩვიე და ინჟინრებთანაც გამოვნახე საერთო ენა. ბოლიდი საიმედო და სტაბილური ჩანს. მოუთმენლად ველი ტესტების გაგრძელებას“*, - აცხადებს ავსტრიელი პილოტი.

## ექლსტოუნის თხოვნა

ფორმულა 1-ის ბოსი **ბერნი ექლსტოუნი** ბრიტანეთის მთავრობას თხოვნით მიმართავს, რათა ამ უკანასკნელმა გარკვეული თანხა გამოჰყოს სილვერსტოუნის ავტოდრომის მოდერნიზაციისთვის.

*„ბრიტანეთი აუცილებლად უნდა იყოს ფორმულა 1-ის მთავარი მოვლენების ცენტრში. ამიტომაც, მან არ უნდა დაკარგოს სადღეისო პოზიციები. ჩემი აზრით, ქვეყნის მთავრობამ იმ თანხების მცირე ნაწილი მაინც უნდა გაიმეტოს, რაც 2012 წლის ოლიმპიადის ორგანიზებაზე იხარჯება და სილვერსტოუნის ტრასას რეკონსტრუქცია ჩაუტაროს. მთავრობაში უკვე დიდი ხანია იციან, რომ ავტოდრომი სრულყოფას საჭიროებს, მაგრამ რატომღაც, ამაზე ფულის დახარჯვა არავის სურს“*, - ამბობს ფორმულას მთავარი პრომოუტერი.

## შუმის ახალი აღიარება

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა** ერთი წელია, რაც აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა, მაგრამ გერმანელი პრიზების მიღებას მაინც აგრძელებს.

ამჯერად, „წითელი ბარონი“ გერმანიის ტელევიზიამ დააჯილდოვა. შუმიმ ყოველწლიური პრემია ეროვნული ტელემაუწყებლობის განვითარებაში შეტანილი წვლილის სანაცვლოდ მიიღო.

*„შუმახერმა თავისი ბრწყინვალე კარიერის მანძილზე 91 გრან-პრი მოიგო, უამრავი რეკორდი დაამყარა და ამით, გერმანიაში ავტოსპორტის ტელერეიტინგი არნახულ სიმაღლემდე აიყვანა“*, - წერია სპეციალურ მილოცვაში.

დაჯილდოების ცერემონიას ლეგენდარული **ნიკი ლაუდა** ესწრებოდა, რომელსაც ისე აუჩუყდა გული, რომ თავისი განთქმული წითელი კეპიც კი მოიხადა შუმახერის წინაშე.

კრივი

## კლიჩკოების ახალი გეგმები

ცნობილი უკრაინელი მოკრივეები, **ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოები** ახალ პრომოუტერულ ორგანიზაციას აყალიბებენ. დღეს, კიევში ოფიციალურად გამოცხადდება კომპანია K2 East Promotions-ის დაარსების შესახებ, რომელიც ორი ორგანიზაციის - ძმები კლიჩკოების K2 Promotions-ისა და National Box Promotion-ის შერწყმით წარმოიშვება.

„თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე, ჩვენმა კომპანიამ უმაღლესი დონის ტურნირების ჩატარების გამოცდილება და ცოდნა მიიღო. ჩვენი ძალისხმევით, უკვე ბევრი უკრაინელი მოკრივე მართავს სატიტულო ბრძოლებს, ასევე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა პროფესიული კრივის ინდუსტრიის ფორმირებისა და განვითარების პირობები. ახლა კი, ამ მიმართულებით ბოლო ნაბიჯი იდგმება - ეს არის, ჩვენი კომპანიების ერთ ორგანიზაციად გაერთიანება“, - განაცხადა National Box Promotion-ის პრეზიდენტმა **ვიტალი ბუხკალოვმა**.

ოლიმპიზმი

## ავსტრალიელ ათლეტებს ოლიმპიადის წინ წაახალისებენ

ის ავსტრალიელი სპორტსმენები, რომლებიც გაისად პეკინის ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან, დამატებით საპრიზო თანხებს მიიღებენ. ეს გახლავთ ერთგვარი წამახალისებელი აქცია, რომელიც მას შემდეგ დაიგეგმა, როცა გაირკვა, რომ ავსტრალიის ოლიმპიური ნაკრები მედლების საერთო ჩათვლაში, შესაძლოა ბრიტანეთის ნაკრებს ჩამორჩეს.

ოთხი წლის წინ, ათენის თამაშებზე ავსტრალიამ მედლების რაოდენობით მეოთხე ადგილი დაიკავა (აშშ-ის, ჩინეთისა და რუსეთის შემდეგ), მაგრამ უკანასკნელი პროგნოზების თანახმად, ეს გუნდი შესაძლოა მეშვიდე ადგილამდე ჩამოქვეითდეს და წინ გაუშვას საფრანგეთი, გერმანია და ბრიტანეთი.

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის **ჯონ კოუტსის** გეგმით, ზოგიერთი ავსტრალიელი ათლეტი ოლიმპიადის წინ მიიღებს გარკვეულ საპრიზო თანხას. ეს ის სპორტსმენები იქნებიან, რომლებიც 2008 წელს, რაიმე სინჯის მედალს მოიგებენ მსოფლიო ჩემპიონატებზე. პირველი ადგილისთვის განსაზღვრულია 20 ათასი ავსტრალიური დოლარი (დაახლოებით 17 700 ამერიკული დოლარი), მეორე ადგილისთვის - 13 400, მესამისთვის - 6 700. პრიზიორთა მწვრთნელებს ამ თანხების მეოთხედი ნაწილი ერგებათ.

ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ვარაუდით, ამ პროგრამაში დაახლოებით 200 ადამიანი მოხვდება და ეს კარგი სტიმული იქნება პეკინის თამაშების წინ.

ცურვა

## ჰანსონმა კარიერა დაასრულა

პეკინის ოლიმპიადამდე რვა თვით ადრე, კარიერის დასრულება გადაწყვიტა ავსტრალიელმა **ბრუკ ჰანსონმა**, რომელიც ათენის თამაშების ჩემპიონია ესტაფეტაში.

*„ახლა დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ ჩემმა გულმა, გონებამ და სხეულმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ სპორტიდან წასვლის დრო მოვიდა. დღეიდან ჩემს ცხოვრებაში ახალი თავი იწყება“*, - განაცხადა 29 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

კრივი



ზემძიმე წონა

## ვლადიმირ კლიჩკო იბრაგიმოვს შეხვდება

რაც ბრიტანელმა **ლენოქს ლუისმა** თავისი საბრძოლო ხელთათმანები ლურსმანზე დაკიდა, პროფესიულ კრივს ზემძიმე წონაში ოთხივე პრესტიჟულ გაერთიანებაში სხვადასხვა ჩემპიონები ჰყავს. ყველა იქადნის, სხვა ტიტულის მოპოვებაც მსურსო, მაგრამ ლამის ოთხი წელია, ჩემპიონი ჩემპიონს არ შეხვედრია.

და აი, ველირსეთ! 23 თებერვალს, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" ახალი რინგი ორი ჩემპიონის, უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკოსა** და რუსი (დაღესტნელი) **სულტან იბრაგიმოვის** ბრძოლას დაეთმობა.

31 წლის კლიჩკო (49-3, 44 ნოკაუტი) რინგზე ორ, IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) და IBO-ის (კრივის საერთაშორისო ორგანიზაცია – ნაკლებად პრესტიჟული ტიტულია) ქამრებს გამოიტანს. უკრაინელი IBF-ის ტიტულს მას შემდეგ დაეუფლა, რაც შარშან აპრილში, შვიდ რაუნდში სასტიკად დაამარცხა ამერიკელი **კრის ბერდი**. მას შემდეგ, მან ტიტული სამჯერ დაიცვა და სამივე შემთხვევაში ნოკაუტები აგემა ამერიკელებს - **კელვინ ბროკს, რეი ოსტინსა და ლეიმონ ბრიუსტერს**.

იბრაგიმოვმა (22-0-1, 17 ნოკაუტი) WBO-ის (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია – პრესტიჟულობის მხრივ, მეოთხე გაერთიანება) ქამარი ივნისში მას შემდეგ მოიპოვა, რაც ქულებით დაამარცხა ამერიკელი **შენონ ბრიგსი**. დაღესტნელმა მოკრივემ თავისი საჩემპიონო ქამარი ოქტომბერში დაიცვა – ისევ ქულებით მოუგო ლეგენდარულ **ევანდერ ჰოლიფილდს**.

*"ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს შორის წარმოებული ინტენსიური მოლაპარაკება სასურველი შედეგით დასრულდა. ჩემთვის ეს ბრძოლა კარიერის განსაკუთრებული ეტაპია – მოგების შემთხვევაში, ზემძიმე წონაში ორი პრესტიჟული გაერთიანების ტიტულებს დავეუფლები. ჩემპიონთა ბრძოლა კრივის მოყვარულებსაც მოენატრათ. იბრაგიმოვმა თავისი კლასის ბრივსთან და ჰოლიფილდთან მოპოვებული გამარჯვებებით დაგვანახა. ვფიქრობ, ჩვენი ბრძოლა დიდ ინტერესს გამოიწვევს და ამდენად, მისთვის "მედისონ სკვერ გარდენი" ყველაზე შესაფერისი ადგილი გახდება"*, - ამბობს კლიჩკო.

აღსანიშნავია, რომ იბრაგიმოვი თავიდან WBA-ის ჩემპიონთან, უზბეკ **რუსლან ჩაგაევთან** შეხვედრას აპირებდა, მაგრამ ამან ავადმყოფობა მოიმიზეზა და ბრძოლაც არ შედგა. მის ნაცვლად დაღესტნელ მოკრივეს ჰოლიფილდი დაუპირისპირდა. ბარემ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მალე WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) ჭეშმარიტი ჩემპიონი გამოუჩნდება - 2 თებერვალს მისი ქამრისთვის ერთმანეთს ნიგერიელი **სემუელ პიტერი** და რუსი **ოლეგ მასკაევი** იბრძოლებენ.

რა თქმა უნდა, კლიჩკოსა და იბრაგიმოვს შორის გამარჯვებულის მომდევნო მიზანი კიდევ ერთი პრესტიჟული გაერთიანების ქამრის დაუფლება იქნება. ამას არც უკრაინელი და არც დაღესტნელი არ მალავენ.

*"სანამ ჩემპიონი გავხდებოდი, ჩემი მიზანი ჯერ ერთი ტიტულის პოპოვება, შემდეგ კი ტიტულების გაერთიანება იყო. მაგრამ როცა სარტყელი მოვიპოვე, აღმოჩნდა, რომ სხვა ჩემპიონებს ჩემთან ბრძოლა არ სურდათ. ჰოდა, ვლადიმირის მადლობელი ვარ იმისთვის, რომ მეორე მიზნის ასრულების შანსი მომცა. ვპირდებით, რომ ჩვენი ბრძოლის სანახავად მოსული მაყურებელი დიდ სიამოვნებას მიიღებს"*, - ამბობს იბრაგიმოვი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ოტავა 4:2**

3:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 რაიანი-1 (პეი-5, გოსტადი-4), 2:0 კოტალიკი-4 (რ. მილერი-1), 3:0 რუა-7 (ვანეკი-9, სტეფორდი-4), 3:1 ალფრედსონი-16 (სპეცა-16), 3:2 ჰიტლი-10 (კორვო-6, რედენი-8), 4:2 სტეფორდი-4 (ვანეკი-10, რუა-8).

**აილენდერსი-მონრეალი 1:4**

0:1, 0:3, 1:0

**გოლები:** 0:1 ბიგინი-2 (სმოლინსკი-7, დანდენო-3), 0:2 პიგინსი-8 (ჰამრლიკი-9, უე-1), 0:3 ბიგინი-3 (დანდენო-4, სმოლინსკი-8), 0:4 პლეკანეცი-6 (კოვალიოვი-9, ბრისბუა-5), 1:4 კომრი-7 (სიმონი-1, ჯეკმენი-1).

**ვაშინგტონი-ატლანტა 1:5**

0:0, 0:3, 1:2

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-14 (პოტიე-8, ვიქ. კოზლოვი-10), 1:1 კოვალჩუკი-18 (ჰაველიდი-4, ენსტრიომი-9), 1:2 ჰოლიკი-2 (მარიან ჰოსა-9, ენსტრიომი-10), 1:3 ჰაველიდი-1 (კოვალჩუკი-13, მარიან ჰოსა-10), 1:4 კოვალჩუკი-19 (პერენი-8, ენსტრიომი-11), 1:5 პერენი-5 (კოვალჩუკი-14, დუპუი-2).

**კაროლინა-ფილადელფია 3:6**

1:0, 0:2, 2:4

**გოლები:** 1:0 ბრინდამორი-11 (რეი უიტნი-13, კულენი-17), 1:1 ნუბლი-6 (რ. ჯონსი-6, ფიტცპატრიკი-1), 1:2 კ. ტიმონენი-2 (ბრიერი-14), 1:3 ბრიერი-8 (ნუბლი-5), 2:3 ე. სტაალი-13 (კულენი-18, ჯ. ჰემილტონი-10), 2:4 ბრიერი-9 (კობურნი-6, ჰარტნელი-4), 3:4 კულენი-5 (სტილმანი-15, ჯასტინ უილიამსი-16), 3:5 ბრიერი-10 (კ. ტიმონენი-11, ნუბლი-6), 3:6 ჰარტნელი-2.

**კოლამბუსი-ფლორიდა 2:5**

1:0, 1:2, 1:3

**გოლები:** 1:0 გლენკროსი-3 (კლესლა-4, ფიოდოროვი-9), 1:1 სალეი-2 (ოლეში-3), 1:2 ბ. ალენი-1 (ჰორტონი-9, უეისი-13), 2:2 ნეში-15 (ჰეინსი-10, ჟერდიოვი-10), 2:3 ოლეში-3 (ჰორტონი-10, უეისი-14), 2:4 ბოუმისტერი-3 (ზედნიკი-5, ო. იოკინენი-13), 2:5 ოლეში-4 (გ. კემპბელი-3, ბუტი-3).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 პარიზე-7 (ლანგენბრუნერი-1, ჯონტა-7), 0:2 პარიზე-8 (ლანგენბრუნერი-2, მოტო-3), 1:2 მალკინი-8.

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ტიუტინი-3 (ბეტსი-1, პრუხა-4), 0:2 ორი-1 (ბარანკა-1, სტრუდვიკი-1), 1:2 ულეტი-5 (კრეიგი-1, კუბა-7).

**დეტროიტი-სენტ ლუისი 3:0**

1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-15 (ჰოლმსტრიომი-10, რაფალსკი-15), 2:0 სამუელსონი-3 (კლირი-6, ჰუდლერი-6), 3:0 კლირი-7 (დრეიპერი-5, ლიდსტრიომი-17).

**მინესოტა-ვანკუვერი 2:4**

2:2, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ნესლუნდი-8 (ედლერი-5, ბ. მორისონი-8), 0:2 კესლერი-4 (ა. მილერი-2, სენფორდი-1), 1:2 გაბორიკი-6 (ბელანჟე-11, შულტცი-5), 2:2 გაბორიკი-7 (როლსტონი-8, ბუშარი-14), 2:3 ნესლუნდი-9 (დ. სედინი-12, ჰ. სედინი-16), 2:4 ნესლუნდი-10 (ჰ. სედინი-17, დ. სედინი-13).

**დალასი-ანაჰაიმი 2:1**

0:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 პერი-12 (გეტცლაფი-15, პრონგერი-15), 1:1 მოდანო-6 (ზუბოვი-16, მოროუ-13), 2:1 ჰაგმანი-10 (ნისკანენი-4, ი. იოკინენი-5).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 4:1**

1:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 იორკი-3 (ზ. მიხალეკი-2, ჟოვანოვსკი-9), 1:1 მოულსონი-3 (დ. არმსტრონგი-9, ფროლოვი-16), 2:1 იორკი-4 (ჟოვანოვსკი-10, დოუნი-12), 3:1 ნ. კაპანენი-3 (კარჩილო-5, ჟოვანოვსკი-11), 4:1 დოუნი-5 (რაინპრეხტი-9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
ბივი ვეშაპიძე
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონისტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა